

K36257
4


ქართული
ბიბლიოთეკა

1200

ტექსტი

ქართულ ლიტერატურაში

თენგიზ წონოძე

IX

514.028
97

ქართული
ბიბლიოთეკა

თენგიზ წოდუნავა

1200

ტექსტი

ქართულ ლიტერატურაში

IX



საავტორო გამომცემლობა

2013-2014



კრებული მოიცავს ყველა ნაწარმოებს, რომლებიც თანამედროვე ქართულმა ხელოვნებმა კლასში (ორივე მოქმედი სახელმძღვანელოს მიხედვით) ისწავლება. ის, ამ მხრივ, ერთდროულად და მოსწავლეებს ტექსტების გაგებასა და გაანალიზებაში დაეხმარება.

პირველი გამოცემა

მხატვრული რედაქტორი	ირაკლი ბელთაძე.
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	ვატი არიშვილი.
ტექნიკური უზრუნველყოფა:	კლავდია ბურჯანაძე, მაია გოგოხია, გელა მაღლაფერიძე.

K 36.257

© თ. თოთონავა
 tengiztsotsonava@gmail.com
 ტელ: 5(93) 378-127
 ISBN 978-9941-9304-5-4

I თავი

1. ლეონტი მროველი წერს:

„მიხედა ღმერთმან წყალობით ქუეყანასა ამას და მოგვეღონა ქადაგი ჭეშმარიტებისა ნინო, დედოფელი ჩუენი, ვითარცა ზნელსა შინა მითიბი რაჲ აღმოჰხდის და ცის კარი აღიღის, და მისა შემღოსად აღმოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისა.“

რას ადარებს ავტორი ნინოს მისას?

- ა) მთიების (ცისკრის ვარსკვლავის) კაშკაშს; ბ) ცის გახსნას;
- გ) ცისკარს მზის ამოსვლის წინ; დ) მზის მხურვალეობას.

2. რას უწოდებს ავტორი მზეს?

- ა) ჭეშმარიტებას; ბ) მთიებს;
- გ) ცისკარს; დ) დღის მფლობელს.

3. ლეონტი მროველი წერს:

„სასომან ჩუენმან წმიდამან ღმრთისმშობელმან მოიკუნა წილხუდომავ მისი ქართველთა ნათესავისაჲ. ამისთვისცა განჰმზადა წმიდაჲ ნინო მოციქულად...“

რას ეფუძნება ნინოს მისია?

- ა) ქართველი ერის („ქართველთა ნათესავისაჲ“) გადაწყვეტილებას;
 - ბ) იერუსალიმის საეკლესიო წრის გადაწყვეტილებას;
 - გ) ღვთის ნებას;
 - დ) ქართველი ერის („ქართველთა ნათესავისაჲ“) ღვთისმშობლის წილხვედომილობას.
4. გაიხსენეთ ნინოს მშობლების, ზაბილონისა და სუსანას (მოსანას), რომელ თვისებას (უნარს) აღნიშნავს ავტორი, როცა მკითხველს მათ გამოაზრუნებას აცნობებს?

- ა) ღვთისმოშიშობას; ბ) გადაწყვეტი მოქმედების უნარს;
- გ) სიღარბაისლეს; დ) თავისუფლების სიყვარულს.

5. ღვთისმშობელი მძინარე ნინოს („ღირსსა მას“) საქართველოში უფლის სახარების ქადაგებას ავალდებს და ეუბნება:

„პოო შენ მადლი წინაშე ღმრთისა, და მე ვყოფ მფარველი და ჰედისამყრობელი შენი.“

რას მოპოვებს ნინო უფლის სახარების საქართველოში ქადაგებით?

- ა) ღვთისმშობლის მფარველობას; ბ) ღვთისმშობლის დახმარებას („ხელისაყრობას“);
- გ) უფლის მადლს; დ) უფლის წყალობას.

6. გაიხსენეთ, როგორ მოიხსენიებს ღვთისმშობელი საქართველოს:

- ა) როგორც უფლის სამწყსო; ბ) როგორც ჩრდილოეთის ქვეყანას;
- გ) როგორც თავის წილხვედომილ მხარეს; დ) როგორც წარმართთა ქვეყანას.

7. მისიის გააზრება ნინოს აკრთობს. ის ღვთისმშობელს მიმართავს:

„დედოფალი, ვითარ შესაძლებელ არს ეგე ნემ მერ? რამეთუ მე დედაკაცი ვარ უნდაო და უსწავლელი, ანუ რაჲ იყოს სასწაულად საქმისა ამის?“

რას სთხოვს (ეაქტობრეად) ნინო ღვთისმშობელს?

- ა) მისიის განმარტებას;
- ბ) შესაბამის განსწავლას, რომელიც მისიის განხორციელებას შეაძლებინებს;
- გ) მისიისგან გათავისუფლებას;
- დ) ღვთაებრივ მინიშნებას, რომელიც მისიაში დააჩვენებს.

8. რას ეუბნება ღვთისმშობელი მძინარე ნინოს, როცა მას ვაზის ჯვარს გადასცემს:

- ა) რომ ის თავის მონინალმდეეთ ამ ჯვრით სძლეეს;
- ბ) რომ საქართველოში, ვაზის ქვეყანაში, ვაზის ჯვარი შეუძღვება;
- გ) რომ უფლის ძალა განუზომელია;
- დ) რომ უფლის ნება შეუცნობელია.

9. ლეონტი მროველი ნინოზე წერს:

„და ვითარცა მოიწა ეცესოდ. შექმნისკა დედაკაცსა ესმე პატოსანსა და წარჩინებულსა, სახელით რუოსიმე, და გამხრდილსა მისსა — გაიხუე და კეოლად მოძიდურდა და ასწავებდა მათ მცნებათა მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესთა.“

ნინოს რა მისია იკეთება ტექსტში?

- ა) ეფესოს (თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე უძველესი ქალაქის) განმანათლებლობა;



- ბ) ქრისტიანობის ცხოვრება და ნამება;
 - გ) მომავალ წმინდანთა განმანათლებლობა;
 - დ) ბრძანადმეცხველება და სასწაულმოქმედება.
10. გაიხსენეთ, რას უწოდებს ნინო ანგელოსთა გუნდს:
- ა) ზეცის ვარს; ბ) ზეციურ ლაშქარს;
 - გ) ზეცის მადლს; დ) ზეციურ წყალობას.
11. როგორცა და გაიანგ წამებისა და გარდაცვალების შემდეგ მარტო დარჩენილ ნინოს ზეციური ხმა ჩაესმის:

— ესრეთ იყოს წარუყენებაცა შენი, ოდეს ეკალი, რომელი შენსა გარემოს არს, იქნას ვარდის ფურცელი და სულნიელ შენ მიერ.

როდის გარდაიცვლება (სიმბოლოურ გააზრებით) ნინო?

- ა) როცა საქართველოში მოვა; ბ) როცა სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს;
 - გ) როცა უფალი ღვანლს აღასრულებინებს; დ) როცა თავის მისიას აღასრულებს.
12. გაიხსენეთ, რა ვითარებაში იხილა წმინდა ნინომ ანგელოსები:
- ა) მაშინ, როცა უფლის მიმართ ლოცულობდა;
 - ბ) მაშინ, როცა ანგელოსები რიფსიმესა და გაიანგს სულს იერთებდნენ;
 - გ) მაშინ, როცა უფალს თავის მარტოობას შესწიოდა;
 - დ) მაშინ, როცა მიდამო სურნელოვანი კვამლით იღარებოდა.

II ტაში

13. ლონტი მროველი წერს:
- „ასშინ აღდგა და წარვიდა ნეტარი ნინო და, მო-რაო-მოაწია ზაფხული, აღმოვიდა მათა ჯგუფიისათა და მქუმიჯა ტბასა, რომელსა ეწოდების ფარანია, და მუნ დადგრა ორ დღე. რა კონკრეტული პროცესი აისახება ტექსტში?“

- ა) ნინოს შემოსვლა საქართველოში;
- ბ) ნინოს მქადაგებლობითი მოღვაწეობა;
- გ) ნელინადის დროთა ცვლილება;
- დ) ნინოს დაყოვნება ფარანის ტბაზე (განიმარტება დაყოვნების მიზეზი).

14. რომელი ნიუანსის მიხედვით დავასკენით, რომ მეცხოველება ნინოს შემოსვლისას მეურნეობის მადალგანვითარებული დარგი იყო?

- ა) მწყემები ეროვნული და სარწმუნოებრივი შეგნების მქონე ადამიანები არიან;
- ბ) შორეულ ადგილებში მცხოვრები მწყემსები საზაფხულო სამოვრებს იყენებენ;
- გ) მწყემსები (და მეთევზეები) საქართველოში შემოსულ ნინოს პირველი ეგებებიან;
- დ) ავტორი მწყემსებს (და მეთევზეებს) პატივისცემით მოიხსენიებს.

15. მწყემსები ნინოს ეუბნებიან:
- ვარს მკადრნი ქალაქისა დიდისა მცხეთისანი, სადა დმქრანი დმქრობენ და მუციენ მყოფენ.

მცხეთის როგორი სტატუსი იკითხება ტექსტში?

- ა) მცხეთა ქართველთა ყველაზე დიდი ქალაქია;
- ბ) მცხეთაში მეურნეობის რამდენიმე დარგი ვითარდება;
- გ) მცხეთა ქართველთა მამამთავრის პირველსაცხოვრისია;
- დ) მცხეთა ქვეყნის სასულიერო და საერო დედაქალაქია.

16. გაიხსენეთ, რამ შეაშინა ფარანის ტბასთან მყოფი ნინო?

- ა) უცხო ადამიანებთან ურთიერთობამ;
- ბ) მისიის შეგრძნებამ, რომელიც მცხეთის ხსენებისას ერთბაშად გაუძლიერდა;
- გ) თოვლიანი მთების ხილვამ (ზაფხულის მიუხედავად);
- დ) „ბრწყინვალე კაცის“ ხილვამ.

17. ლონტი მროველი ურბნისში მასულ ნინოზე წერს:
- „ახიდა მას შინა ვრი უცხოთ, უცხოთა დმქრათა მასაჲთ, რომელნი ცეცხლსა და ქეათა და ძელთა ათეყნის-სეცხლეს“.

ქართველთა (უცხო ვრის) როგორი სარწმუნოებრივი სტატუსი აისახება ტექსტში?

- ა) ისინი მცირედმორწმუნენი არიან; ბ) ისინი კრპოთაყვანისმცემლები არიან;
- გ) ისინი ლეონისმოშიში არიან; დ) ისინი დამპყრობთა დმქრებებს აღიარებენ.

18. გაიხსენეთ, რის მიხედვით მსიკვლეგს ნინო გზას ფარანის ტბიდან მცხეთისაკენ:

- ა) ვარსკვლავებთან; ბ) ინტუიციის;
- გ) შემხედურთა მიერ მოსწავლეობის; დ) მდინარის დინების.



19. ლონტი მროველი არმაზის დღეობის გამო წერს:
 „...დასცეს საყურსა და აღიძრა სამრავლს ქრისაი ურიცხ; ფერად-ფერად შემოსილნი და გამოვიდოდეს ქალაქი“.

რით გამოირჩევა წარმართთა დღესასწაული?

- ა) ხალხმრავლობით; ბ) საყოველთაოობით;
 - გ) სარწმუნოებრივი აღტიკნებით; დ) საერო და სასულიერო ელემენტების აღრევით.
20. გაისხნეთ, როგორ აღმოხდა ნინო მცხეთაში:
 ა) მდინარის (მტკვრის) დინებას მიჰყვა; ბ) არმაზის დღეობაზე მიმავალ მლოცველებს გაჰყვა;
 გ) მეფის მიზობაზე გამოცხადდა; დ) შეპარავენებს გაჰყვა.

21. ლონტი მროველი არმაზის დღეობის გამო წერს:
 „...შემდგომად მკვირდისა იყო ქმანს მორიდებად გზისაგან, და გამოვიდა დედოფალი ნანა, და შეამკნეს ფულოცნი თუოსახითა სამოსლითა ყუაველითა თანა და სულენითა. ამისა შემდგომად გამოვიდა მეფე შირიან ებნისა და ქნარისა და ხმისა ნესტესაათა და მრავლითა სახიბითა“.

ქართლის საზოგადოების რომელი კონკრეტული ნიშანი იკითხება ტექსტში?

- ა) სარწმუნოებრივი საკითხებით დაინტერესება;
- ბ) თავისუფლების შეგრძნება;
- გ) განსხვავებული სარწმუნოებრივი პროფილის შეუნყნარებლობა;
- დ) ხელოვნების დარგების განვითარება.

22. რომელი ლითონები გვევლინება უძველესი კერპების: არმაზის, გაცის, გაიმის ძირითად „სასწენ“ მასალად (აღნიშნეთ ზუსტი თანმიმდევრობით):

- ა) რკინა, ოქრო, სპილენძი; ბ) სპილენძი, ოქრო, ვერცხლი;
- გ) ვერცხლი, ოქრო, რკინა; დ) ოქრო, სპილენძი, სპილენძი.

23. ლონტი მროველი არმაზის კერპზე წერს:
 „ხოლო აქუნდა ხრამლი, რომელი, ვითარცა ელივა, საზარელად იქცეოდა ჰელსა მისსა“.

რით ადარებს ავტორი არმაზის ხმელს ელივას?

- ა) ელვარებით; ბ) ზომით;
- გ) მოხაზულობით; დ) მოძრაობით.

24. გაისხნეთ, რომელი ძვირფასი ქვის (ქვების) თვალები ედგა არმაზის კერპს?

- ა) ბივრითისა და იაკინთის; ბ) იაკინთისა და ლალის;
- გ) ლალის; დ) ზურმუხტის.

25. ლონტი მროველი კერპების შემეურე ნინოზე წერს:
 „ხოლო რაჲ ესე ყოველი ნეტარმან ნინო, აღაპურნა ჰქონი ზეცად და ცრემლით ევედრებოდა და იტყოდა:

— უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო, აჩუქე ძვირფასა შენი და ყვე სასწაული“.

რას სთხოვს ნინო ღმერთს?

- ა) კერპების დაშობას; ბ) მოზიემ საზოგადოებაზე ზემოქმედებას;
- გ) სასწაულით გაკვირვებას; დ) ძალის ჩვენებას.

26. რა იკითხება ქუხილითა და მესხტეხითა შეძრწუნებული ადამიანების მოქმედებაში?

- ა) გაკვირვება; ბ) მონივნება უცხო, მანამდე უცნობი ძალის წინაშე;
- გ) პანიკა და არაორგანიზებულობა; დ) უნდობლობა საკუთარი კერპების მიმართ.

27. ლონტი მროველი წერს:
 „ხოლო კრპათა მათ სჯდა მოძწეოდა სტეჟავა, ვიდრემცის სრულიად დაჰუსრნა და დააწულინა, ვითარცა მტყუნო“.

რა გამოიწვია ბუნების სტიქიამ (ღვთის მრისხანებამ)?

- ა) კერპების ვანადგურება;
- ბ) მტკეთელების დაეჭვება მათივე კერპების ქვეშარტებაში;
- გ) მომავლის შიში;
- დ) შექმნა წარმოდგენისა, რომ კერპები სხვა კერპების ძალამ დაამხო.

28. გაისხნეთ, რით გაიცნო ნინო მცხეთის საზოგადოებამ:

- ა) კურნების უნარით; ბ) დაუცხრომელი ლოცვით;
- გ) ფიზიკური და სულიერი მშვენიერებით; დ) მნიშვნობრული ღვაწლით.

29. ლონტი მროველი კერპების გაქრობით გაკვირვებულ მცხეთელებზე წერს:
 „და ვითარცა ცხობამდებულნი, ურთიერთს განკრეკილნი ხელედიეს“.

მცხეთელების როგორი სულიერი მდგომარეობა იკითხება ტექსტში?

- ა) მღელვარება; ბ) მოულოწინლობა;
- გ) უმისამართო გაგულისება; დ) გაოგნება.



ქართული
ნიმუში

30. რამდენი ხანი გაატარა ნინო მყელიანმა (სადაც მას ხის კარავი ვედა)?
 ა) ერთი თვე; ბ) ექვსი წელიწადი;
 გ) ექვსი თვე; დ) ათი წელიწადი.
31. ლონტი მროველი ნანა დედოფალზე წერს:
 „და ცინათგან იფიცა ბოროტთა სენთა შეპყრობილ იყო, მეფობისა პატევი დაუბემა და მიწია წმიდისა მას.“
 რად მიაჩნია ავტორს სწული ნანა დედოფლის ნინოსთან მისვლა?
 ა) ქედმაღლობად; ბ) მიზანშეწონილ მოქმედებად;
 გ) ნინოს დაფასებად; დ) გაუაზრებელ მოქმედებად.
32. რით ხსნის მირიანი ნინოს, როგორც მკურნალის, ფენომენს?
 ა) არმაზისა და ზადენის წყალობით;
 ბ) თანდაყოლილი ნიჭიერებით;
 გ) არაფრით. ის მას აუხსენილად მიაჩნია;
 დ) არაფრით. ის მას ნანა დედოფლისა და ნინოს დამონაფებულ სხვა სეფექალთა გაზვიადებულ წარმოდგენად მიაჩნია.
33. ლონტი მროველი ნინოს მიერ ნანა დედოფლის ბიძის განკურნების გამო წერს:
 „ხოლო ცნა რაჲ მყევმან, ვითარმედ ქრისტესა ათაყუნა მათეარი იგი, განრისხნა და ბორგდა ფრადი ნინოსითვის და ნანა დედოფლისა, და აღდგა და განვიდა ნადირობად და იტყოდა:
 — შეშო-რაჲ-ეიქვე, შერი ვიდო მათგან შეურაცხებისათჳს დმქრთთა ჩემთასა.“
 რა მიიჩნია მირიანმა თავისი ღმერთების (კერპების) შეურაცხყოფად?
 ა) ღმერთების (კერპების) მნიშვნელობის უგულვებელყოფა;
 ბ) ნანას ბიძის განკურნება;
 გ) ღმერთებისთვის (კერპებისთვის) სათანადო პატივის მიუგებლობა;
 დ) ნანას ბიძის ქრისტესთვის თაყვანება.
34. რით ხსნის ნინო თავის, როგორც მკურნალის, ფენომენს?
 ა) მცხეთაში უფლის კვართის არსებობით;
 ბ) თანდაყოლილი ნიჭიერებით;
 გ) არაფრით. ის მას აუხსენილად მიაჩნია;
 დ) ლეთის ნებით. ის მას ლეთის მიერ დაკისრებულ მოვალეობად მიაჩნია.

III თავი

შენიშვნა: ვახტანგ როდონიას, ნინო ნაკუდაშვილის, ავთანდილ არაბულისა და მარინე ზუციშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოში ტექსტის ეს ნაწილი სათაურით „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოელისა ქართლისა წმიდისა და სტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ ცალკე ტექსტად შეტანილია.

35. მუხრანის მხარეს სანადიროდ გასული მირიანი თავის ოთხ თანამზრახველს ეუბნება:
 — ღირს ვართ ჩვენ დმქრთთა ჩუენთაგან ბოროტების ყოფისა, რამეთუ უღებ ვიქმნიით მსახურებასა მათსა და მოუშით ჩვენ ქრისტეანეთა გრძნეულთა ქადაგებდ სჯულისა მათსა ქვეყანასა ჩუენსა...
 რას იმსახურებს ქართლის საზოგადოება კერპთაყვანისმცემლობის მოკლებისა და ქრისტიან გრძნეულთა მიშეების გამო?
 ა) სასჯელს; ბ) გაკიცხვას;
 გ) სიბრალულს; დ) კერპების („ღმერთთა ჩუენთაგან“) წყალობის მოკლებას.
36. გაიხსენეთ, რად მიაჩნია ავტორს მირიანის განრისხება?
 ა) ვითარების გააზრების ლოგიკურ შედეგად; ბ) თანამზრახველთა მიერ ნაქმრების შედეგად;
 გ) მეფის პირად გადაწყვეტილებად; დ) ეშმაკის ქმედების შედეგად.
37. მირიანი თავის ოთხ თანამზრახველს ეუბნება:
 „ვაშხილოთ ნანას, ცოლსა ჩემსა, შენაება და დატეობა სჯულსა ჯვარცმულისასა და, თუ არა მქრადეს, დაეიფეყო სიყვარული მისი და სხვათაჲე თანა წარწყმდილი იფიცა.“
 ნანა დედოფლის რომელი ახალი ფუნქცია აკეთება ტექსტში?
 ა) ის სამეფო ოჯახის ბურჯია;
 ბ) ის ქართლელი სეფექალების ლიდერია;
 გ) ის ქრისტიანული მოძრაობის მონაწილეა;
 დ) ის განსხვავებული რწმენის მქონე ადამიანთა საზოგადოებრივ თანაცხოვრებას ქადაგებს.

38. გაიხსენეთ, რა კონკრეტული წინააღმდეგობა უნდა გადალახოს მირიანმა სირიხივე თქმით იმისათვის, რომ ნანა დედოფალს, როგორც ყველას, ისე მოეცქეს და ისე სიკვდილით დასაჯოს:

- ა) ოჯახის მთლიანობა ხელყოს;
- ბ) სიყვარული დაივიწყოს;
- გ) ნინას პატივისმცემელ საზოგადოებას დაუპირისპირდეს;
- დ) ნინას ნათესავების (პონტოს სამეფოს წარმომადგენლების) პოლიტიკურ წრეს დაუპირისპირდეს.

ქართული
ენების ინსტიტუტი

39. ლეონტი მროველი ქრისტიანობის მიმდევართა დასჯის თაობაზე მირიანის განცხადებასთან დაკავშირებით წერს:

„და დაუმტკიცეს განსრახვა მისი თანამზრახველთა მათ, რამეთუ მსურველედ იყვნეს ივანი საქმესა მას და ნებეთა პირველთაგან და ვერ იკადრებდეს განცხადებად“.

„თანამზრახველთა“ როგორი დამოკიდებულება იკითხება ტექსტში?

- ა) მათ მირიანის განცხადება აშიზებთ, რადგან ქრისტიანობის ფარული მიმდევრები არიან;
 - ბ) ისინი მირიანის განცხადებას არ ეთანხმებიან, რადგან ქრისტიანობის მიმდევრებს თანაუგრძნობენ და კიდევ მფარველობენ;
 - გ) ისინი მირიანის განცხადებას ემიჯნებიან, რადგან რადიკალური გადაწყვეტილების აუცილებლობას ვერ ხედავენ;
 - დ) ისინი მირიანს ეთანხმებიან, რადგან თვითონაც ასე ფიქრობენ, უბრალოდ, აქამდე ვერ ამბობდნენ.
40. გაიხსენეთ, რომელი მადლობის თხემზე გავიდა მირიანი კასპისა და უფლისციხის სანახების მოსახილველად:

- ა) თხოთის მთის; ბ) სვილოს ქედის;
- გ) კვერნაქის სერის; დ) მეტეხის მალალოსი.

41. ლეონტი მროველი მირიანზე წერს:

„მაშინ განგებითა ზეგარდმოთა მქცხულად ბნელთა შეპყრობილ იქნა და კმობდა იგი მონათა მიმართ და მთაკართა, ვითარამედ:

— დანუდღეს თუ აღნი ჩემნი, ხდომი თქვენ ხელათა ნათელსა? —

რა აისტერესებს მირიანს, უპირველეს ყოვლისა?

- ა) ჩამონარალი სიბნელე საყოველთაოა თუ მხოლოდ მას ეწია;
- ბ) როგორ შეხვდნენ თანამზრახველები მოულოდნელად დატყბილ უბედურებას;
- გ) ზომ არ სჯიან არმაზი და ზადენი ქრისტიანობის მიმდევართა მიმართ მკაცრი ზომების გაუტარებლობისათვის;
- დ) რას შეუძლია სიბნელის განქარვება.

42. გაიხსენეთ, რას სთხოვს მირიანი თანამზრახველებს, უპირველეს ყოვლისა?

- ა) რომ სიბნელები გზის გაკვლევას შეეცადნონ;
- ბ) რომ მოულოდნელად დატყბილ უბედურებას ვაეკაცურად გაუძლონ;
- გ) რომ ქრისტიანების მიმართ გამოკვეთილი აგრესიულობა მოინანიონ;
- დ) რომ არმაზსა და ზადენს მის განკურნებას ევედრონ.

43. სიცოცხლის იმედგადაწურულ („წარეწირა სასოება ცხოვრებისა მისისა“) მირიანს ქრისტეს მიმართ თხოვნის იდეა უნდება:

„აწ. თუ ოდენ ჩემთვის არს ჳით ესე ღმერთო ნინოსო. განმნათელე ბნელი ესე და მხენველ საყოველი ჩემი და გამომიბრწყინვე შე ნათელი, რათა აღვიართ სახელი შენი.“

რას მოასწავებს, მირიანსივე თქმით, ქრისტეს მიერ ბნელის განათება?

- ა) ქრისტიანობის მიმდევართა დევნის შეწყვეტას;
- ბ) ნინოს პატივგებას;
- გ) ქრისტიანობის მიმდევართა მღვერელების დასჯას; დ) მირიანის მიერ ქრისტიანობის მიღებას.

44. გაიხსენეთ, რას უწოდებს (თვალთდანელებსას) მირიანი ქრისტიანობას?

- ა) სინათლის სჯულს;
- ბ) რომაელთა („პრომთა“) სჯულს;
- გ) ნინაპართა მიერ წაანდერძევი სჯულის გამქარვებელს; დ) ჯვრის თავიანთსმცემელთა სჯულს.

45. სიბნელისგან გათავისუფლებული მირიანი უფალს მიმართავს:

„აას. ესერა მცემიბის, რამეთუ გინდა ხსნა ჩემს, ღმირება და მიახლება შენდა უფალი ქრისტოიული!“

როგორია, მირიანის აზრით, უფლის არსი?

- ა) უფალი სჯის; ბ) უფალი არჩევანის სამუალებას აძლევს;
- გ) უფალი აპოკოს; დ) უფალი მსსნელია.

46. რად მაინა მირიანს თავისი სიბრძნე?

- ა) განსაძედელად, რომელიც ქრისტემ უწმინოების გამო მოუვლინა;
- ბ) ცოცხლად ჯოჯობეთში ყოფნად;

- გ) განსაცდელად, რომელიც განრისხებულმა არმაზმა და ზადენმა გამოსაცდელად მოუტოვეს;
 დ) ხსნად, რომელმაც საინიო სინათლის ნაცვლად სულიერი სინათლე უნდა დაუმკვიდროს.
47. ლეონტი შროველი ნადირობიდან დაბრუნებულ მეფეზე წერს:
 „ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი გახვიდა მიგებებდ მეფისა, რამეთუ ქაჩხანს მშობელ
 წაწყმდა და კეკლად მოსტევა მშვიდობით“..
 რას გეაცნობებს ტექსტი?

- ა) რომ ნანა დედოფალი და „ყოველი ერი“ მირიანის დასახვედრად საგანგებოდ მომზადებულიყვნენ;
 ბ) რომ ნანა დედოფალი და „ყოველი ერი“ ქრისტიანობისათვის მზადყოფნას გამოხატავდნენ;
 გ) რომ ნანა დედოფალი და „ყოველი ერი“ მეფის მიმართ პატივისცემას გავერთიანებინა;
 დ) რომ ნანა დედოფალსა და „ყოველ ერს“ მეფის უახლესი თავგადასავალი სჩერადთ.
48. ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება სინამდვილის დასახატავად წინადადებაში: „და იყო, ვითარცა შემოვიდა მეფს, იძეროდა ყოველი იგი ქალაქი“?
- ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
 გ) გაპიროვნება; დ) ჰიპერბოლა.

49. ლეონტი შროველი მირიანის მცხეთაში დაბრუნებასთან დაკავშირებით წერს:
 „მაშინ იყო გრგვინვა და ტირილი ყოელისა კაცისა, ოდეს ხედედეს მეფესა და დედოფლსა ცრემლოვნათა“.

- რა საყოველთაო განწყობილება აისახება ტექსტში?
- ა) მწუხარება; ბ) შოში, რომელიც არმაზისა და ზადენის უარყოფის გამო ჩნდება;
 გ) აღტაცება; დ) გაურკვევლობა.
50. ვის სიხოვს მირიანი მღვდლების გამოგზავნას ნათლისღების ჩასატარებლად?
- ა) კაბადოკიელ მამებს; ბ) იერუსალიმის პატრიარქს;
 გ) ბერძენთა მღვდელმთავრებს; დ) ბერძენთა მეფე კონსტანტინეს.

IV თავი

51. ნინო კახეთის დედოფალ სუჯის სწერს:
 „მეფო, დღესა შენთა (შენს დროს) მოხვდა დმურთმან ქუეყანასა ამს, ნაპრალსა ჩრდილოსასა, რომლისა მთანი დაეფინეს ნისლსა ცოდვისასა და ეკლინი — აღმურთა ცთომისასა, ვინაეცა დღე — დამედ და ნათელი — ბნელიდა“.

- როგორია ნინოს წარმოდგენა ქრისტიანობამდელ ქართლზე (და კახეთზე)?
- ა) ნინო გრძობის მზადყოფნას, რომელიც ქვემარტივი სარწმუნოების მისაღებად აქ მუდამ არსებობდა;
 ბ) უალრესად ნეგატიური;
 გ) ნინო ქართლის (და კახეთის) მდგომარეობას საერთონარმართული სამყაროსათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ხსნის;
 დ) ნანილობრივ პოზიტიური.

52. ტროპული აზროვნების რომელ სახეობას ეფუძნება სახეები: ცოდვის ნისლი, ცდომის აღმური, რომელთაც ნინო წარსული მდგომარეობის დასახატავად იყენებს:
- ა) მეტაფორას; ბ) შედარებას;
 გ) გაპიროვნებას; დ) ჰიპერბოლას.

53. წმინდა ნინო კახეთის დედოფალ სუჯის თავის გარდაცვალებაზე სწერს:
 „არათუ დღე და მზე შეიცვალებინა წესთა ზედა მათთა, არამედ მე დღესა დაუღამდები და იგი პოეს უკუნისამდე“.

- რაზე მიუთითებს წმინდა ნინო?
- ა) სამყაროს წესრიგზე, რომელიც უცვლელი არ არის;
 ბ) პირად ნარმავლობასა და ქვეყნიერების მარადისობაზე;
 გ) ქართლის მომავალზე (მეტაფორულად);
 დ) ქართლის ქრისტიანულ მისიაზე (მეტაფორულად).

54. რა მოიმიქმედა, ავტორის მეტაფორული წარმოდგენით, წმინდა ნინომ (ფრაგმენტის ფინალში):
- ა) თვით ამაღლება და სხვებიც აამაღლა;
 ბ) ქართლი, კახეთი და პერეთი გაანათლა;
 გ) მომავლის საძირკველი გასკვანა;
 დ) თავის გარშემო არსებული ეკალი ვარდის ფურცლითა და სურნელით შემოსა.

1. იანე მინჩხი წერს:

„უანი წუნსი, და დღისი დღედ
უთარცა-რაი სისმარნი შოკლების რაცხუსა მას
ღამისანი, განქარდებიანი აღრიცხულთა დღეთა წუნეთასა...“
რას შეეხება იანე მინჩხის ტექსტი?

- ა) ადამიანის მოვლემის პრობლემას;
- ბ) ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემას;
- გ) დროის წარმავლობას;
- დ) ღირებულებათა მარადისობას.

2. როგორია ცხოვრების ხანგრძლივობა, იანე მინჩხის აზრით?

- ა) იშთავითვე განსაზღვრული (დათვლილი); ბ) დიდი;
- გ) შეუცნობელი (დაუთვლელი); დ) მცირე.

3. იანე მინჩხი წერს:

„და ყოელისაჲე დამხსნელ არს სიკვდილი,
ვიდუაწით, ძხნო, მოსვლადმედ მისა“.

როგორია სიკვდილის ძალა?

- ა) დამორგუნველი; ბ) ყოელისმომცველი;
- გ) დამაფიქრებელი; დ) ამამალღებელი.

4. გაიხსენეთ, რისკენ მოუწოდებს ავტორი მკითხველს („ძმებს“) პირველ სტროფში?

- ა) ლოცვისაკენ; ბ) სიკვდილის აზრთან შეგუებისაკენ;
- გ) მოღვაწეობისაკენ; დ) სიკვდილითა სიკვდილის დაორგუნვისაკენ.

5. იანე მინჩხი წერს:

„დიდ არს მადლი ნეთსა ცოდვისასა,
მარხისა და ლოცვისა, სადა იბოჟოს სინანული
დიდ არს ძალი სინანულისა, და უთარცა-რაი წყალი, დამშრეტელ არს
არას ძალ-უც ცრემლი ცეცხლისა მას ცოდვისასა“.

რა უკარგავს ძალას „ნეთსა ცოდვისასა“ (ცოდვის მიზეზს) და აქრობს ცოდვის ცეცხლს?

- ა) მარხვა; ბ) ლოცვა (მუდმივი მღვიძარება);
- გ) მოღვაწეობა; დ) სინანული (სინანულის ცრემლი).

6. ტროპული აზროვნების რომელი სახეობები გამოიყენება ავტორის მოსაზრების გამოსახატავად ფრაზაში „და უთარცა-რაი წყალი, დამშრეტელ არს ცრემლი ცეცხლსა მას ცოდვისასა“?

- ა) შედარება და მეტაფორა; ბ) მეტაფორა და გაპიროვნება;
- გ) გაპიროვნება და ჰიპერბოლა; დ) ჰიპერბოლა და შედარება.

7. იანე მინჩხი წერს:

„ღამე და დღე დაუქოყებლად სატანჯელთა საუკუნეთა
უკსუნებდეთ სიკვდილსა წუნსა, და ვახოედეთ სახარისაგან
ვიგონებდეთ შესადრწუნებელთა მათ სელთა გამოქნასა, ძხნო“.

რას უნდა შთავიზონდეს ადამიანს სიკვდილზე ფიქრი?

- ა) მოღვაწეობის სურვილს; ბ) სულზე ზრუნვას;
- გ) შიშზე ამაღლებას; დ) სიკოცხლებზე ზრუნვას.

8. გაიხსენეთ, როგორ უნდა იზრუნოს ადამიანმა სულის გამოსხნისათვის?

- ა) მან ის ღმერთს უნდა სთხოვოს; ბ) მან ის სხვათა სულებისთვის უნდა განიროს;
- გ) მან ის მოღვაწეობით უნდა მოიპოვოს; დ) მან ის უნაშაობისგან უნდა დაიცვას.

9. იანე მინჩხი პიმის ბოლოს დეტისმშობელს მისართავს:

„ეიხაროდენ, სიქადული წუნო,
ქადწული უბწო, ვიხაროდენ, სიძალი უხდლო,
ვიხაროდენ, მარამ დირსო, ვიხაროდენ, უხარწული დედაო
ვიხაროდენ, ქრისტეს მუჟისა წუნისაო“.

რისთვის გამოიყენება ეპითეტები?

- ა) უფლის არსის გამოსახატავად;
- ბ) ღვთისმშობლის არსის გამოსახატავად;



- გ) სულიერი და ხორციელი სანწყისების გამოსახატავად;
- დ) სულიერი და ხორციელი სანწყისების შეუთავსებლობის გამოსახატავად.
- 10. რას ახარებს აქტორი დევისშობელს?
 - ა) საყოველთაო მშვიდობას; ბ) საყოველთაო კეთილდღეობას;
 - გ) რწმენითა და სინანულით ცხოვრებას; დ) ჭამთასელის კანონებზე ამაღლებას.
- 11. რით განსხვავდება ითანე მინნის ჰიმნი ჩვენთვის ცნობილი საერთო პოეზიის ტრადიციული ნიმუშებისაგან?
 - ა) მიმართვის ობიექტის სხვადასხვაობით; ბ) რიტმისა და რითმის არქონით;
 - გ) ეპითეტების სიტყვებით; დ) ზოგადი მეტაფორული აზროვნებით.
- 12. რომელ ფრაზაში გამოიყენება "შედარება"?
 - ა) „გახაროდენ, სძალო უძლოო“;
 - ბ) „ღამე და დღე დაუფინყებლად ვიჭუნებდეთ სიკუდილსა ჩუნესა“;
 - გ) „დამშრეტელ არს ცრემლი ცეცხლსა მას ცოდვისასა“;
 - დ) „უამნი ჩუნენი, ვითარცა-რას სინზარნი ღამისანი, გაქარდებინან“.

**დავით აღმაშენებელი,
„ბალობანი სინანულიანი“
(გალობა I, IX — შემოკლებით)**

1. დავით აღმაშენებელი წერს:
 „რომლისაცა წინაშე
 ქედდარეკოდ არს ყოველი,
 მუხლი ყოველი მხედრეკის და ენა ყოველი
 რას სიხივს დაეთით ღმერთს (სიტყვას)?“
 ა) მფარველობას; ბ) თავის წიაღში მიღებას;
 გ) ქედდარეკილთა და მუხლმოდრეკილთა სასოებას; დ) ყურადღებას.
 2. დევის როგორი გაგება იკითხება პირველ სტროფში?
 ა) ღმერთი მფარველია; ბ) ღმერთი ყოველისმომცველია;
 გ) ღმერთი მონყალეა; დ) ღმერთი ყოველისშემძლეა.
 3. დავით აღმაშენებელი წერს:
 „შეცა, სიტყვათ,
 აღმსარებელსა მომხედენ.“
 ვის (რას) მიმართავს აქტორი?
 ა) სიტყვის ძალას, რომ მან ტექსტის შექმნა შეაძლებინოს (გაპიროვნება);
 ბ) ღმერთს (იონანეს სახარების ანალოგიით: „დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“);
 გ) განცდას, რომელსაც სიტყვა წარმოშობს (მეტაფორა);
 დ) სიტყვას, რომლითაც მისი მთავარი სათქმელი უნდა გამოიხატოს.
 4. ვინ არის დავითი (დავითისვე თქმით)?
 ა) აღმსარებელი (აღსარების მოქმელი);
 ბ) მართლმორწმუნე ქრისტიანი;
 გ) მეფეთ მეფე;
 დ) მოძღვართა მოძღვარი (როგორც მას თეოლოგები უწოდებდნენ).
 5. დავით აღმაშენებელი ღმერთს მიმართავს:
 „უასი რას წკლიდითა და ხმელთა ადმოფუნენითაი წარმოხდეს,
 ხარი მეფობისაი წარხდეს და დიდება დაშრეტეს,
 შეგებანი უქმ იქმნენ,
 ყუაილიონება დაქნეს,
 სხუამან მიიღოს სკამტრას,
 სხუასა შეუდგენ სპანი,
 მასინ შეხსწყადე მსაჯულო ნესო!“
 როდისთვის (რომელი ჟამისთვის) ითხოვს დავითი შეწყალებას?
 ა) როცა (თუკი) მისი მეფობა დასუსტდება;
 ბ) ავადმყოფობის ჟამისთვის;
 გ) როცა (თუკი), ბრძოლაში დამარცხებულს, სპა (ჯარი) შემოეცლება;
 დ) სიკვდილის ჟამისთვის.



6. რომელი მხატვრული ხერხი გამოიყენება „ჟამის“ არსის გამოსახატავად?

- ა) მეტაფორა; ბ) უპოტიტი;
- გ) გაბაროვნება; დ) შედარება.

7. დაეით აღმაშენებელი მარამ ღვთისმშობელს მიმართავს:

„არა უხილავს მხესა ქალწული დედაი თუნიერ შენსა,

არცა ჩქოსინად ბრალეულსა — ნათელი მისი“.

რითვის გამოიყენება შედარება და პიებრბოლა?

- ა) დაეითის სულიერი მდგომარეობის წარმოსაჩენად;
- ბ) დაეითის მიზანსწრაფულობის წარმოსაჩენად;
- გ) დაეითის თვითკრიტიკული ბუნების წარმოსაჩენად;
- დ) დაეითის სამართლისმოყვარეობის წარმოსაჩენად.

8. რას იმედოვნებს დაეითი (ფრაგმენტის ბოლო სტროფის მიხედვით)?

- ა) რომ მის მიერ დანერგილი იხ იხარებს;
- ბ) რომ ღმერთი ყველა ცოდვას მიუტევებს;
- გ) რომ ღვთისმშობლის მეოხებით ღვთებრივ ნათელს იხილავს;
- დ) რომ შთამომავლობა მის გულისთქმას გაიგებს.

**დავით აღმაშენებელი,
„ანდერძი“**

1. „ანდერძი“ ეკითხულობს:

„გებრძანებს და მოგახსენებს მყევამყევე დაეით. დღეთა შინა სიკვილისა და სოფლით განსულისა მისისათა, ჩემ მიერ, უნდოსა და უღირსისა“...

მეფის ცხოვრების რომელ მონაკვეთში იწერება „ანდერძი“?

- ა) გამეფებისას; ბ) დიდგორის ბრძოლის წინ;
- გ) სიკვილის წინ; დ) თბილისის გათავისუფლების წინ.

2. რა კონკრეტული ინფორმაცია იკითხება მონაკვეთის პირველ აბზაცში?

- ა) რომ მეფე განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობაში იმყოფება;
- ბ) რომ ანდერძს არა უშუალოდ დაეითი, არამედ, დაეითის კარნახით, ჩვენთვის უცნობი პირი წერს;
- გ) რომ დაეითი თავმდაბალი მეფეა;
- დ) რომ დაეითის ბიოგრაფიას დიდი გამარჯვებები ამშვენებენ.

3. დაეით აღმაშენებელი ამბობს:

„უკუდავ და დიდებისა მოყვარე და მეფობისა ტრფიადი მედეა ბუნება და არა მოიდეს მოიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საოფლადად მოსვლისა ჩემისა“...

რად მიახნია დაეითის სიცოცხლეში სიკვილის დავიწყება?

- ა) დიდებისმოყვარეობად (ამპარტავნობად); ბ) უგუნურებად;
- გ) ბუნების თვისებად (კანონზომიერებად); დ) გონიერებად.

4. როდემდე ვერ შეძლო დაეითმა, დაეითისე თქმით, საწუთროს მიტოვება (უგულღებლყოფა)?

- ა) შინაური მტრების მოთოკვამდე;
- ბ) თურქი დამპყრობების განდევნამდე (ვიდრე ლმობიერება ნაკლად მიაჩნდა);
- გ) ქვეყნის საბოლოო გაერთიანებამდე;
- დ) იქამდე, ვიდრე ის თვითონ სანუთრომ არ მიატოვა (სიკვილიამდე).

5. დაეით აღმაშენებელი შეიღზე, დემეტრეზე (დიმიტრისზე), ამბობს:

„ნამდვილ ქვეყნთარი ჯერ იყო მეფე, მოცემული დმრთისა მიერ მკვიდრთათვის სოფლისასა მართლმორწმუნეთა“.

რად მიახნია დაეითის სამეფო ხელისუფლება?

- ა) მართლმორწმუნეთა იმედად და ნუგეზად;
- ბ) ამქვეყნიურ მეუფებად;
- გ) იმად, რასაც ღმერთი ქვეყნის მკვიდრ მართლმორწმუნეებს აძლევს;
- დ) სამოქალაქო მშვიდობის გარანტიად.

6. როგორია დემეტრე (დიმიტრი) სიბრძნით, სიწმინდით, აზროვნებითა და სიმხნით?

- ა) მამაზე უკეთესი; ბ) მამის დარი;
- გ) იმედის მომცემი; დ) სწორუყოვარი.

7. დაეით აღმაშენებელი შეიღზე, დემეტრეზე, ამბობს:

„გამბეო მარადმოსაღულობასან დმრთისამან და, ქსურა, მარადა მე და უწოდა მეგას მეფობით, მამული და ახლად მოყვარული დუაწლითა ჩემითა და თქუნიითა; ნიკოქსითუან დარუბანდისა

ხედავდნენ და ოქსეიდიგან სოურად და არეგაწადმდე".

რის მეუბნება ხდება დემეტრეს (დიმიტრის)?

- ა) იმისა, რაც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია;
- ბ) იმისა, რაც შევსება და ქართველებს ახლად მოუპოვებიათ;
- გ) იმისა, რაც დაკარგული იყო და დავითმა დაიბრუნა;
- დ) იმისა, რაც დავითმა არამართლმორწმუნე მტერს წაართვა.

8. ვისი მეუბნება შეიძლება, იყოს (ყოფილიყო), დავითის მინიშნებით, ბედნიერი, სვიანი?
- ა) ამაზისის;
 - ბ) თვითონ მისი;
 - გ) დემეტრესი (დიმიტრისა);
 - დ) იმისა, ვინც დემეტრეს (დიმიტრის) შემდეგ იმეფებს.

9. დავით აღმაშენებელი თავის წარმატებებთან დაკავშირებით ამბობს:
 „ამას ყოველსა თანა წარუძღვანე წმიდას ძელი ცხოვრებისა და მიეცე დროსა ჩუხს სვიანი, აბჯარნი ჩუქნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩუქნი ზეზონი და ქვემონი“.

რით მიაღწია დავითმა წარმატებებს?

- ა) შეუპოვრობით;
 - ბ) გონებისა და ძალგულოვნების შეხამებით;
 - გ) საერთო-სახალხო თანადგომით;
 - დ) სულიერი და მატერიალური რესურსების მობილიზებით.
10. რა უნდა მოიმოქმედოს დემეტრემ (დიმიტრემ) სამეფო შემკვიდრებასთან დაკავშირებით?
- ა) არაფერი მოაკლოს და სრულყოს;
 - ბ) არაფერი მოაკლოს და ახალი საზღვრები შემატოს;
 - გ) ლმერთს მადლობა შესწიროს და მფარველობა სთხოვოს;
 - დ) სამართლიანად განაგოს.

11. დავით აღმაშენებელი შიომღვიმის ეკლესიაზე ამბობს:
 „ვისიდე ეკლესია, ჩემ მიერ აღმშენებული. დასრულებულად და მივიდე დიდცვა ყოველსა მამასა“.

რას შეეიტყობთ ამ ტექსტით?

- ა) რომ შიომღვიმის ეკლესია დავითს აუშენებია;
- ბ) რომ შიომღვიმის ეკლესიაში სამონასტრო ცხოვრება დამკვიდრებულა;
- გ) რომ შიომღვიმის ეკლესია დავითს განუახლებია;
- დ) რომ შიომღვიმის ეკლესიის მშენებლობა დავითის მეფობის შემდეგ დასრულებულა.

12. გაიხსენეთ, რას უწოდებს დავითი ღმერთს ფრაგმენტის ბოლოს (როცა მას „მტკიცეთა განმტკიცებას“ სთხოვს)?

- ა) ყოველთა ნათელს;
- ბ) ყოველთა გულისთქმას;
- გ) ყოველთა სიმტკიცეს;
- დ) ყოველთა სასოებას.

**არსან იხალთოელი,
 „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“**

1. დავით აღმაშენებელი (ეპიტაფიის ლირიკული გმირი) ამბობს:
 „ვის ნატარმაგვეს შეყენი თორმეტნი პურად დამქსხნეს“.

მეორე ვარიანტი:
 „ვის ნატარმაგვეს შეყენი თორმეტნი პურად დამქსხნეს“.

რის სიმბოლოა ნატარმაგვეში (ქართლის სამეფო რეზიდენციაში) შეიდი (თორმეტი) მეფის ერთობლივი პურობა (დავითის მიერ „დახსნა“)?

- ა) საყოველთაო მშვიდობის;
- ბ) დავითის, როგორც გამაერთიანებლის, ღვაწლის;
- გ) კოალიციური ერთობის შექმნის;
- დ) დავითის დიპლომატიური მოღვაწეობის.

2. რა მიანინა დავითს (ეპიტაფიის ლირიკულ გმირს) თავის დამსახურებად?

- ა) საეკლესიო რეფორმის ჩატარება;
- ბ) აღმშენებლობითი მოღვაწეობა;
- გ) უცხოელ დამპყრობთა განდევნა;
- დ) მნიგნობრული ღვაწლი.

3. დავითი აღმაშენებელი (ეპიტაფიის ლირიკული გმირი) წერს:
 „თქუხნი ამერთა წყაღისაგან იმერთა წყაღთა შაამქსნეს“.

რის სიმბოლოა თევზის „შაისხმა“ ამერთა (აღმოსავლეთი საქართველოს) წყლებიდან იმერთა (დასავლეთი საქართველოს) წყლებში?

- ა) საერთო ინტერესების გამოუმუშავების;
- ბ) ამერ-იმერის გაერთიანების;
- გ) ინტერესების აღრევის;
- დ) წინაპართა ღვაწლის გაორკვევის.

- ა) ღვაწლმოსილების;
- ბ) „ხელების დაბანის“;
- გ) დადლილობის (მეტის ვერშემძლებლობისა);
- დ) გარდაცვალების.

1. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„ვერ დავდები შეუყურელად ჩემდა ცეცხლისა მომდებრისად;
შემინდევ და წამატანე მოწყალება ღმრთაებრისად“.

*რა უძღვის ავთანდილის თხოვნას, რომ როსტევეანმა მის მიმართ ღვათაბერძე
შენდობა და მოწყალება გამოიჩინოს?*

- ა) მოქმედების მიზნის განმარტება;
- ბ) მოქმედების მიზეზის განმარტება;
- გ) მობოდიშება მეფისთვის შესაძლო გულისტკენის გამო;
- დ) მობოდიშება მეფისთვის გარდაუვალ გულისტკენის გამო.

2. როგორია, ავტორის თქმით, ავთანდილის ანდერძი (პირველი სტროფის მიხედვით)?

- ა) გულზე ცეცხლის მომდები; ბ) მოწინებით აღსავსე (პატრონის მიმართ);
- გ) სიბრალულის აღმძვრელი; დ) შენდობისა და მოწყალების თხოვნით გამსჭვალული.

3. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„ეცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გაზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“.

რისა ეიმედება ავთანდილს?

- ა) რომ როსტევეანი მას განზრახვას მოუწონებს;
- ბ) რომ როსტევეანი, როგორ აზრზეც უნდა დარჩეს, შეინყნარებს;
- გ) რომ როსტევეანი გზას დაულოცავს;
- დ) რომ როსტევეანი ადრე თუ გვიან, საბოლოოდ, მის გულისტკემს ჩახვდება.

4. სიცრუისა და ორპირობის ზემოქმედების როგორი დინამიკა იკითხება ციტატაში:

„სიცრუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერმე სულსა“?

- ა) სიცრუე და ორპირობა ადამიანებს ერთმანეთის ნდობას უკარგავს;
- ბ) სიცრუე და ორპირობა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებას — ორივეს ვნებს;
- გ) სიცრუე და ორპირობა ბოროტების სათავეს;
- დ) სიცრუე და ორპირობა, უკვე თვითონ, დასრულებული ბოროტებაა.

5. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსსა ბრძნობისა!?

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთა მწყობრთა წყობისა“.

რას წარმოადგენს ცოდნა (რომელსაც ადამიანი ფილოსოფოსთა ნაზრვევიდან იღებს)?

- ა) უსარგებლო ტვირთს; ბ) ცხოვრების გზამკვლევის;
- გ) მწყობრი აზროვნების საფუძველს; დ) ღვათაბერობასთან შერწყმის საშუალებას.

6. სიცრუის როგორი საზრისო იკითხება ფრაზაში: „თავია სიცრუე ყოელისა უბადობისა“?

- ა) სიცრუე ყოველგვარი მანკიერების სათავეა;
- ბ) ყოველი მანკიერება ადრე თუ გვიან სიცრუეში გადაიზრდება;
- გ) სიცრუე კეთილ სანყის სპობს;
- დ) სიცრუე ამდაბლებს.

7. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„ვინ დამბადა, შესულებაცა მანეე მომცა ძლევედ მტერთად,

ვინ არს ძალი უხილავი შემწვედ ყოელთა მიწიერთად“.

*რომელი ნიუანსი შეითითებს, რომ ავთანდილი ამ შემთხვევაში თავის დამბადებულს
უწოდებს არა მშობელს (დედას, მამას), არამედ ღმერთს?*

- ა) ავთანდილი წერს, რომ დამბადებულმა მას ძალ-ღონე ჩაუსახა;
- ბ) ავთანდილი წერს, რომ დამბადებულმა მას მტერ-მოყვრის გარჩევა ასწავლა;
- გ) ავთანდილი წერს, რომ ის, ვინც ის დაბადა, ყველას გულშემატკივარია.
- დ) ავთანდილი წერს, რომ ის, ვინც ის დაბადა, უხილავი ძალაა.

8. რა შეუძლია ღმერთს, ავთანდილის (ავტორის) ხატოვანი წარმოდგენით?

- ა) ყოველი მინიერის ამაღლება; ბ) ერთის ასად, ხოლო ასის ერთად ქცევა;
- გ) საზღვრების მოშლა; დ) დამზობილის აღდგენა.

9. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„აწ წასვლა იყო წამლი ჩემთა სახმდისა გუნებისა;
სადა ვინდ ეყო, რა მგასა, ყოფამცა მქონდა ნებისა“.

რას ანაცვადებს ავთანდილი თავის პირად მდგომარეობას („სადა ვინდ ეყო“)?



- ა) პირადი ნების ასრულებას;
- ბ) პირად თავისუფლებას;
- გ) თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას;
- დ) თავის საზოგადოებრივ მოვალეობას.

10. რომელი ფრაზით გამოიხატება ღვთის ნების აბსოლუტურობა:

- ა) „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“;
- ბ) „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“;
- გ) „მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების“;
- დ) „თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვებების“.

11. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლოდ ცრემლთა დენა,
არ გარდავა გარდუგადად მოძავალი საქმე ზენა“.

რას უწოდებს ავთანდილი „უსარგებლოდ ცრემლთა დენას“?

- ა) ბედის ნინაშე ქედის მოხრას;
- ბ) ნუხილს იმის გამო, რაც გარდაუვალია;
- გ) თხოვნას იმისა, რაც ღმერთს მოხოვნელზე უკეთ მოესწენება;
- დ) გაფუჭებულ საქმეზე ნუხილს.

12. რა უნდა დაუპირისპიროს „მამაცმა“ გარდაუვალ საქმეს?

- ა) მოთმინება;
- ბ) ყველა რესურსი, რომელთა მობილიზებაც კონკრეტულ ვითარებაში შეუძლია;
- გ) შეცვადლის, რომ ის, რის შენარჩუნებაც შეიძლება, შეინარჩუნოს;
- დ) ბედისწერის ნინალმდეგ ამხედრდეს.

13. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლიად,
გარდამხდეს და შემოვიქცე აღარ დამჩნეს გული ავლად“.

რა დაუტოვებს ავთანდილს (ვაიხსენეთ) გულს ავლად (ნაცრად, ვერფლად)?

- ა) როსტევეანის უკმაყოფილება;
- ბ) თინათინის უკმაყოფილება;
- გ) პირად მისიის შესრულებლობა;
- დ) ქვეყნის უბედურება.

14. რა იქნება სარგებლობა (ავთანდილისევე თქმით), რომელსაც ავთანდილი ტარიელის დახმარებით მიიღებს?

- ა) სახელი, რომელსაც მოიპოვებს;
- ბ) სულისკვეთება, რომელიც ორ სახელმწიფოს დააკავშირებს;
- გ) მოვალეობის მოხდის შეგრძნება;
- დ) ტარიელის წარმატება.

15. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„კაცი ჯაბანი რათა სჯობს დიაცსა ქსილსა მშებველსა?
სჯობს სახელისა მოხეცსა ყოველსა მოსახეველსა!“

რის ფონზე ცხადდება სახელის მოხეცის პრიორიტეტი (ყველა სხვა მიზანთან შედარებით)?

- ა) სიმამაცის ქების ფონზე;
- ბ) სიმბდალის გამოძის ფონზე;
- გ) თავისუფლების ქების ფონზე;
- დ) გულნამცეცობის გამოძის ფონზე.

16. ვაიხსენეთ, რომელ კონკრეტულ მსჯელობას მოსდევს ავთანდილის განცხადება: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილსა სახელოვანი“?

- ა) მსჯელობას სიცრუისა და ორპირობის მავნებლობაზე;
- ბ) მსჯელობას სიმამაცის მშვენიერებაზე;
- გ) მსჯელობას ქვეშარტ გრძობათა მარადიულობაზე;
- დ) მსჯელობას სიკვდილის აბსოლუტურობაზე.

17. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„აუ ვერა გნახე ცოცხალმან, ყოფამცა მქონდა უმისად!“

რომელ შესაძლო შემთხვევაზე წერს ავთანდილი?

- ა) თავის გარდაცვალებაზე;
- ბ) ტარიელის გარდაცვალებაზე;
- გ) როსტევეანის გარდაცვალებაზე;
- დ) რალაც საერთო ტრაგედიაზე.

18. რატომ უნდა ეჭმინოდეს (გაბედვა უჭირდეს) ავთანდილს მიწერა იმისა, რასაც როსტევეანს სტროფში „მერმე ვიშაშუა, მეფეო“... სწერს?

- ა) იმიტომ, რომ მეფეს თავის გარდაცვალებაზე სწერს (რამაც მეფეს, შესაძლოა, გული ატკინოს);
- ბ) იმიტომ, რომ მეფეს ტარიელის გარდაცვალებაზე სწერს (რამაც მეფეს, შესაძლოა, გული ატკინოს);
- გ) იმიტომ, რომ მეფეს მის გარდაცვალებაზე სწერს (რამაც მეფე, შესაძლოა, გააბრაზოს);
- დ) იმიტომ, რომ მეფეს სიკვდილის გარდაუვალობაზე ესაუბრება (რაც მეფეს ისედაც დამძიმებულ გუნებას უარესად დაუმძიმებს).



19. ავთანდილი როსტევეანს სიკვდილზე სწერს:

„მოკა შექმნილი ყოველია ერთგან დღისა და დამსადად...“

რა არის სიკვდილი?

- ა) ძალა, რომელსაც დღისით თუ ღამით ყველას შეურა შეუქლია;
- ბ) ძალა, რომელიც დღესა და ღამეს არ ასხვევებს;
- გ) ძალა, რომელიც დღისა და ღამის გამაერთიანებელია;
- დ) ძალა, რომელიც ყველა ადამიანს (ყოველთა) მარადიულ დღეს (მარადიულ ნათელს) აზიარებს.

20. რით ამართლებს ავთანდილი სიკვდილზე (უსიამო თემაზე) საუბარს?

- ა) მიაჩნია, რომ ყველა, ვინც სიკვდილს ყოველნამს არ ელოდება, ცდება;
- ბ) მიაჩნია, რომ სათქმელი, თუნდაც უსიამო, უნდა ითქვას;
- გ) მიაჩნია, რომ უთქმელობას ზოგჯერ თქმა სჯობს;
- დ) მიაჩნია, რომ თქმით ამჯერად არაფერი შეადება.

21. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„აუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოზელმან,
 დარიბი მოკვდე დარიბად, ვერ დამტიროს მშობელმან,
 კვდარ შემსუდრონ დასრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
 მუნ შემოწყადოს თქქმანეე გულმან მოწყადე, მღმობელმან.“

რას სთხოვს ავთანდილი როსტევეანს?

- ა) მხარდაჭერას რთულ გზაზე;
- ბ) გაგებას დაუციხთხავად გაპარვის გამო;
- გ) თანამოაზრობას პრინციპულ საკითხებში;
- დ) სიბრალულს უცხო მხარეში დაღუპვის შემთხვევაში.

22. რას მოელის ავთანდილი მთელი ქონების გლახაკათათვის დარიგების სამაგიეროდ (დაღუპვის შემთხვევაში)?

- ა) გლახაკთა ლოცვას, რომ ღმერთმა მისთვის სასურველი იმქვეყნიური „მამული“ დაუფუციდროს;
- ბ) სიყვარულსა და მონივნებას, რომლებითაც გლახაკები მისი ხსოვნის მიმართ განეწყობიან;
- გ) ქვეყნად სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას;
- დ) დიდებას, რომლითაც ღვანღმობის სახელი ამქვეყნად შეიმოსება.

23. ავთანდილი დმურთზე წერს:

„დამხმანს ბნელსა და ნათელი შემოსოს ზესთა ზენისა,
 მუნ დამოუნჯოს, წამლი სადა მქს წყლელთა ღხენისა.“

რას ეძიებს ავთანდილი?

- ა) მშვიდობას;
- ბ) წარმატებას;
- გ) განსაცდელს, რომელსაც, სჯერა, წარმატებით სძლევა;
- დ) იმქვეყნიურ სასუფეველს.

24. რის სიმბოლოა მდილი (მდილთა), რომელზედაც ავტორი სულიერი ძიებისადმი მიძღვნილ სტროფში (დამხმანს ბნელსა და ნათელი შემოსოს ზესთა ზენისა) წერს:

- ა) ცოდვის;
- ბ) ამქვეყნიური წერილმანების;
- გ) მუდმივი სიფხიზლის;
- დ) მუდმივი მოძრაობის.

25. ავთანდილი როსტევეანს სწერს:

„ამას თუთი ნემგან ნემს ამბავცა არ გეცნვეს,
 ამად გემდრებ სულსა ნემსა, წიგნი გკადრებს, არ გვირევის,
 არას არგებს, ემსაკისა საქსუთავან დაქდევის...“

როგორ განუმარტავს ავთანდილი როსტევეანს სულის შექვედრებისა და წერილის მიწერის მიზეზს?

- ა) მისი ამბავი მას ამის მტკად აღარ ეცნობებოდა;
- ბ) თავის აზრს წერილის საშუალებით უკეთ ჩამოაყალიბებდა, ვიდრე უშუალოდ შეხვედრისას;
- გ) წასვლის ამბავი რამე ფორმით აუცილებლად უნდა ეცნობებინა;
- დ) ბევრი საკითხი (დაღუპვის შემთხვევაში) გაურკვეველი დარჩებოდა.

26. ვის (რას) ავედრებს ავთანდილი როსტევეანს?

- ა) თავის ოჯახს;
- ბ) თავის სამას;
- გ) შერმაღინს;
- დ) თავის ქალაქს.

27. ავთანდილი როსტევეანს სთხოვს:

„ნუ სქმუნავთი ნემსოვის მუქენი, ნუ ხართ მოსიღნი პელითა,
 სუქვეთამცე ხართ თაყთა, მტერთავან საქინდელელთა!“

განმარტეთ „მტერთავან საქინდელელთა“:

- ა) მტრისგან მოსარიდებელი, გასაფრთხილებელი;
- ბ) მტრისგან უძლეველი;
- გ) მტრისთვის მოსარიდებელი, საშოში;
- დ) მტრისთვის მოუხელთებელი.

28. რას უწოდებს ავთანდილი როსტევეანს ანდერძის ბოლოს?

- ა) პატრონს;
- ბ) გამზრდელს;
- გ) მეფეთა მეფეს;
- დ) ქვეყნის მმართველს.

29. ავთანდილმა ანდერძის ტექსტი შერმადინს გადასცა:

„უთხრა: „იკადრეო შევესა საქმითა შეცნირითა,
შენ დაგამეტებს კერავენ მსახურებითა კერთა“.

რისა ეიმედება ავთანდილს?

- ა) შერმადინის ერთგულების; ბ) შერმადინის სახელისა და ავტორიტეტის;
- გ) შერმადინის მჭევრმეტყველების; დ) შერმადინის გონიერებისა და კეთილმსახურების.

30. რისთვის გამოიყენება მეტაფორული ეპითეტი ფრაზაში: „მოეხუთა (ავთანდილი შერმადინს) და ატირდა ცრემლითა სისხლის ფერთა“?

- ა) შერმადინის ემოციის გამოსახატავად; ბ) ანდერძის შინაარსზე ხაზგასასმელად;
- გ) ავთანდილის ემოციის დასახატავად; დ) ავთანდილის პასუხისმგებლობაზე ხაზგასასმელად.

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“

**წიგნი ნესტან-დარეჯანისა
საყვარელთან მიწერილი**

1. შოთა რუსთაველი ნესტან-დარეჯანზე წერს:

„აწ საყვარელსა მოუწერს გულ-ამოსკენილი, მტირალი,
მისმანვე ცრემლმან დაუვისს, ვის ედებოდის ვის აღო.“

ნესტან-დარეჯანის როგორი სულიერი მდგომარეობა აისახება ეპითეტებში: გულ-ამოსკენილი, მტირალი?

- ა) ნესტან-დარეჯანი შეშფოთებულია; ბ) ნესტან-დარეჯანი აღშფოთებულია;
- გ) ნესტან-დარეჯანი ნუხილს იოკებს; დ) ნესტან-დარეჯანი ნუსხს.

2. როგორია (გაისხენეთ) წერილი, რომელიც ნესტან-დარეჯანმა ტარიელს მისწერა?

- ა) თავშეკავებული; ბ) გულის გამგმირავი;
- გ) სამოქმედო გეგმის შემცველი; დ) წლების მანძილზე თავს გადახდენილი ამბებით გაჯერებული.

3. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

„ჟე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადეაწები,
ტანი კალმად მაქეს, კალამი ნაველისა ამონაწები.“

რისთვის გამოიყენება მეტაფორა?

- ა) ნესტან-დარეჯანის მდგომარეობის დასახატავად; ბ) ტარიელის მდგომარეობის დასახატავად;
- გ) ნესტან-დარეჯანის განცდის დასახატავად; დ) ტარიელის განცდის დასახატავად.

4. რომელი ტაქტი მუთითებს, რომ ნესტან-დარეჯანი მძიმე ემოციისაგან გათავისუფლებას არ ცდილობს ანუ ბედს არსებითად შეგუებულია?

- ა) „ვარდი გააბის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალ“;
- ბ) „მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსა ვანები“;
- გ) „ბულო, შვეგულო, დაბმულხარ, ნუ აქსნები, ან ები“
- დ) „უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაჰმე, რა დივი ძელია“

5. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

„ახედაეცა, ჩემო, სოფელი რათა საქმითა მქმნელია!
რა ხომცა ნათობს სინათლე, ჩემსთვის კერეცა ბნელია“.

რა არის უბედურების სიმბოლო?

- ა) სოფელი (ნუთისოფელი); ბ) ბედი;
- გ) სინათლე, რომელიც გულს ველარ ახარებს; დ) სიბნელე.

6. რომელ ტაქტში აისახება ნესტან-დარეჯანის თვალსაზრისი სოფლის (წუთისოფლის) საერთო უარყოფით ბუნებაზე?

- ა) „ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან სანუნელია“;
- ბ) „ახედაე, ჩემო, ვით გაგყარნა სოფელმან და ეამან კრულმან“;
- გ) „ან სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა“;
- დ) „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩემზედა ცისა შეიღისა“.

7. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

„ნეტარ, რა ქმნას უქმნიონს გულმან, შჩგან დღაახურელმან!
კაფაცხადა დამადელი გონებაჲს დაფარულმან“.

რა მოიმიქმნა ნესტან-დარეჯანის დაფარულმა (დრმა, სიღრმისეულმა) გონებამ?

- ა) გული დაღაბვრა; ბ) თქვა ის, რაც აქამდე ატარა, არ უთქვამს;
- გ) დაღაბვრულ გულს საფიქრალი გაუჩინა; დ) იმედი გააღვიძა.



**ეროვნული
ცენტრი
საგანმანათლებლო
მეცნიერებათა
და მეთოდის საკითხებში**

8. რა კონკრეტული სიახლეა ნესტან-დარეჯანის ცხოვრებაში, რა ხდება (საქმე) ისეთი, რაც აქამდე განცდილ ვეგულა ჭირს ღხინით გადაწონს?

- ა) იმედდაკარგულმა, ფატმანის წერილი მიიღო; ბ) გარე სამყაროსთან კონტაქტი აღადგინა;
- გ) ლოცვის საშუალება მიიღო; დ) შეიტყო, რომ ტარიელი ცოცხალია.

9. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:
 „შენი სიცოცხლე მყოფის ჩემდ იმედად გულისად.
 გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად“
 რით იცოცხლებს ნესტან-დარეჯანი?

- ა) ტარიელის სიცოცხლით; ბ) იმედით;
- გ) წყლულით, რომელიც განუკურნელია; დ) გულისტქმით, გულის კარნახით.

10. განმარტეთ სიტყვის მხრდელად მნიშვნელობა ნესტან-დარეჯანის ფრაზაში: „ეზო მხრდელად სიყვარულისა მის ჩემგან დანერგულისად“.

- ა) ნესტან-დარეჯანმა თავის თავში ტარიელის სიყვარული უნდა აღზარდოს;
- ბ) ნესტან-დარეჯანმა ტარიელში თავისი სიყვარული უნდა აღზარდოს;
- გ) ნესტან-დარეჯანმა ტარიელის სიყვარული უნდა შეინახოს, ახაროს;
- დ) ნესტან-დარეჯანმა კეთილი ნერგის ნაყოფი უნდა მიიღოს.

11. ნესტან-დარეჯანი ფატმანის მიერ მის შველაზე („ფატმან წამგვარა გრძნეულთა“) წერს და დასძინებს:

„აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა.
 არ დასჯერდა ბუღი ჩემი მათ პატიუთა მრაველ-გვართა.“

რაზე წუხს ნესტან-დარეჯანი?

- ა) უბედურებათა განუწყვეტელ ციკლზე;
- ბ) უბედურებაზე, რომელიც მას მომავალში ელოდება;
- გ) ბედის ბუნებაზე (წესზე, თავისებურებაზე);
- დ) ბედისადმი დაუმორჩილებლობაზე.

12. გაიხსენეთ, რა იყო უარესი ჭირი, რომელიც ბედმა ნესტან-დარეჯანს გრძნეულთა ტყვეობის შემდეგ არგუნა:

- ა) მალვა ფატმანის სასახლეში; ბ) გულანშაროს განსაცდელი;
- გ) გატყვევა და მარტოობა; დ) ქაჯთა ტყვეობა.

13. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:
 „შენ მკვდარსა გნახავ; დავოწო, ვითა აბუღი კვესითა;
 მოგშორდი, დამამე გულითა, კლდისაცა უმავრესითა“

რითვის დასტორდება ტარიელს კლდეზე უმავრესი გული?

- ა) ქაჯებთან შესაბამელად; ბ) ქაჯეთის მცველებთან შესაბამელად;
- გ) ნესტან-დარეჯანთან შესაყრელად; დ) ნესტან-დარეჯანის დასათმობად.

14. გაიხსენეთ, ქაჯების ყოფის რომელ თავისებურებას გამოთარჩევს ნესტან-დარეჯანი მაშინ, როცა მათ პირველად ახსენებს?

- ა) იდუმალ ცოდნას; ბ) წერს, რომ ისინი მიუვალ ქალაქში ცხოვრობდნენ;
- გ) ჯადოს მართვის უნარს; დ) წერს, რომ მათთან ომი ძნელია.

15. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:
 „არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
 ან თავსა კლდესა ჩავიქცევე ანუ მოვიკლავ დანითა“.

გაიხსენეთ, რა უღების ნესტან-დარეჯანის განცხადებას შესაძლო თვითმკვლელობის თაობაზე:

- ა) ნესტან-დარეჯანი ტარიელს ამჟღავნებს, არ იფიქროს, რომ ის (ნესტან-დარეჯანი) ოდესმე სხვისი გახდება;
- ბ) ნესტან-დარეჯანი ტარიელს აფრთხილებს, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში თავს მოიკლავს;
- გ) ნესტან-დარეჯანი ტარიელის გარეშე ვერ გაძლებს;
- დ) ნესტან-დარეჯანი სინანულს (რომელსაც აქამდე გაუძლო) ვეღარ გაუძლებს.

16. განმარტეთ სამი მზენა.

- ა) სამი ვარსკვლავი (პირდაპირი მნიშვნელობით);
- ბ) სამი მზე (ზღაპრული წარმოდგენით);
- გ) სამი მეგობარი (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი);
- დ) ჭაბუკი, რომელიც სამი მზის მსგავსია (შედარებითი ეპითეტი).

17. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს (იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმე მის დასაკუთრებას შეეცდებოდა):

„აქათ თავსა გარდავიქცევე ახლოს მახვიან დიდნი კლდენი.“

K.36-254



სული ჩემი შევიდრე, ზეცით მომხედენ ნუყო ფრთის!
რას სიხოვს ნესტან-დარეჯანი ტარიელს (იმ შემთხვევისთვის,
თვითმკვლელობით დაამთავრებს)?



- ა) სულის შევიდრებას; ბ) არდავინყებას;
- გ) ინდოეთის პატრონობას; დ) სიკვდილშიც ერთგულებას.

18. რას იმედოვნებს დარეჯანი თვითმკვლელობით?

- ა) ცხადი ანჭყოს დამთავრებას; ბ) ბუნდოვანი მომავლის დაწყებას;
- გ) ზეცად დამკვიდრებას; დ) სიცარიელის გაქრობას.

19. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

ღმერთსა შევიდრე, ნუყო კელა დამხსნას სიფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყლსა და მწასა, ჰაერსა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთები და აფურინდე მივხვედე მას ჩემსა ნდომსა,
და დღისით და ღამით ეხედედე მხისა ელვათა კრომასა."

რად ყოფს ნესტან-დარეჯანი სამყაროს?

- ა) სააქოად და საიქიოდ; ბ) ქვესკნელად, შუასკნელად, ზესკნელად;
- გ) მიწად და ზეცად; დ) არაფრად, სამყარო, მისი აზრით, განუყოფელი მთელია.

20. რომელ სივრცეში ვითარდება, ნესტან-დარეჯანის წარმოდგენით, „სიფლისა შრომა“, ამქვეყნიური სატანჯველი, რომლისგან თავის დაღწევისაც ის ითხოვს?

- ა) ზეცაში, რომელშიც ადამიანის ადგილი არ არის;
- ბ) დახშულ სივრცეში, რომელშიც ის, ნღებია, იმყოფება;
- გ) ცეცხლში, წყალში, მიწაზე, ჰაერში;
- დ) ყველგან, სადაც ადამიანი მარტოა.

21. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს, ღმერთს ევედროს, რომ —

მომცნეს ფრთები და აფურინდე, მივხვედე მას ჩემსა ნდომსა,
დღისით და ღამით ეხედედე მხისა ელვათა კრომასა."

რას წარმოადგენს „მზე“?

- ა) სიცოცხლის წყაროს; ბ) მარადიული სინათლის წყაროს, რომელიც ნათელს ღამითაც გამოსცემს;
- გ) ტანჯულის შვებას; დ) მარადიული სიბოძის წყაროს, რომელიც სამყაროს ღამითაც ათბობს.

22. გაიხსენეთ, რად მიიჩნევს ნესტან-დარეჯანი ცაში აფრენას?

- ა) ვარსკვლავებთან ყოფნად; ბ) მზის სხივებით (ელეებით) ტკბობად;
- გ) თავისი ნდომის ასრულებად; დ) თავისუფლებად.

23. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

მზე უშწოდე ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამა მას გახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა განხო, მადვე განხო, გახსნათლო გული ჩრდილი."

რატომა ნესტან-დარეჯანი დარწმუნებული, რომ ზეცაში, მზესთან ყოფნისას, ტარიელს შეხედება?

- ა) ტარიელი მზის ნიღბდომილია (ტექსტში მისი ეპითეტებია ლომი, მზე, ნესტან-დარეჯანისა — ვეფხე, მთვარე);
- ბ) ზეცა ადამიანთა მარადიული სამყოფელია;
- გ) ტარიელი მშვენიერებით მზეს სჯობს ანუ მისი ადგილი ცაშია;
- დ) მიწა კლავს, ზეცა აცოცხლებს.

24. რა „დაატეობობს“ ნესტან-დარეჯანის სიკვდილს, ადამიანისა, რომელმაც მწარედ იცხოვრა?

- ა) ამქვეყნიური ტკივილისგან გათავისუფლება; ბ) მზის სიახლოვეს ყოფნა;
- გ) ტარიელის ბედნიერების შეგრძნება; დ) ტარიელთან (ზეცაში) ყოფნა.

25. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

მე სიკვდილი ადარ მიმძისს, შემოვიდრებ რათგან სულსა,
მაერა შენი სიყვარული ჩაიქანე ჩამრსა გულსა;
მომყვანის მოშიორება, მესატების წელელი წელულსა—

ნესტან-დარეჯანის სიკვდილი განაგები მიზეზის გამო ადარ უმძიმს, ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება ნესტან-დარეჯანის განწყობილების დასახატავად?

- ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
 - გ) გაპიროვნება; დ) ჰიპერბოლა.
26. რას სიხოვს ნესტან-დარეჯანი ტარიელს?
- ა) რომ მან ნესტან-დარეჯანის სიყვარული არ იტოროს და არ იგლოვოს;

- ბ) რომ მან ნესტან-დარეჯანი არ იტყვიოს და არ იგლოვოს;
 გ) რომ მან ნესტან-დარეჯანის სიყვარული ზარდოს;
 დ) რომ მან ნესტან-დარეჯანის წყლული წყლული არ შემატოს.

27. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

„წაიღო, ინდოეთის მამარათე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
 მტერითაგან შეიწირებულსა, ყოილენით ხელ-აუჭურბოელსა“.

ვის (რას) მიჰმართება ტექსტში გამოყენებული ვითუებები?

- ა) ინდოეთს (სახელმწიფოს); ბ) ფარსადანს (ნესტან-დარეჯანის მამას);
 გ) ინდოეთს (მის ძირითად სამეფოებს); დ) ნესტან-დარეჯანის მშობლებს.

28. ვინ უნდა აღზინოს ინდოეთში დაბრუნებულმა ტარიელმა (ნესტან-დარეჯანის თქმით)?

- ა) ის, ვინც ნესტან-დარეჯანისთვის მტერია;
 ბ) ის, ვინც ნესტან-დარეჯანისთვის ცრემლშეუშრობელია;
 გ) ის, ვინც ნესტან-დარეჯანის მოშორებას ითმენს;
 დ) ის, ვისაც არასდროს უღებია (შეუბრალოა).

29. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

„რაცა ვითილე ბედისა ჩემისა, კსა საჩივრად,
 ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“.

რის ნაყოფად მიაჩნია ნესტან-დარეჯანს თავისი ჩივილი?

- ა) მრავალწლიანი ტყვეობის; ბ) უსამართლობის მიერ დათრგუნვის;
 გ) მართალი გულის; დ) აქამდე გამოუთქმელი განცდის.

30. როგორ წარმოუდგენია ნესტან-დარეჯანს გულთა კაეშირი?

- ა) ეს ერთიანი დუღაბია; ბ) მართალი გულის სამართალი სხვა გულსაც სწვდება;
 გ) გული გულს ენდობა; დ) გულები სიყვარულისთვის ძვერენ.

31. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

„შენთვის მოგკედები, გაეხდები ყორანთა დასაყვიარად,
 ვორე ცოცხად ვარ, გეყოფი სატროლად და სატკეყარად“.

როგორ წარმოუდგენია ნესტან-დარეჯანს თავისი მომავალი?

- ა) სიცოცხლესა და სიკვდილში იმედინად;
 ბ) სიცოცხლესა და სიკვდილში უიმედოდ;
 გ) სიცოცხლესა და სიკვდილში ტარიელისთვის;
 დ) სიცოცხლესა და სიკვდილში ტარიელის გარეშე (რაც მას უდიდეს ტკივილს აყენებს).

32. რის სიმბოლოა შეიდი ცის „ბორბლს“ რისხვით მიბრუნება?

- ა) სრული განწირულობის; ბ) უზედურებისა, რომელსაც უნდა გაუძლოს;
 გ) უსამართლო განაჩენის; დ) უზედურებისა, რომელსაც, შესაძლოა, გაუძლოს.

33. შოთა რუსთაველი ნესტან-დარეჯანზე, რომელმაც რიდე მოიხადა, წერს:

„აჲე-მოხადისა დაუშენდა სისხო, სიგომე, ამათა ფერი,
 აღვისაგან სელი მოქრის, ყორნის ფრთათა მონაბერი“.

რომელი ნიშნის (ნიშნების) მიხედვით ახასიათებს ავტორი ნესტან-დარეჯანს?

- ა) სულელების („აღვისაგან სული მოქრის“);
 ბ) განწირულობის („ყორნის ფრთათა მონაბერი“. გაიხსენეთ: „მოგკედები, გაეხდები ყორანთა დასაყვიარად“);
 გ) გონიერებისა და კეთილშობილების;
 დ) გარეგნობის („თავმოხადისა დაუშენდა“).

34. რა და ვისი ხელით გაუგზავნა (გაიხსენეთ) ნესტან-დარეჯანმა ტარიელს?

- ა) თმის ნაჭერი გრძნეული მონის ხელით; ბ) მანწავის ნაჭერი ერთ-ერთი ქაჯის ხელით;
 გ) რიდის ნაჭერი გრძნეული მონის ხელით; დ) რიდის ნაჭერი ერთ-ერთი ქაჯის ხელით.

**სულხან-საბა ორბელიანი,
 „მოგზაურობა ევროპაში“
 (ნაწყვეტები)**

1. სულხან-საბა ორბელიანი რომის პაპის სასახლეს აღწერს და დახმენს:

„შემყვანეს მძიმარი სახლში იჯდა ერთი კართან გეათაყვანეს, ერთი შუა სახლში და მქრქე
 უფის გეაკოვანეს, ათეუქ მოსიხვია და, მოქრითი ჯდომს წესა, არ დამხოქა, უფსუქ დასყენა“.

რომის პაპის როგორი დამოკიდებულება იკაობება ტექსტში?

- ა) ჩვეულებრივი („პროტოკოლური“); ბ) გულთბილი;
 გ) განსაკუთრებული; დ) გაურკვეველი.



ქართული ენციკლოპედია

2. გაიხსენეთ, როდის ვახლა სულხან-საბა ორბელიანი რომის პაპს?

- ა) თიბათვეში (იენისში); ბ) მკათათვეში (ივლისში);
- გ) მარიამობისთვეში (აგვისტოში); დ) ენკენისთვეში (სექტემბერში).

3. სულხან-საბა ორბელიანი გადმოგცემს მას, რაც რომის პაპს უთხრა მასწავლებელმა მანამდე გულსასველ შეყოქენ. ყველა გამორიცხდება-ყოქისა.

- ა) ამბობს, რომ ქრისტიანული საქმეები მიგდებოდა (მიყრილია) და გარკვეულ ღონისძიებას საჭიროებს;
- ბ) ამბობს, რომ ვახტანგის (იგულისხმება) ქვეყანაში მომავალს იმედით შეცქერია;
- გ) წუხს, რომ ყველა დაპირება "მიეგდო", ჩიოვდა;
- დ) ამბობს, რომ, რაც ვახტანგი (იგულისხმება) მას მიენდო, დაიმედდა, რომ ყველა საქმე მოგვარდებოდა.

4. რა კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს სულხან-საბა ორბელიანის „მოსხენება“?

- ა) რომ ქრისტიანობა საქართველოში განსაცდელშია;
- ბ) რომ დასავლეთის ხედვას კონკრეტულობა აკლია;
- გ) რომ ვახტანგი ტყვეობაში (იგულისხმება) იმყოფება და დახმარების დაგვიანება მას არას არგებს;
- დ) რომ ქრისტიანობა საქართველოში, როგორც რომში, ქრისტეს მოციქულებმა იქადაგეს.

5. სულხან-საბა ორბელიანი რომის პაპზე წერს:

„მბრძანა:

— ჩემი სისხლი რომ მიხყო. ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ იმსაც დასაქვეყნად მოგცემო“.

როგორია პაპის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ?

- ა) პაპი საქართველოს მდგომარეობის გამო შემოფოთებულია;
- ბ) პაპი საქართველოს მდგომარეობის გამო აღშფოთებულია;
- გ) პაპი საქართველოს მაქსიმალურ პირად თანადგომას უცხადებს;
- დ) პაპი საქართველოს თანადგომის კონკრეტულ ფორმებზე ფიქრობს.

6. რას მოასწავებს ქვეყანაში ვახტანგის დაუბრუნებლობა (სპარსელთა ტყვეობიდან, რომელშიც ის იმჟამად იმყოფებოდა)?

- ა) ქრისტიანობის დასუსტებას; ბ) სწავლავანათლების კერების მოშლას;
- გ) საგარეო საშიშროების ზრდას; დ) შინაური დაპირისპირების წახალისებას.

7. რომის პაპი სულხან-საბა ორბელიანს ეუბნება:

— მე შენაყის დამერის ვხევეყითო. დიდი დღე მოგცესო. შენით მრავალი საქმე მინდა გაეკეთოსო“.

რა იკითხება პაპის ტექსტში?

- ა) პოლიტიკური ვითარების გააზრება; ბ) კეთილი სურვილები;
- გ) ელჩის უსაფრთხოებაზე ზრუნვა; დ) პრობლემით დაინტერესება.

8. რას მოასწავებს ქვეყანაში ვახტანგის დაბრუნება (სპარსელთა ტყვეობიდან, რომელშიც ის იმჟამად იმყოფებოდა)?

- ა) შინაური დაპირისპირების აღმოფხვრას; ბ) საგარეო საშიშროების შემცირებას;
- გ) სწავლავანათლების კერების განმტკიცებას; დ) ქრისტიანობის გაძლიერებას.

9. სულხან-საბა ორბელიანი ერთ-ერთი კარდინალის მიერ შექმნილ „საწიგნო სახლზე“ (ნიბლითოთეკაზე) წერს:

„და კედლის ძირისძირიდან მადლა თავამდი ოთხგნითივე წიგნი ეწყო უნგარიშო და მრავალი. რომ ვინც მავისანა კაცი იყოს წიგნის სყიდვა არ შეუძლოს, იქ მივიდეს და, რაც წიგნი უნდა, იეთიხოს. მთარამეყენ. რასაც ხანს იკითხება, და გარეთ ვერ გაიტანდა“.

რას განმარტავს ავტორი?

- ა) საბიბლიოთეკო მომსახურების პრინციპს; ბ) წიგნის შერჩევის პრინციპს;
- გ) საბიბლიოთეკო მომსახურების მნიშვნელობას; დ) წიგნის (ზოგადად) მნიშვნელობას.

10. გაიხსენეთ, რად მაინა ავტორს „საწიგნო სახლით“ (ნიბლითოთეკით) სარგებლობა?

- ა) დროის შესაფერის ღონისძიებად; ბ) ინტელექტის ამაღლების საშუალებად;
- გ) სამადლო საქმედ; დ) ევროპული კულტურის შენახვად.

11. სულხან-საბა ორბელიანი კარდინალზე წერს:

„უწინ საწიგნე მანეყნა. მრავალი უცხო და უცხო წიგნები სასულიერო თუ სახორციელო. მერსე სხვა — საეკლესიოთისო საწიგნეში შეხეყანა“.

რა და რა სახის ლიტერატურას გამოარჩევს ავტორი კარდინალის „საწიგნო სახლში“?

- ა) სასულიეროს, სამედიცინოს, ფილოსოფიურს;
- ბ) სასულიეროს, ლექსიკონოლოგიურს, ფილოსოფიურს;



- გ) სასულიეროს, საცნობაროს, ფილოსოფიურს;
 - დ) სასულიეროს, საეროს, ფილოსოფიურს.
12. ვისი პორტრეტები იხილა ავტორმა კარდინალის „საწიგნო სახლში“ (ბიბლიოთეკაში)?
- ა) რომის პაპების (ზეგობის პერიოდების მიხედვით);
 - ბ) რომის კარდინალების;
 - გ) რომის ეკლესიის წმინდანების (ცხოვრების პერიოდების მიხედვით);
 - დ) ბერძენი ფილოსოფოსების.

13. სულხან-საბა ორბელიანი წერს:
- „...ქაიან შეეკეცებენ პაპის სამწიგნობროში, მაგრამ ერთი უცხო მას არა შეუდრება რა თავად დიდონი და გრძელი სახლებია... ყოელისა რჯელისა ყოელისა ქნისა წიგნები იყო.“
- რა ვერ შეუდრება (ავტორის თქმით) პაპის სამწიგნობროს (ბიბლიოთეკას)?
- ა) რომის ვერც ერთი ტაძარი ან სასახლე; ბ) კარდინალის „სანიგნო სახლი“;
 - გ) ვერაფერი; დ) უცხოეთის ვერც ერთი „სანიგნო სახლი“.

14. რა ეძება და ვერ იძოვა ავტორმა პაპის „სამწიგნობროში“ (ბიბლიოთეკაში)?
- ა) რომის პაპისა და ქართველ მეფეთა მიმონერის ნიმუშები; ბ) ქართული ნიგნები;
 - გ) სპარსული ლიტერატურის ნიმუშები; დ) უძველესი საზღვაო რუკები.

15. სულხან-საბა ორბელიანი სასულიერო სასწავლებელში სტუმრობსა და სხვადასხვა ეროვნების მოწაფეთა აქტიუობაზე გეიამბობს და დასძენს:
- „...მათსა ეპისკოპოსსა კდეც მხოქრა: ქართველი გეგელა. ყმაწვილები გამოგ'საყნო. ასე ვასწავლით და თქვე გამოგ'საყნო. მაგრამ ეს არც ხეჰმარბა იყო. მარილა მიხოქა: უნდოდათ პაპის ბრძანებითა“.

- პაპის სასულიერო სასწავლებლის რომელ მისიაზე მიანიშნებს ეპისკოპოსი?
- ა) ქრისტიანობის არეალის გაფართოებაზე;
 - ბ) ქრისტიან სასულიერო პირთა აღზრდასა და განაწილებაზე;
 - გ) ქრისტიანობის პუმანურ როლზე (კულტურისა და განათლების სფეროში);
 - დ) ქრისტიანობის კრიზისზე, რომელიც რომის მისიამ უნდა აღმოფხვრას.

16. რა განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევა ცამეტი ყმაწვილის თავყრილობა პაპის სასულიერო სასწავლებელში?
- ა) სასულიერო ცოდნის მიმართ განსაკუთრებული ინტერესით;
 - ბ) სასულიერო ცოდნის განსაკუთრებული დონით;
 - გ) მისიის შეგრძობით (მშობლიურ ქვეყნებთან მიმართებაში);
 - დ) ცამეტვე ყმანვილი სხვადასხვა ეროვნებისაა.

17. სულხან-საბა ორბელიანი წერს:
- „...შეეკიბრაღა დიქრამს. გაიყნდა. მელთა გამიწნდა. არცა არა მგეობრე არც არა დელეა. მელთას შეეცდით.“
- მელთა კენსულია“.

- რას მიაწერს ავტორი კუნძულ მალტამდე მშვიდობით მისვლას?
- ა) ღვთის წყალობას; ბ) საზღვაო გზებზე შექმნილ განსაკუთრებულ ვითარებას;
 - გ) პაპისა და კარდინალების კურთხევას; დ) შემთხვევას.

18. რით გააკვირვა ავტორი მალტაზე მყოფმა აფხაზმა?
- ა) მოთმინებით, რომელსაც, ურთულეს ვითარებაში მყოფი, იჩენდა;
 - ბ) თავგადასავლით, რომელიც აქ მოსვლამდე, თათრების ტყვეობაში მყოფს, გამოეცლო;
 - გ) ქართული ენის ცოდნით;
 - დ) მზრუნველობით, რომელსაც ტყვედ ნამყოფი ადამიანების მიმართ იჩენდა.

19. სულხან-საბა ორბელიანი მალტელებზე წერს:
- „ქრისტიანი მტერი ასე უსხეს, დიქრამს იძღვნი დღეგრძელება და ცხოვნება მორცხვით, რამდენი ახო ასოი ტყვე ან იმ ქალაქში, ან იმ კუნძულში და ან ნაყვში შეყანდეთ. ქართველნიც ენახე სოფი აფხაზი, სოფი იმერელი, გურული, მცხრელი, რომ თათრისაივის წაწრამთა“.
- ვის იხილა ავტორმა კუნძულ მალტაზე (ავტორისვე ვერსიით)?

- ა) თურქების ტყვე ქართველები;
- ბ) მალტელების მიერ თურქების ტყვეობისგან გათავისუფლებული ქართველები;
- გ) სხვა ქვეყნის სამსახურში მყოფი ქართველი მომრები;
- დ) ქართველი შინამოსამსახურე ქალები.

20. როგორია მალტელების დამოკიდებულება ქრისტიანი ტყვეების მიმართ?
- ა) მათ მვეულებრივად უყარობიან (როგორც არაქრისტიანი ტყვეებს); ბ) მათგან მომრებს არჩევენ;
 - გ) მათ, თუკი სურვილს გამოთქვამენ, ათავისუფლებენ; დ) მათგან მშუღავურებს არჩევენ.

21. სულხან-საბა ორბელიანი მალტელებზე წერს:

„ერთი აფხაზი, ოთხი გურული, ერთი გუგუხავე სეხნიას შვილი იყო. დედაკაციც გურული, მკერელი დარჩომოდათ. კაის პარტიეთ ინახავდენ“.

ვინ შეიძლება, იყონ (ვაიხსენებ) მალტაზე მყოფი ქართველები? ქართველი ზიჯლიმოსეა

- ა) ემიგრანტები;
 - ბ) თურქების ტყვეობისგან გამოხსნილი პირები;
 - გ) თავისუფალი მგზავრები;
 - დ) გათავისუფლებული ტყვეები, რომლებიც შინ ბრუნდებიან და მალტაზე გზად იმყოფებიან.
22. აგრონი მალტაზე მყოფ ქართველებზე წერს: „ჩამოსვლა უნდოდათ. მე დაეუშალე“. რატომ დაეშალა აგრონი მალტაზე მყოფ ქართველებს სამშობლოში დაბრუნება?
- ა) გზად, შეიძლება, ისევ ტყვედ აღმოჩნებილიყვნენ;
 - ბ) მალტელების მიმართ უმადურობის გამოჩენა იქნებოდა;
 - გ) გზად, შეიძლება (დეღვის თუ სხვა შემთხვევის გამო), დაღუპულიყვნენ;
 - დ) მიზეზი არ ჩანს.
23. სულხან-საბა ორბელიანის კონსტანტინეპოლიდან (სტამბულიდან) საქართველომდე მგზავრობის საქმე საფრანგეთის ელჩმა მოაგვარა, მან ჭანი მეხომალდე იქირავა. უთხრა:

„ესენი ქობულეთს გურიას გაიყენეთ და გურიელს მიაბარეთ და ამათ წიგნი მოგვითხეთ მშვიდობით მისვლისა“.

რას ითვალისწინებდა ელჩის დავალება?

- ა) სულხან-საბა ორბელიანისა და მის თანმხლებ პირთა მშვიდობიან მგზავრობას ქობულეთამდე;
- ბ) სულხან-საბა ორბელიანისა და მის თანმხლებ პირთა ხელშეუხებლობას ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში;
- გ) პირობებს მისიის განახლებისათვის;
- დ) დიპლომატიურ შეხვედრებს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

24. რით დაიწყო სულხან-საბა ორბელიანის უფლებების ხელყოფა შავი ზღვის შემოსასვლელთანვე?

- ა) გაძარცვით;
- ბ) უადგილობით — ხომალდის გადატვირთვის გამო;
- გ) მეხომალდის (რეიზის) მიერ მგზავრობის საფასურის გაზრდით;
- დ) დაბრუნების მოთხოვნის დაუქმეყოფილებლობით.

25. ათინაში, თავის სახლთან, მისულმა ჭანმა მეხომალდემ (რეიზმა) სულხან-საბა ორბელიანს გამოუცხადა:

„მე გურიას ხომალდის ევლარ წამოვიღებო, აფხაზი აწლილია. მეშინიანო, და, თუ გინდათ, პატარა ნაეთი წადითო, გინდა გურიას, გინდა ახალციხეზედაო“.

რას იმიზეზებს ჭანი მეხომალდე (რეიზი) თავისი მისიის შესაწყვეტად?

- ა) მოსალოდნელ უამინდობას (თუმცა ამინდს საამისო ჯერჯერობით არაფერი ეტყობა);
 - ბ) გასამრჯელოს არასაკმარისობას (როგორც ჩანს, დამატებითი თანხის მიღება უნდა);
 - გ) ჯანმრთელობის მდგომარეობას (თავისას);
 - დ) აფხაზეთში არსებულ არეულობას (შესაძლოა, აფხაზთა გაბშირებულ მეკობრეობას).
26. ვაიხსენეთ, სად აღმოჩნდნენ სულხან-საბა ორბელიანი და პატრები, რომელთა ნაეი აღელვებულმა ზღვამ ერთ-ერთ სანაპიროსთან გამორიყა:

- ა) გონიოში; ბ) ხოფაში;
- გ) ხოფის „ზემოთ“; დ) ხოფის „ქვემოთ“.

27. სულხან-საბა ორბელიანი წერს:

„მოვიდნენ ჭანეი, დაგეოჭირეს, მრავალი გესარჯეს, ოცი მარხილი წაგვართვეს. ზანდულები დაგეოჭირეს. ტყუილად მებაჟეობა იქმეს და მრავალი გვაჭირეს“.

რომელი თვისებები ეკისრება (ერთდროულად) ჭანების მოქმედებაში?

- ა) ანგარება და თვალთმაქცობა;
 - ბ) ანგარება და უცხოთმომოქლუობა;
 - გ) ანგარება და ცენტრალურ ხელისუფლების რიდი;
 - დ) ანგარება და თვისტომთა მიმართ (უცხოელებთან შედარებით) ცინიზმის სიჭარბე.
28. ვინ დაეხმარა (დაეხმარნენ) ჭანეთის სანაპიროზე გამორიყულ მოგზაურებს?
- ა) ერთ-ერთი ადგილობრივი ხელისუფალი;
 - ბ) აბრეშუმით მოვჭრე თურქები (თათრები), რომლებიც ქანეთის გავლით კონსტანტინეპოლში (სტამბულში) მიდიოდნენ;

- ბ) პირველში ლაპარაკია პასუხისმგებლობაზე, მეორეში — უპასუხისმგებლობაზე;
- გ) ისინი აბსოლუტურად განსხვავებულია;
- დ) პირველში ლაპარაკია უპასუხისმგებლობაზე, მეორეში ლაპარაკია პასუხისმგებლობაზე.
- 6. შეადარეთ ერთმანეთს მოტირალი და მოცინარი კაცები?**
- ა) ისინი სხვადასხვა მოვლენას ერთნაირად აღიქვამენ;
- ბ) ისინი ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებულად აღიქვამენ;
- გ) ისინი სხვადასხვა მოვლენას ერთნაირად აღიქვამენ, მაგრამ მათზე განსხვავებულად რეაგირებენ;
- დ) ისინი ერთსა და იმავე მოვლენას ერთნაირად აღიქვამენ, მაგრამ მათზე განსხვავებულად რეაგირებენ.

დავით გურამიშვილი,
„დავითიანი“
(ნაწყვეტი)

1. დავით გურამიშვილი წერს:

*„ორგემზე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვაღაეს.
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვანოს, უკან მოგადევნებს ხეღ ავს.“*
რისთვის იყენებს ავტორი კონტრასტულ მეტყველებას?

- ა) სანუთროს ბოროტი არსის წარმოსადგენად;
- ბ) სანუთროს კეთილი არსის წარმოსადგენად;
- გ) სანუთროს ერთფეროვნების წარმოსადგენად;
- დ) სანუთროს ურთიერთსაინააღმდეგო გამოვლინებათა წარმოსადგენად.

2. რომელი ფრაზა არ ეფუძნება ტროპულ მეტყველებას?

- ა) „ორგემზე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვაღაეს“;
- ბ) „დღეს რომ კარგი წინ გიმძღვანოს, უკან მოგადევნებს ხეღ ავს“;
- გ) „მამა, დედა, ძმა თვალითა ვეღარა მხედავს, ა დაო“;
- დ) „მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად სანუთროს გზას გაჰკვალავს“.

3. დავით გურამიშვილი მკითხველს საწუთროს არსს განუმარტავს:

„უ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისეროს, მშვილდს კი მალავს.“
რატომ ეამბობი, რომ ტექსტში გამოიყენებულია გაპიროვნება?

- ა) „რა“ ჯგუფის საგანს (წუთისოფელს) მიენერება „რა“ ჯგუფის (ოღონდ სულიერი) საგნის თვისება;
- ბ) „რა“ ჯგუფის საგანს მიენერება „კინ“ ჯგუფის (აღამიანის) თვისება;
- გ) წუთისოფლის როლი გაზვიადებულად ფასდება;
- დ) წუთისოფელი შედარებულია მშვილდისაინს.

4. ვის შენატრის (პირველი სტროფის მიხედვით) ავტორი?

- ა) ვინც წუთისოფელს გაუძლო (მის ნიაღში გზა სწორად გაიკვლია);
- ბ) ვინც წუთისოფელი უარყო (ყოველდღიურობას გაექცა და თავი სულიერ სამყაროს შეაფარა);
- გ) ვინც წუთისოფელს გაუძლებს (მის ნიაღში გზას სწორედ გაიკვლევს);
- დ) ვინც წუთისოფელთან დავა დაამთავრა (ამტყვევდა აღარ არის).

5. დავით გურამიშვილი წერს:

*„ამდ ექმდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადათ?
სად მომიყვანა, სად მყოფი, კიდევ მიყვეყარ სადათ.“*
რის გამო ემღერის ავტორი საწუთროს?

- ა) პირადი ბედობის გამო; ბ) სანყაულის აღუვსებლობის გამო;
- გ) ზოგადი ბუნების გამო; დ) დაპირებათა შეუსრულებლობის გამო.

6. რის ღირსი არ გახადა საწუთრომ (წუთისოფელმა) ავტორი (აღნიშნეთ ავტორისეკვერხია)?

- ა) ღირსეული სამსახურის; ბ) სამშობლოში ცხოვრების;
- გ) შვილების ყოლის; დ) მშობლიურ მიწაში განსვენების.

7. დავით გურამიშვილი საწუთროზე (წუთისოფელზე) წერს:

*„მშვილდს მიმიწევა მუხხაღმა, ისარი გულზე მამასი;
არ მიმიცა ძე, არც ასული, არცინ მხახის მამსი.
მან დამითავრა გონება და მტერი თავსა მამსი.“*

რით გამოიხატება მუხხაღის საწუთროს (წუთისოფლის) მიერ ავტორის გულის დაწველება, დანაგერა, მტრის თავზე დახმა?

- ა) შვილების არმიტყვით; ბ) შეიქმნედათი ასპარეზის შეწყვეტით;
- გ) უგულისყურობით, ტყვიელს გაუზიარებლობით; დ) მიწით, რომელიც მომავლის მიმართ გაუჩინა.

8. რას წარმოადგენს ავტორისთვის პირადი შემოქმედება (აღნიშნეთ ავტორისვე კერძო)?
- ა) სულიერ საზრდოს; ბ) თვითგამოხატვის საშუალებას;
9. დაეით გურამიშვილი უშეილობის მოტივს განავრცობს:
 მომხსენებელი არ მჩინების, მასყოფებს, ეს მადონებსა;
 ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ენ მამიფონებსა,
 თუ არ შეგვრებ და არ უძღენი ყრმათ ია-ვარდის კონებსა,
 ცოცხალიც არეის ეახსოვარ, მკედარს ვინდა მამიფონებსა?!
- რას მისცემს ავტორს ყრმათათვის ია-ვარდის კონების (შთამომავლობისთვის თათვის შემოქმედების ნიმუშთა კრებულის) მიძღვნა?
- ა) ცოდვის მუხრუჭი მოეხსნება; ბ) მომხსენებელი მიეცემა;
10. რომელი სიტყვა გამოიყენება სიტყვა შემსუბუქების მნიშვნელობით (აღნიშნეთ სახელწმინის ფორმით)?
- ა) ნღობა; ბ) მალვა;
11. დაეით გურამიშვილი მკითხველს მიმართავს:
 -ყრმაო, შენ ძმობას გენუკეი, ასული, მიყე შენ დობა,
 ვინც წაიკითხით ეს წიგნი, მბრძანეთ ცოდვილს შენდობა-.
- რას წარმოადგენს დაეით გურამიშვილისთვის წიგნი, საკუთარი კრებული, შემოქმედება (უპასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით)?
- ა) საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებას;
12. რას უწოდებს ავტორი ცრუის საწუთროს (წუთისიფლის) ყბედობას:
- ა) სანუთროს (წუთისიფელი) სიცრუეზე საუბარს;
13. როგორია ავტორისეული სტროფი?
- ა) ისინი ორ თექვსმეტმარცვლიან და ორ თოთხმეტმარცვლიან ტაქსს მოიცავენ;
14. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

**დავით გურამიშვილი,
„დავითიანი“**

„დავით გურამიშვილის ლექსიანი დატყუება“

1. დაეით გურამიშვილი დატყუებების გახსენებისას ამბობს:
 -ვაი იმ დღისა დამწერებსა! აწ სათქმელადაც ძნელია
 კაცთაგან თვისი აუცი საზარდად საუბნელა!
- რა ართულებს ავტორის ამოცანას?
- ა) ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა და დეტალურად აღარ ახსოვს;
2. რა ტიპური მოვლენა მოხდა ქვეყნის ყოფაში დაეით გურამიშვილის ცხოვრების დროს?
- ა) მტროსთვის პასუხის გამცემები სამხრეზღერი გახდნენ;



- გ) თავისუფლება გაქრა;
- დ) ჩვენი, თითქოსდა სამუდამოდ ქონებული სიკეთე საძებარი გახდა.

3. დაეით გურამიშვილი წერს:

„ქართველი მადლი ცოდვამ დასძლია, რა აღმწონელმან აწონა“
წუხებულ იქნენ დავალობა, თავი ვეღარეინ აწინა.
მის გამო მტყუნა მარჯვდა დანაცუხისა ა. წონა“.

რის გამო (რისთვის) მოუსო ღმერთმა ქართველებს მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი?

- ა) იმის გამო, რომ ქართველთა ყოფაში მოხალეებულმა ცოდვამ მადლი გადაწონა;
- ბ) იმის გამო, რომ თვით ქართველებმა ასე ინებეს;
- გ) იმისათვის, რომ ქართველებს საკუთარი ყოფა გაეანალიზებინათ;
- დ) იმისათვის, რომ ქართველებს ცოდვა-მადლის უპირწონობის საშინელება გაეაზრებინათ.

4. ვინ არის აღმწონელი („რა აღმწონელმან აწონა“)?

- ა) ბედისწერა, რომელიც ქართველთა ყოფას თან სდევს;
- ბ) მეფე და ბრძენკაცთა კრებული;
- გ) ღმერთი;
- დ) სინდისი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანშია.

5. დაეით გურამიშვილი წერს:

„წაღმა მბრუნაემა დრო-ჟამსა უკულმა შექნა ტრიალი.
ურთა მოჰკრა ქართლსა, კახეთსა, შუაქვეენა ხრტიალი;
მამლები ტურამ დაჭამა, დედლები დარჩა ტრალი,
მიდგა ყოფი და ყორანი, დანაცუხისა წკრტიალი“.

რის სურათს წარმოგვიდგენს (აღგვთრიულად) ავტორი?

- ა) ქართლისა და კახეთის მდგომარეობისა;
- ბ) ქართლისა და კახეთის წინააღმდეგობის მოძრაობისა;
- გ) ქართლისა და კახეთის ურთიერთმტრობისა;
- დ) ქართლისა და კახეთის ძალთა გაერთიანების ამაო მცდელობისა.

6. რა არის ქართლსა და კახეთში არსებული ვითარების არსებითი ნიშანი?

- ა) სარწმუნოებრივი კრიზისი; ბ) ეროვნული იდეალების გაუფასურება;
- გ) გაუკაცურება; დ) ღირებულებების გაუაზრებლობა.

7. დაეით გურამიშვილი წერს:

„კახს-ბატონს კოსტანტილესა საქქე მოუხდა ყალათი,
ტანთ ხეანქრის ქურქი ჩაიცვა, დასათო ყეყის ხალათი“.

რა კონკრეტული ისტორიული მიუღწეა აისახება სამოღოღურ-აღგვთრიულ თხრობაში?

- ა) კონსტანტინეს მიერ პირადი ძალაუფლების განმტკიცება;
- ბ) კონსტანტინეს მიერ ოსმალური ორიენტაციის არჩევა (სპარსული ორიენტაციის სანინააღმდეგოდ);
- გ) ქართლისა და კახეთის ისტორიული კავშირ-ურთიერთობის აღდგენა;
- დ) კონსტანტინეს მიერ სპარსული ორიენტაციის არჩევა (ოსმალური ორიენტაციის სანინააღმდეგოდ).

8. რომელ ტაეპში იხატება ქვეყნის განადგურების სურათი?

- ა) „ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბეღლია“;
- ბ) „მოსრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“;
- გ) „დადეღელებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა“;
- დ) „მიენდო, თავის თავზედა ახმარებინა ჯალათი“.

9. დაეით გურამიშვილი წერს:

„ქართლი ოსმლით დაიპყრა, კახეთი ღეგთა მოღამა;
მთი ჩვენმან სისხლმან ნაღვარმან ხეენები სულ ამოღამა,
სუენთ მოიცვა მთა-ბარი ჩვენის მკედრის მძორთა ყროღამა“.

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება ქართლში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის დასახატეად?

- ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
- გ) გაპიროვნება; დ) ჰიპერბოლა.

10. ავტორის როგორი პოზიცია აისახება მის ფრაზაში: „რაც მოგახსენე, მოგვეგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამა“?

- ა) ავტორი ყოველივეს ღვთის სასჯელად მიიჩნევს;
- ბ) ავტორი ყოველივეს შინაური დაპირისპირების შედეგად მიიჩნევს;
- გ) ავტორი ქართლის მდგომარეობით შემწრუნებულია;
- დ) ავტორი გამოსავალს ურთიერთდაპირისპირების აღკვეთაში ხედავს.



11. დაეით გურამიშვილი წერს, რომ გორისუბანში მოსახლე თავადი იყო და არსქენს:
 -ქენით გამტყორცნა საწუთრომ, გარდამაცლიდა ყუბანსა,
 ვაი, რა კარგა მოესიქველი, მეტყოდეს ვინმე თუ ბანს!
 რას იწვევს ავტორში მშობლიური მხრიდან (მუნთ, მუნთგანტყორცნი ქვეთ
 გატყორცნის ვახსენება?

- ა) მოთქმის სურვილს; ბ) სინანულს დაკარგული წლების გამო;
 - გ) მოქმედების სურვილს; დ) სრულ დეპრესიას.
12. რას მოიმოქმედებდა ავტორი, თუ ვინმე კარგ ბანს ეტყოდა?
 ა) თავის თავგადასავალს სიმღერით მოჰყვებოდა; ბ) მოთქვამდა;
- გ) ყმანელობისდროინდელ კარგ ქართულ სიმღერას გაიხსენებდა; დ) დააღუშდებოდა.

13. დაეით გურამიშვილი თავის შეპყრობაზე წერს:
 -შემაპყრეს, წამომყვანეს, ხელ-ფეხს მომიღვეს გენია,
 გადმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია“.

ტროპული აზროვნების რომელი სახეობები გამოიყენება ავტორის შეპყრობისა და საქართველოდან გაყვანის აღსაწერად?

- ა) მეტაფორა და ჰიპერბოლა; ბ) ჰიპერბოლა და შედარება;
 - გ) შედარება და გაპიროვნება; დ) გაპიროვნება და მეტაფორა.
14. საიდან გაიტაცეს ლეკებმა დაეით გურამიშვილი?
 ა) ლამისყანიდან, სადაც ცხოვრობდა;
- ბ) ლამისყანიდან, სადაც წინაპრთა მამული ჰქონდა;
- გ) ლამისყანიდან, სადაც მომართა რაზმს წვრთნიდა;
- დ) ლამისყანიდან, სადაც მოყვარეს მკაში უნდა დახმარებოდა.

15. დაეით გურამიშვილი წერს:
 -მე ეს მიძიბდა, მხარ-შეჯრით მოყვანდი ოსოქლოდა,
 ვაი, რად დარში ცოცხალი, შენ, თაო, ჩასაქლოდა“

რა კონკრეტული ნიუანსი იკითხება ტექსტში:

- ა) გურამიშვილი ოსოქლომდე შეკრული ატარებს;
- ბ) გურამიშვილს ურჩობის გამო ჩაქოლვა დაუპირეს;
- გ) გურამიშვილი სიკვდილს ძლივს გადაურჩა;
- დ) გურამიშვილს ძველი ამბის თხრობა ათწლეულების შემდეგაც უჭირს.

16. რომელი ნიუანსი მიგვანიშნებს სოფლის საზოგადოების შეძლებულ ყოფაზე?
 ა) ის, რომ ლხინი სოფლად რამდენიმე დღეს გრძელდება;
- ბ) ის, რომ ნაღს სამნაირი (საქონლის, ცხვრის, ღორის) ხორცი უმასპინძლებიან;
- გ) ის, რომ ქონებრივი სიდუხჭირის გამო არავინ ჩივის;
- დ) ის, რომ გურამიშვილი სავსე მამულის დაკარგვას მისტირის.

17. დაეით გურამიშვილი წერს:
 -მამიყვანეს, არა ღირსთა ღირსეულად მამსახურეს,
 არც მასვეს და არც მასამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს“.

როგორი იყო ტყვედ მყოფი გურამიშვილის მდგომარეობა?

- ა) უმიძესი;
- ბ) ისეთი, რომლის გაძლება შეუძლებელი იყო;
- გ) გურამიშვილის ტყვის პირობაზე ნორმალურად ექცეოდნენ;
- დ) გურამიშვილი ავადმყოფობდა.

18. ვის (რას) უმაღლის გურამიშვილი თავის ხელმეორედ (ამჯერად წარმატებულ) გაპარვას?
 ა) ლეკების უყურადღებობას; ბ) თავის სიჩაუქეს;
- გ) ლმერთს; დ) ბედს, რომელმაც (ცალყბად, მაგრამ) ამ ერთხელ გაუღიმა.

**დავით გურამიშვილი,
 „დავითიანი“**

-სიზმარი დავით გურამიშვილისა
 ტყვეობასა შინა“

1. დაეით გურამიშვილი წერს:
 -სხს მესს ძიღსა შინათ რას ხერხაჯ რასა უწყინათ
 აქ რას უწეხარ სახილდ, რატომ არ წაიხედ შინათ“



რას სდებს „ხმა“ ავტორს ბრალად?

- ა) ღვთის დღეინებებს; ბ) თავმჯდომეულობას;
 - გ) ძილის სიყვარულს; დ) განცხრომის სიყვარულს.
2. **გაიხსენეთ, რა ვითარებაში ნახულობს ავტორი ტექსტში აღწერილ სიტუაციას?**
- ა) რუსეთ-პრუსიის ომის დროს, ტყვეობისას; ბ) მოსკოვში, სამეფო კარზე ყოფნისას;
 - გ) ხუნძეთში, ლეკების ტყვეობისას; დ) უკრაინაში, მოხუცებულობისას.

3. **„ხმა“ გურამიშვილს მიმართაუც:**
- ღამაწვეწელმან აქ შეწმან აქ აღარ დაგაწკინაო;
 - მასთან გიბრძანა დაწოლა. ვისთანაც გაქორწინაო“.

რას ავადღებულებს „ხმა“ გურამიშვილს?

- ა) ქრისტიანულ სამყაროში დაბრუნებას (სიმბოლურად); ბ) ოჯახში დაბრუნებას (რეალურად);
 - გ) გაქცევას, თუნდაც იგი სიცოცხლის ფასად დაუფედეს; დ) არსებულ ვითარებასთან შეგუებას.
4. **განმარტეთ ადექ. წყვილთ, მე წაგიძღვები წინაო — ფრაზა, რომელიც მინარე გურამიშვილს ჩაესმის:**

- ა) ეს ერთერთი მშველელი პირის ხმაა; ბ) ეს ერთერთი თანამყოფის ხმაა;
- გ) ეს საკუთარი ხმაა, რომელიც თითქოს შორიდან ესმის; დ) ეს ღვთის ხმაა.

5. **დავით გურამიშვილი „ხმის“ წინადადებას (დახმარებაზე) არ იღებს. ის მას მიმართაუც:**
- „მე მოთხოვინა ღვთისათვის, რაც ჩემი სათხოვარია.
 - აწ ჩემი წინამძღომელი არს ქრისტე მაცხოვარია.
 - მან მწყქმს-კეთილმან მომნახოს მე წარწმენდილი ცხვარია.
 - შენ ვერ გწნობი. ვერ გიცნობ. არ ვიცო, ვინა ხარია“

რატომ არ ენდობა ავტორი „ხმას“?

- ა) იმიტომ, რომ ქრისტეს ენდობა;
- ბ) იმიტომ, რომ მას არ იცნობს;
- გ) იმიტომ, რომ „ხმამ“ მას ოდესღაც უმტყუნა;
- დ) იმიტომ, რომ „ხმა“ ადამიანისაა, ადამიანის ნდობა კი, კარგა ხანია, რაც დაკარგა.

6. რატომ (რისთვის) უნდა ენდოს, „ხმის“ განმარტებით, გურამიშვილი „ხმას“?

- ა) იმიტომ, რომ ადამიანს უნდა ენდოს;
- ბ) იმიტომ, რომ მას მისთვის არასდროს უმტყუნია;
- გ) იმისთვის, რომ მან ის გაიცნოს;
- დ) იმიტომ, რომ „ხმა“ გურამიშვილთან სწორედ ღმერთმა გამოგზავნა.

7. **ხმა გურამიშვილს ღვთის დანაბარებს აუწყებს:**
- „მან ბრძანა (გურამიშვილზე) -ფარეხთ გარეთა რად დაგდებულა ისია.
 - რად არ ეწმინის მგელთაგან, დამეკა. განა დღისია?“

რის სიმბოლია ფარეხის გარეთ ყოფნა?

- ა) ქრისტეს მფარველობას მოკლებულობის;
- ბ) დამოუკიდებლობის, პირადი არჩევანის;
- გ) ქრისტესთვის ვედრების (სამწყსოში დაბრუნების თაობაზე);
- დ) შემთხვევის.

8. რას სთხოვს გურამიშვილი „ხმას“ (როცა რწმუნდება, რომ ის ღვთისგან მოვლენილია)?

- ა) მფარველობას; ბ) გზის გაკვლევას;
- გ) ფესვაცემელს; დ) ღვთაებრივ ნიშნს.

9. **„ხმა“ გურამიშვილს წასვლას ურჩევს:**
- გზას გაძღვეს ცრემლი მოყვასთა, უკან ძმისა და წინ დისა;
 - ჩემთვის ჯე იყო მოთხოობა. ნიშნად მოცემა წინდისა“.

რა გაუკვლავს გურამიშვილს როულ გზას?

- ა) მოყვასის ცრემლი (ქრისტიანული სიყვარული); ბ) იმედი;
 - გ) პირადი სულისკვეთება; დ) „ხმის“ მფარველობა.
10. **გაიხსენეთ, რა შემთხვევაში დაიფარავს გურამიშვილს სულიწმინდის მადლი?**
- ა) თუ ის გაქცევას დააპირებს; ბ) თუ ის გზადაგზა შემხედურ დაბრკოლებებს არ შეუშინდება;
 - გ) თუ ის ილოცებს; დ) თუ ის ღმერთს მიენდობა.

1. დაეით გურამიშვილი წერს:

„გულსედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს დარი,
ვიტორ და გარდეადინე მე იმაზე ცრემლის დარი“.

განმარტუა სიმბოლიკა, რომელსაც ავტორი მკითხველს სთავაზობს:

- ა) ავტორმა ცრემლები გულზე მოხაზულ ქრისტეს ღარში (რწმენის კალაპოტში) აღინა — ანუ ქრისტიანული რწმენით იტორა;
- ბ) ავტორი საკუთარმა ცრემლმა ქრისტიანულ რწმენამდე (ცხოვრების წყარომდე) აღამალა;
- გ) ფიზიკური და სულიერი ტკივილებით გულდაღარული ავტორი ხელახლა დაბადების, ცხოვრების წყაროს, საძიებელ გზას დაადგა;
- დ) ავტორი თავისუფლებას, ცხოვრების წყაროს, ეზიარა.

2. გაიხსენეთ, რას სთხოვს ავტორი ღმერთს პირველ სტროფში („გულსედ მქონდა მოხაზული“):

- ა) სამშობლოში დაბრუნებას;
- ბ) ქრისტიანების მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნიდან გაყვანას;
- გ) სიცოცხლის შენარჩუნებას;
- დ) ღირსების შენარჩუნებას.

3. დაეით გურამიშვილი წერს:

„ვახსენე ღმერთი, წამოველ, სითაც ხსნა მეგულებოდა,
გული ტიროდა, ცრემლითა თვალები მეგულებოდა“.

რის მიხედვით ორიენტირებს ტყვეობიდან გაპარული გურამიშვილი?

- ა) გუზს (გუმანით) სამშობლოსკენ იჭერს;
- ბ) გუზს (გუმანით) კაზაკების ხაზისკენ იჭერს;
- გ) მიდის იქით (გუმანით), სადაც ხსნა ეგულება;
- დ) ცდილობს (მთავარია), გაეცალოს იმ ადგილს, სადაც ტყვეობაში იმყოფებოდა.

4. რომელ ტაეპში არ აისახება ტყვეობიდან გაპარული გურამიშვილის მძიმე სულიერი მდგომარეობა?

- ა) „ალარ მეგონა, მე თულა გულილა მეგულებოდა“;
- ბ) „მოდე ჟამსა რასმე შევესნარ სიცოცხლის დასამწარესა“;
- გ) „არცად ჩნდა თავის საფარი, მაზედ შემეძნა ნუხილი“;
- დ) „დამიხსნა წვიმა-სეტყვასა, ქარსა სასტიკად მზნარავსა“.

5. დაეით გურამიშვილი წერს:

„დღისით წინამდღერად მზე მყენდის, ღამით უჭერეტი მთვარესა,
მიქნდე შეიდათ ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მზარესა“.

რა კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს ტექსტი?

- ა) გურამიშვილი სამხრეთისკენ (მზზე ორიენტირებით) მოძრაობდა;
- ბ) გურამიშვილი ღამით არ მოძრაობდა;
- გ) გურამიშვილი ჩრდილოეთისკენ (შვიდ ვარსკვლავზე ორიენტირებით) მოძრაობდა;
- დ) გურამიშვილი ქაოტურად, ორიენტირების გარეშე, მოძრაობდა.

6. გაიხსენეთ, სხუელის რომელ ორგანოს გაუფრთხილდა ძლიერ სეტყვაში მოხვედრილი გურამიშვილი?

- ა) ფეხებს, რადგან იცოდა, რომ, თუ ფეხი დაუზიანდებოდა, ვეღარ იმოძრაავებდა;
- ბ) მკერდს (მინაზე დაემო და სეტყვას ზურგი მიუშვორა);
- გ) თვლებს (მათზე ხელები აიფარა);
- დ) თავს (მასზე სარტყელი შემოიხვია).

7. დაეით გურამიშვილი სეტყვაში მოხვედრას იხსენებს:

„გულმან მთქვა ადექ იფლებს, იპონი გამოქიბილსა,
აფდექ იფლა, მივადე კარს მთა-ხერელს დიდ-გაძრბილსა“.

როგორ იპოვა გურამიშვილმა თავშესაფარი?

- ა) შემთხვევით ნაადგა; ბ) ელვის შუქზე დაინახა;
- გ) უცნობმა ძალამ („ხმაშ“) აპოწინა; დ) ინტუიციით იპოვა.

8. გაიხსენეთ, რის გამო ამბობს გურამიშვილი: „რაც კაცო ღმერთსა ჟნდობს, ღმერთი კარგს იხამს, არ აესა“:

- ა) ლეკებისგან თავდახსნის გამო; ბ) კაზაკთა დასახლებაში მისვლის გამო;

- გ) შიმშილის გაძღვების გამო; დ) სეტყვაში თავშესაფრის („კარვის“) აღჩენის გამო.
9. დაგით გურამიშვილი ტყვეობაში არსებულ ვითარებას იხსენებს და ღმერთს მიმართავს:
„ავიღებ-დახუჭკვილს მწოდლარეს გარს მერტყა დამე ბნელია.
გულით მაცნობე წინა-გსა და ვაჟე სამეხნელია“.

ტროპული აზროვნების რომელი სახეობას იყენებს ავტორი?

- ა) მეტაფორას; ბ) შედარებას;
გ) გაპიროვნებას; დ) პიპერბოლას.
10. სადეთო წერილის როგორ ცოდნაზე მიუთითებს ავტორი?
ა) ზედმინევის ცოდნაზე; ბ) საშუალო ცოდნაზე;
გ) თანმიმდევრულ ცოდნაზე; დ) მცირე ცოდნაზე.

**ბანიძე,
„ბანო ტატანო“**

1. ბესიკი მშვენიერ ქალს მიმართავს:

„ბანო ტატანო, გულწამბანო, უცხოდ მარებო!
ზოდუო, კაეუბო, მომკლავებო, ვერსაკარებო,
წარბ-წამწამ-თედანო, მისათედანო, შემაზარებო,
ძოწ-ლად-ბაგეო, დამდაგეო, სულთწამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონეო, შხისა დარებო!“

რომელი ეპოთეტი (ეპითეტით) გამოიხატება ევექტი, რომელსაც მშვენიერი ქალის გარეგნული ნიუანსები გარშემო მყოფ ადამიანებზე ახდენს?

- ა) უცხოდ მარებო; ბ) გულწამბანო, მომკლავებო, ვერსაკარებო, შემაზარებო, დამდაგეო;
გ) შხისა დარებო; დ) ტატანო, მისათედანო, პირო მთვარეო...

2. რას ადარებს ავტორი მშვენიერი ქალის სახეს?

- ა) ძონს; ბ) ლალს;
გ) მწველ სინათლეს; დ) მზესა და მთვარეს.

3. ბესიკი მშვენიერ ქალს მიმართავს:

„თვლითა ნარგისი, დამდაგისი, შეგშევის მწველად,
ყელსა ბრიღებსა, უტოლებსა, გეგლი გევა მწველად,
გესხნეს ხალები, მაკრხალები, ამარტის ევლად,
ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქსოღნი ხელად,
მიწვეუდენ შენად შეესამკობლად, დამაწვარებო!“

მშვენიერი ქალის რომელი გარეგნული ნიუანსებია ტექსტში შექებული (აღნიშნეთ ზუსტად და თანმიმდევრობით)?

- ა) თვლები, ყელი, ნაწნაები, ხალები, მერდი; ბ) ნაწნაები, ყელი, ნაწნაები, ხალები, მერდი;
გ) სახე, აღნაგობა, ნარბები, ხალები; დ) ხალები, ნაწნაები, ყელი, მერდი, თვლები.

4. რას იწვევს ავტორში ქალის მშვენიერება (მეორე სტროფის მიხედვით):

- ა) კრძალვას; ბ) ველად გაჭრის სურვილს;
გ) გათამაზებას; დ) პოეტურ აზრებს.

5. ბესიკი მშვენიერ ქალს მიმართავს:

„აღვაო, გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხეველნი,
მკლავნი მომკლავნი, თითანი თლიღნი მოსახეველნი,
ზარიფსა წელსა დაეკორენეს ქვეყანად მელღლნი.
ოდეს განხეიდი, შეეძინა ათასნი წელნი.
აწ დამღვიან ყოღნი ღღინი, უცხოდ ვარებო.“

რით გამოირჩევა წინამდებარე სტროფი სხვა სტროფებისგან?

- ა) ის მთლიანად აღნაგობის ელემენტების ქებას ეძღვნება;
ბ) გარეგნობის ნიუანსების შესაქებად მხოლოდ ეპოთეტები გამოიყენება;
გ) აღარ აღინიშნება ევექტი, რომელსაც გარეგნობის ნიუანსები გარშემო მყოფ ადამიანებზე ახდენს;
დ) გარეგნობის ნიუანსები ავტორზე დამთრგუნველად ზემოქმედებენ.

6. რისთვის გამოიყენება შესაქე სტროფში პიპერბოლები?

- ა) ქალის გარეგნული მშვენიერების დასახატავად;
ბ) იმ ევექტის გამოსახატავად, რომელსაც ქალის მშვენიერება გარშემო მყოფ ადამიანებზე ახდენს;
გ) ქალის თავდაჯერებულობის დასახატავად;
დ) იმ ევექტის გამოსახატავად, რომელიც ქალის მშვენიერებამ თვით ავტორზე უკვე მოახდინა.



7. ბესიცი მშენებელი ქალს მიმართავს:

„ბაგქმდუმრიად გაიღერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა სურთან ხილვა შენი, კეკელა მარდო!
გულსა სწყურიან დამაშურადისა, რას შეგაფარდო?
თუკა შენ დათვმო, ცინლა ვაივო, სად გავიზარდო?
უშენად ხილვა არვისი მსურს, შევიზარებო.“

რა ახალი მოტივი შემოდის წინამდებარე (მეოთხე) სტროფში?

- ა) მშენებლების მუდმივობის მოტივი; ბ) მშენებლებით ამაღლების მოტივი;
- გ) მშენებლების წარმავლობის მოტივი; დ) სიყვარულის მოტივი.

8. რა განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მშენებელი ქალს ავტორის ცხოვრებაში (მეორე სტროფის მიხედვით)?

- ა) ის მის სულიერებას აწვდის; ბ) ის მის შთაგონებას ასაზრდოებს;
- გ) ის მისი, მაგრამ ნარულულ კვალს ტოვებს; დ) ის ერთადერთია.

9. ბესიცი მშენებელი ქალს მიმართავს:

„შენმა გონებამ მიმამსგავსა მიღეულს მთავარს,
სიცოცხლის ნაცვლად მოინატრი სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემბრალეთ, მოვლენ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვაა, სიცოცხლეო უკუდმართო, დანაცარებო!“

რას წარმოადგენს მშენებელი ქალზე ფიქრი (მისი „გონება“), სიყვარული ავტორისთვის?

- ა) შეებას; ბ) ტანჯვას;
- გ) ცხოვრების აზრს; დ) ცხოვრების მიზანს.

10. გაიაზრეთ ლექსის სრული ტექსტი და აღნიშნეთ, როგორ ნაწილდება პრიორიტეტები სტროფების მიხედვით:

- ა) პირველი სამი სტროფი ქალის ფიზიკურ და სულიერ მშენებლებას, ბოლო ორი სტროფი კი ამ მშენებლებით გამოწვეული ემოციის გამოხატვას ეძღვნება;
- ბ) პირველი ორი სტროფი ქალის ფიზიკურ, მესამე-მეოთხე სტროფები სულიერ მშენებლებას, ხოლო მეხუთე სტროფი სიყვარულის მოტივს ეძღვნება;
- გ) ხუთივე სტროფი ქალის ფიზიკურ მშენებლებას ეძღვნება;
- დ) პირველი, მეორე და მესამე სტროფები ქალის ფიზიკური მშენებლების აღწერას, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტროფები სიყვარულის მოტივს ეძღვნება.

**გზაგაზაპკ ორბელიანი,
სიტყვა, თქმული ღაბრბაზში
საბართველს გაართიანების თაობაზე***

1. შეჯამებუკ ორბელიანი მეფე ერეკლეს მიმართავს:

„ნუ აყოფნი, მეფეო! მეფე ერეკლეს და არა ერთი მეფისათვის! ერთი იმერთა ითხოვს ერთობასა და კაცობასა. ვითარ ერეკლეს მეფე უარს? რისთვის არ მიიღებს თხოვას? ვიცი და მესმის პასუხი თქენი, მეფეო! ვითარ მოუღო მეფობა შეილიშვილსა ჩემსა?“

გამოიყენეთ საკართველოს ისტორიის თქვენეული ცოდნა და უპასუხეთ: რატომ ყოყმანობს მეფე ერეკლე და არ აკმაყოფილებს იმერეთის დედეგაციის თხოვნას ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების შეერთების თაობაზე?

- ა) იმერეთის სამეფო ტახტს, ზოგადი მონარქისტული პრინციპებიდან გამომდინარე, არ აუჭმებს;
- ბ) შვილიშვილს (ასულის შერიდან), იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს, არ უპირისპირდება;
- გ) იმერელ დიდგვაროვანთა მოსალოდნელი სეპარატისტული მოძრაობისა უწინა;
- დ) შვილიშვილს (ასულის შერიდან), ბატონიშვილ დავით არჩილის ძეს (რომელიც გამეფების შემდგომ სოლომონ მეორედ იწოდებდა), მეგვიდრობით კუთვნილ ტახტს არ ართმევს.

2. განმარტეთ „მეფე ერეკლეს და არა ერთი მეფისათვის“ (უპასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით):

- ა) მეფეს ტახტი მტკიცედ უნდა ეკუთვნას; ბ) მეფე ერის წინამძღოლი უნდა იყოს;
- გ) მეფე ერს უნდა ემსახუროს (და არა ერთი მეფეს); დ) მეფისა და ერის სატკივარი განუყოფელია.

* „სიტყვა, თქმული“ – დამოუკიდებელი თხზულება არ არის. ტექსტი, როგორც შეჯამებუკ ორბელიანის მიმართვა (ორატორიული ხელოვნების ნიმუში), დაცულია პლატონ იოსელიანის ნიშნში „ცხოვრება გიორგი მეთავემეტისა“.



3. მზეგაბუკ ორბელიანი მეფე ერეკლეს მიმართავს:
 „ვითარ მოელო მეფობა ქართლისა ქართლისა მეფეთა და რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა?“
- რისთვის იხსენებს ორატორი ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებას?*
- ა) მეფე ერეკლეს სამეფოთა გაერთიანების სიკეთეზე რომ მიანიშნოს;
 - ბ) მეფე ერეკლეს (გადაკვირთ) სიფხიზლის მოდუნების გამო რომ უსაყვედუროს;
 - გ) პასუხისმგებლობას, როგორც მეფის მრჩეველმა, ხაზი რომ გაუსვას;
 - დ) მეფეს დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯის გამო რომ უსაყვედუროს.
4. რომელი საერისთავოს (საერისთავოების) გაუქმების სიკეთეზე ლაპარაკობს ორატორი?
- ა) რაჭისა და თაკვერის; ბ) არგვეთის;
 - გ) არაგვისა და ქსნის; დ) შერეთის.

5. მზეგაბუკ ორბელიანი წარმოთქვამს:
 „ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა. ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება.“
- რის სიკეთეს აღნიშნავს ორატორი?*
- ა) ეროვნული თავისთავადობის; ბ) სახელმწიფოებრივი გაერთიანების;
 - გ) ტერიტორიულ მთლიანობის; დ) ისტორიულ-კულტურული მთლიანობის.
6. გაიხსენეთ, რა მნიშვნელობით იყენებს ორატორი ტერმინ *ერს*?
- ა) ქართველი ერის; ბ) ზოგადად ერის (ცალკეულ ეროვნებათა ადამიანების);
 - გ) ქრისტიანული მრევლის; დ) ცალკეულ სამეფოთა მოსახლეობის.

**სოლომონ ლიონიძე,
 სამგლოვიარო სიტყვა
 ირაკლე მეფის დასაფლავებაზე**

1. სოლომონ ლიონიძე წარმოთქვამს:
 „დღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა იცხებს ყოვლად უფასოსა სისხლსა — სახსარსა ქართველთა გვირგვინსა.“
- რა მდგომარეობაში იმყოფება, ორატორის თქმით, საქართველო?*
- ა) მას აღსასრულის ფაზი უდგას;
 - ბ) ის საკუთარ გულის წყრომას (რისხვას) შეუპყრია;
 - გ) მას ღმერთი გასწყრომია;
 - დ) ის გულისწყრომის (გულისტკივილის) ტახტზე (მწვერვალზე) იმყოფება.
2. გაიხსენეთ, რას უწოდებს ავტორი ერეკლეს „უფასო“ (შეუფასებელ) სისხლს?
- ა) ბაგრატიონთა (ქართველთა გვარის) მშვენიერებას;
 - ბ) ქართველი ერის ძალას;
 - გ) ბაგრატიონთა (ქართველთა გვარის) დულაბს;
 - დ) ქართველი ერის სისხლს.
3. სოლომონ ლიონიძე ერეკლეს გარდაცვალების გამო წარმოთქვამს:
 „ვამან მისტაცა ქვეყანას სიმდიდრე ძლიერთა — ძალი, ბრძენთა — გონიერება, ერთა — გვირგვინი, მხედარმთავართა და თუთ-მკერობელთა — სახელმწიფო ზრდილობა (წითობა, მზობა).“

- რა ზოგადი ტენდენცია იკითხება ორატორის მიერ გამოყენებულ მეტაფორებში?*
- ა) ერეკლეს როლის გაზვიადება; ბ) აქართველოში არსებული ვითარების ანალიზი;
 - გ) პირადი წუხილი; დ) აქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის გააზრება.
4. რა მართებთ დიდ მეფეებს, რომელთაც ერეკლეს გარდაცვალებით იხილეს, რომ მზისქექშეთში ყველაფერი ამაოა?
- ა) სიფხიზლე, რომ ნლები უქმად არ დაკარგონ;
 - ბ) გლოვა;
 - გ) ზრუნვა, რომ შთამომავლობამ მათი ფუძე არ დაწყველოს;
 - დ) სიხარული ღვთაებრივი განგების დამონშების გამო.

5. სოლომონ ლიონიძე წარმოთქვამს:
 „ველადა წინა საუკუნეზე უფრო იდიდგ უფრო ამაღლდი, უფრო გაბედნიერდი, ცანი ქუხილით გრგვენიდინენ ძალსა შენსა, სივრა ქექვისა (დღამწა) გავრწოდა ფერხთა ქექშე.“
- გაიხსენეთ, ვის (რას) მიმართავს ორატორი:*
- ა) საქართველოს; ბ) მეფე ერეკლეს;
 - გ) ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს; დ) ქართლ-კახეთის სამეფო კარს.
6. რას უწოდებს ავტორი ქართლ-კახეთის სამეფო კარს?
- ა) სადავითო (დავით აღმაშენებლის) სახლს;
 - ბ) ბედნიერთა ტახტს;
 - გ) სადავითო (დავით წინასწარმეტყველის) სახლს;
 - დ) გამარჯვებულთა სადროშოს.

7. სოლომონ ღიონიძე წარმოთქვამს:

„მზე და მთავარე იმის ბედნიერს ღაშქრობაში ხანდაზმულნი არიან. დღისათი მზე იყო მქონდავე სარდალი და დამით მთავარე შეყვის ერეკლეს გამარჯვებულ დრომას წინა უძლიდა.“
ტროპული აზროვნების რომელი სახეობა (სახეობები) გამოიყენება მეტყუარების ქმედების დღევამოსილების დასახატავად?

- ა) მეტაფორა და გაპიროვნება; ბ) მხოლოდ გაპიროვნება;
- გ) მეტაფორა და ჰიპერბოლა; დ) მხოლოდ ჰიპერბოლა.

8. რის მოქმედია, ორატორის თქმით, მიწა, რომელიც ამჯერად გრძნობისა და გონების სიმდიდრეს, მეფე ერეკლეს, ფარავს?

- ა) ზეციურ იმედებს კლავს;
- ბ) მოტირალთ (გლოვის მგოსანთ) სიტყვიერების ძალას ანიჭებს;
- გ) ლევაბრივის (სიტყვიერს) უძვირფასესად ამკობს;
- დ) საუკუნეებს ინახავს.

9. სოლომონ ღიონიძე წარმოთქვამს:

„დაბნეულია, მზე, რომელსა გაქვს მოსწავებელი დაბნელებით ჭირის უფილობა, რომ მზე მწიერი ღამიანის ქართლისა მუფე ერეკლე შენს ბრწყინვალეებას ეკლარ ხედავს.“

რატომ უნდა დაბნელდეს მზე?

- ა) ერეკლესთან, ღამიანი ქართლის მიწიერ მზესთან, ერთად ჩაქრეს;
- ბ) ჭირისუფლობის ნიშნად დაბნელდეს, როგორც იესოს ჯვარცმისა დაბნელდა;
- გ) რათა ახალი დილა ერეკლეს, ღამიანი ქართლის მიწიერი მზის, ამალეებამ გაანათოს;
- დ) რათა დილით უმეტესი ძალით ამონათდეს.

10. როგორ უნდა მიეგებონ ზეციური ძალები ერეკლეს?

- ა) როგორც საღვთო სტუმარს; ბ) როგორც წმინდანს;
- გ) როგორც მით დღესასწაულებს ერეკლე ეგებებოდა; დ) როგორც კონსტანტინე დიდს.

11. სოლომონ ღიონიძე წარმოთქვამს:

„შენ გვეყდრები, იესო, სისხლით ცხებულის მეფის ერეკლეს კაცთმყოფარეს სულს ნუ შეაწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედე.“

რით არ უნდა შეაწუხოს (ტექსტში არსებული მინიშნებით) ღმერთმა ერეკლეს სული?

- ა) საქართველოზე ზრუნვით (მასზე თვითონ იზრუნოს);
- ბ) ცოდვის მოკითხვით (მეფეს ცოდვა არ გააჩნია);
- გ) ცხებულ შთამომავლობაზე ზრუნვით (მასზე თვითონ იზრუნოს);
- დ) მტრის აღზევებით.

12. რას უწოდებს სოლომონი საკუთარ თავს?

- ა) ერეკლეს ფარს; ბ) ლომგულ მემკვიდრეს;
- გ) ერეკლესთან ბატონყმობის მქმედს; დ) ერეკლესთან ბატონყმობის მოტრფიალს.

გრიგოლ ორბელიანი, „პი, ვამულ“...

1. გრიგოლ ორბელიანი წერს:

„ჰე, მამული სასურველი, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ აართოდეს სიხარულის აღტაცებითა ადგილი?“

რა ემართება ადამიანს მამულის ხსენებისას?

- ა) კრთება; ბ) მოვალეობების განცდით აღიჭურვება;
- გ) მშვიდდება; დ) სიხარულით ივსება.

2. რას იწვევს მამულის ხსენება ეროვნული არსებობის კრიტიკულ უამს?

- ა) თანადგომას; ბ) თავგანწირვას;
- გ) წარსული დიდების გახსენებას; დ) მომავალზე ფიქრს.

3. გრიგოლ ორბელიანი წერს:

„ვინ არ შეესტრფით მას ადგილს, სად აღდგებიან პირველ თვალნი? სად პირობა მხარული სიქმაცუდე ნათლად ხეხი?“

როგორ განსაზღვრავს ავტორი მამულის, სამშობლოს (ცნებას)?

- ა) როგორც ადგილს, სადაც ცხოვრების მეტ ნაწილს ატარებს;
- ბ) როგორც ადგილს, სადაც მოყვასის სიყვარულს სწავლობს;



გ) როგორც ადგილს, სადაც იბადება და ყმანვილკაცობას ატარებს;

დ) როგორც ადგილს, რომელსაც ეტრფის.

4. ეინ (რა) ვგულეა აეტორს სამშობლოში?

ა) ნინაპართა საფლავები;

ბ) ლამაზი ქალები, რომლებიც მისთვის (მათთვის) ლოცულობენ;

გ) სილამაზის პირველქმნილი განცდა;

დ) საესე მთავართ განათებული დედამიწა.

5. გრიგოლ ორბელიანი წერს, რომ ყველა შესტრფის ადგილს (სამშობლოს) —

„სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან (ცამდე ასულნი

და მდინარენი „ხახილი“ ზვირთის ზვირთებზე მსოლოვლინი“—

როგორი ეპითეტები გამოიყენება ბუნების მშვენიერების დასახატავად?

ა) ჰიპერბოლური და მეტაფორული; ბ) გაპიროვნებაზე დაფუძნებული;

გ) ჰიპერბოლური და შედარებითი; დ) შედარებითი.

6. გაიხსენეთ, როგორია კლდეები, რომლებზედაც მონადირე ჯიხეზე ნადირობს:

ა) ციცაბო;

ბ) უმზეო;

გ) ღრუბლებში შეჭრილი; დ) საშიში.

7. გრიგოლ ორბელიანი ველის წყაროებზე წერს:

„მათ სიკამქამეს ყველინი თავ-დახრით განცვიფრდებიან:

გულს მათი ხილვა უხარის. თვლით კვალად ქატირებიან.

რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს აეტორი ბუნებისა და ადამიანის განცდის დასახატავად?

ა) ეპითეტს; ბ) მეტაფორას;

გ) შედარებას; დ) გაპიროვნებას.

8. გაიხსენეთ, რა არის ფორუხის და რა — ზურმუხტის ფერისა გრიგოლ ორბელიანის მიერ დახატულ ვრცელ პანოზე (აეტორის განცხადებით)?

ა) ფირუხისფერია მზიანი ზეცა, ზურმუხტისფერი — მთები;

ბ) ფირუხისფერია ვარსკვლავებიანი ზეცა, ზურმუხტისფერი — ველები;

გ) ფირუხისფერია შორეული, ზურმუხტისფერი — მახლობელი მთები;

დ) ფირუხისფერია უკიდვანო ზერები, ზურმუხტისფერი — მშობლიური ტყეები.

9. გრიგოლ ორბელიანი საქართველოს ბუნების დახასიათების შემდეგ აცხადებს:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქექნისა?

ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შაეის ბედისა?“

რომელი ახალი ფენოზენი შემოდის აეტორისეული დახასიათების სფეროში?

ა) ეროვნული ისტორია; ბ) ქართველი ერი;

გ) ეროვნული სარწმუნოება; დ) ეროვნული სახელმწიფოებრიობა.

10. რომელ თვისებას გამოყოფს აეტორი ქართველთა დახასიათებისას?

ა) გამტანობას;

ბ) გაუტანლობას;

გ) ჭირთათმენას; დ) პატიოსნებას.

11. გრიგოლ ორბელიანი ქართველზე წერს:

„შაეია ღრით ევრა შესცვალეს მის გული ანდამტისა.

იფე მხნე, იფე მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!“

როგორ ისტორიულ პირობებში იცხივრა (გაიაზრეთ) ქართველმა?

ა) როგორშიც მხნეობა, სილალე უნდა ჩაჰკვდომოდა;

ბ) როგორშიც მტერს უნდა დამორჩილებოდა, მოყვრისათვის კი გული ვერ ეწვენებინა;

გ) როგორშიც თავისი ისტორია უნდა დაეციწყებინა და სხვის ისტორიას მიჰკვდილებოდა;

დ) ვერ უნდა ეხნა, ვერც ეთესა, წიგნებიც ვერ ეწერა — სულ ხმალი სჭეროდა.

12. რას უსურვებს აეტორი მამულს?

ა) მტრის აღმოფხვრას; ბ) ღვიძლ შვილთა ერთგულებას;

გ) კეთილდღეობისა და დიდების აყვავებას; დ) სწავლა-განათლებით გაცისკროვნებას.

13. გრიგოლ ორბელიანი წერს:

„ისოველი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა.

თუ ფუჰს მისი სიცოცხლე ევრა რას არეებს მამულსა!“

რა ანიჭებს აზრს ადამიანის ცხოვრებას?

ა) კეთილდღეობა;

ბ) მოღვაწეობა;

გ) სულიერი და ხორციელი მშვენიერება; დ) რწმენა.

14. რა არის უპირანი მამულის სადიდებლად (აეტორის განცხადებით)?

ა) ყოველდღიური ზრუნვა, შრომა; ბ) მის სადარაჯოზე ყოფნა;

გ) სიკვდილი; დ) მისთვის ლოცვა.



15. რა არის ლექსის თემა?

- ა) ადამიანისა და სამშობლოს მიმართება; ბ) სამშობლოს წარსულისა და მომავლის მიმართება;
- გ) ეროვნული პრობლემატიკის დადგენა; დ) ისტორიულ ღირებულებათა პატივისცემისა და აღსანიშნავად

16. რა არის ლექსის მთავარი სათქმელი?

- ა) საქართველო უღამაზესი ქვეყანაა; ბ) საქართველოს მომავალი მისი შვილების ხელთაა;
- გ) თავისუფლება ლეთიური ჯილდოა; დ) სამშობლოსთვის თავდადება ადამიანის მოვალეობაა.

**ნიკოლოზ ბარათაშვილი,
„ბედი ძარტილსა“**

1. ნიკოლოზ ბარათაშვილი კახელებს მიმართავს:

„ძმნო კახელნო, ნამდიელ ქართველნო, მოღხინე სულითო,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი შეყვდ და გმარად“-

კახელების რომელ თვისებას აღნიშნავს ავტორი?

- ა) ისტორიის გზაზე გამომუშავებულ მოთმინებას;
 - ბ) შრომისმოყვარეობას;
 - გ) ისტორიის გზაზე გამომუშავებულ გმირულ სულისკვეთებას;
 - დ) ლხინისმოყვარეობას.
2. გაიხსენეთ, რომელი დროის ხსენება უყვართ კახელებს (ავტორის თქმით):
- ა) კახეთის ზეობის პერიოდისა;
 - ბ) ერეკლეს ზეობის პერიოდისა;
 - გ) ალავერდის განახლების პერიოდისა;
 - დ) მეჩვიდმეტე საუკუნისა, როცა აქ აჯანყება მოხდა.

3. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს:

„და რაც საყვარლის ჩენის ირაკლის ეამნან მეფობის
მოუელისა აწ გამოხატვასა ჩემს ემაწვილობის, —
მეც, ძმნო კახნო, თქვენ შემოგიდენით მას არმადანად“.

რას უძღვის არმადანად (სახუქრად) ავტორი კახელებს?

- ა) მას, რაც გააჩნია;
- ბ) მას, რის მიცემაც შეუძლია;
- გ) შთაბეჭდილებებს, რომლებიც ერეკლეს დრომ მასში გააცოცხლა;
- დ) პოეტური შემოქმედების მარგალიტს, რომელიც მისთვის ყველაფერზე ძვირფასია.

4. გაიხსენეთ, როდის უნდა მოიგონონ კახელებმა „ყარიბი მგოსანი“ (ავტორი):

- ა) წინაპართა შესანდობრის წარმოთქმისას;
- ბ) ერეკლეს გახსენებისას;
- გ) კრწანისის ბრძოლის გახსენებისას;
- დ) ყოველთვის, როცა მამულიშვილები ქვეყნის ბედ-ილაღზე სასაუბროდ შეიკრიბებიან.

5. მეფე ერეკლე კრწანისის ბრძოლის წინ უფალს მიმართავს:

„გულითა-მხიდავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირი მოადგეს“

რა კონკრეტული ვითარება აისახება ტექსტში?

- ა) საქართველოში შექმნილი კრიტიკული ვითარება; ბ) აქართველოში შექმნილი კრიზისი;
- გ) სამხედრო ძალების დემორალიზაცია; დ) ამხედრო მობილიზაციის პრობლემა.

6. გაიხსენეთ, რას სთხოვს მეფე ერეკლე დმურთს:

- ა) საქართველოს გამარჯვებას; ბ) საქართველოს გაერთიანებას;
- გ) საქართველოს აღდგენას; დ) აქართველოს საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას.

7. მეფე ერეკლე ჯარს მიმართავს:

„დღეს ეჭირება მამულის მხნობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი“.

ერეკლეს გადაწყვეტილების რა მთავარი მოტივაცია იკითხება ტექსტში?

- ა) ჯარის შეკრება მეფეს გადააწყვეტინებს, რომ თვითონაც რიგითი მებრძოლივით იბრძოდეს;
- ბ) მხედრული თვისება მეფეს გადააწყვეტინებს, რომ თვითონაც რიგითი მებრძოლივით იბრძოდეს;
- გ) საერთო სულისკვეთება მეფეს გადააწყვეტინებს, რომ თვითონაც რიგითი მებრძოლივით იბრძოდეს;
- დ) მამულის საჭიროება მეფეს გადააწყვეტინებს, რომ თვითონაც რიგითი მებრძოლივით იბრძოდეს.

8. გაიხსენეთ ერეკლესული ფორმულირება, თუ რა ხდება ქართველთა თავის:
- ა) უსჯულოება იკრიბება;
 - ბ) პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი მწვავედება;
 - გ) ყველა ორგული და მოღალატე აშკარავდება;
 - დ) ჯარის მცირერიცხოვნობა გადამწყვეტი იერიშის საშუალებას არ იძლევა.



9. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს:

„ნეტარ მეფისა გულს მამობრუნელს,
 ოდეს მოქმენი, ვით მამას შვილნი.
 განუცხადებენ თავის სიყვარულს“

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა (სახეობები) გამოიყენება რიტორიკულ შეძახილში?

- ა) გაპიროვნება და მეტაფორა;
- ბ) გაპიროვნება და შედარება;
- გ) მხოლოდ მეტაფორა;
- დ) ჰიპერბოლა.

10. გაიხსენეთ, როგორ ზემოქმედებს ნადარის (და ბრძოლის) ხმა მიჯნურზე:

- ა) ის მას ამხნევებს;
- ბ) ის მას აშფოთებს;
- გ) ის მას აღვიძებს;
- დ) ის მას საგმირო საქმისთვის განაწყობს.

11. ნიკოლოზ ბარათაშვილი დალუპულ გმირებს მიმართავს:

„...ქვენ სახსოვარი გაქვთ თვის განგებით:
 რაც ერთხელ ცხოვლად სულის დაახნდების,
 საშვილიშვილოდ გარდაეკმის“.

საიდან მომდინარეობს ტენდენცია, რომ ერთხელ მომხდარი შთამბეჭდავი ამბავი დაეიწყებას არასდროს ეძლევა?

- ა) მნიშვნელობის არსებობიდან;
- ბ) ისტორიული კანონზომიერებიდან;
- გ) სულიერი არსებობის კანონზომიერებიდან;
- დ) ღვთისგან.

12. გაიხსენეთ, რატომ გაამაგრა ერეკლემ ქალაქის ციხესიმაგრე:

- ა) ჯარის გასამხნევებლად;
- ბ) ჯარის მცირერიცხოვნობის დასაფარავად;
- გ) ჯარის მონოლითურობის შესანარჩუნებლად;
- დ) სპარსელებს ციხე თვითონ რომ არ დაეკავებინათ.

13. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს:

„გაოჟნდა დილა მზისა აღმოსვლად, ბნელი მოჰყინა ტფილისის არეს;
 მავრამ მნათობან შუქისა ნაცვლად ალა-მაჰმად-ხან მიაღვა ციხეს.“

მეტაფორის, როგორც ტროპული აზროვნების სახეობის, რომელი ნიშან-თვისება იკითხება ტექსტში?

- ა) უსულო საგანს ადამიანის თვისება მიენერება;
- ბ) ორი საგნის თვისება ერთმანეთს ედრება;
- გ) ერთ საგანს მეორე საგნის თვისება მიენერება;
- დ) საგნის ბუნებრივი თვისება გაზვიადებულადაა წარმოდგენილი.

14. გაიხსენეთ, რატომ გადაიფიქრა ალა-მაჰმად-ხანმა ქართლიდან წასვლა:

- ა) ქართველთა მცირერიცხოვნობა შეიტყო;
- ბ) სპარსეთში დაწყებული არეულობის შესახებ შეიტყო;
- გ) ქართველთა მოღალატე (შინაგამცემი) დაეხმარა;
- დ) ქართველთა შემდგომი მოქმედების გეგმა შეიტყო.

15. ნიკოლოზ ბარათაშვილი ალა-მაჰმად-ხანზე წერს:

„გაოჟნებული ეძებდა მას, ქართველთა შორის წართევა ძალა:
 ენცა ჰერანის ტახტს, ხელმწიფებას მავრამ თრავლი უკვე გაქქესლა.“

რა ისტორიული სინამდვილე იკითხება ტექსტში?

- ა) ერეკლემ ირანის სახელმწიფოებრიობა დაასუსტა;
- ბ) ერეკლემ ქართული სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა;
- გ) ერეკლემ ქართველები გააძლიერა;
- დ) ერეკლემ ქართველებზე ირანის გავლენა აღმოფხვრა.

16. გაიხსენეთ, რომელ მხარეს შეაფარა ერეკლემ თავი:

- ა) მთიულეთს;
- ბ) ქანის ხეობას;
- გ) ხევს;
- დ) თბილისის შემოგარენს.



17. ნიკოლოზ ბარათაშვილი არაგვის ნაპირთან მოსვენებულ ქართველ მგზავრზე წერს:
 — ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს. და შერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
 არაგვო, მზე შენს ამწკანებულ მთებს იგი იმისთვის აღარ დაღონდეს,
 რაზე მადლდება, ავტორის მინიშებით, არაგვის ნაპირთან მოსვენებულ ქართველ მგზავრზე?

- ა) არაგვის მთებზე; ბ) საკუთარ თავზე;
 - გ) კონკრეტულ საჭიროებაზე; დ) დარდასა და ნალექზე.
18. გაიხსენეთ, სოლომონ ლიონიძის რომელ ნიშან-თვისებას აღნიშნავს ავტორი ერეკლესა და სოლომონის დიალოგის წინ:

- ა) გულსხმნიერებას; ბ) გამოცდილებას;
- გ) სიბრძნეს; დ) ავტორიტეტს.

19. ერეკლე სოლომონს ეუბნება:
 „არ მითვისებდა ქართველთა გული, ჩემი მეუბნა 'ზე დავასრულე,
 რომ ეოყაე მათი შევე ეული; რომ ძლიეს იგინი გაეფურთგულქ“
 რას ნიშნავს კონკრეტულ შემთხვევაში ქართველი?

- ა) ქართველს;
- ბ) ყველა ქართველს;
- გ) საქართველოს მოქალაქეს (მიუხედავად ეროვნებისა); დ) ქართველ თავადს.

20. რა აუძღურებს სამეფოს საგარეო აგრესიის ახალი (შესაძლო) ტალღის წინ (ერეკლეს აზრით)?

- ა) ერთიანი სახელმწიფოს არქონა; ბ) შიდა არეულობა;
- გ) მძიმე ეკონომიკური კრიზისი; დ) ომის შემდგომი დეპრესია.

21. სოლომონი ერეკლეს მიმართავს:
 „სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
 არარას არგებს, ოდეს თვისება
 ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.“
 განსხვავებულობაზე ღაპარაკობს სოლომონი?

- ა) ეროვნული თვისებების; ბ) ეროვნული მიღწევების;
- გ) ეროვნული ისტორიის; დ) გეოპოლიტიკური სივრცის.

22. ვის როლში გრძობს თავს ერეკლე რუსეთთან კავშირ-ურთიერთობაზე მსჯელობისას?

- ა) გმირი მეფის; ბ) კეთილი მამის;
- გ) მოხუცი სარდლის; დ) დიპლომატის.

23. ერეკლე რუსეთის მფარველობაში შესვლის პერსპექტივაზე ღაპარაკობს:
 „და მხოლოდ მაშინ უკეთეს გერწამდეს, საფლავთ 'ხედ ჩეუნთა მამა-პაპათა,
 რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს და განიხეუნონ აზრდილთა მათთა“
 რუსეთის რომელი მისია იკითხება ტექსტში?

- ა) მშვიდობის; ბ) დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების;
- გ) სახელმწიფოებრივი გაერთიანების; დ) ქრისტიანობის გავრცელების.

24. გაიხსენეთ, როდის არ მიაჩნიათ ქართველებს თავი უბედურად (სოლომონის აზრით):

- ა) როცა სამშობლოდან მიდიან; ბ) როცა სამშობლოში ბრუნდებიან;
- გ) როცა სამშობლოში თავისუფალნი არიან; დ) როცა საარსებო მინიმუმს იკმაყოფილებენ.

25. ერეკლე სოლომონს ეუბნება:
 „აი, მივიღებ მე შენთ რწევათა
 და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას,
 ნუ დაიუწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
 რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,
 ქარღლსა დაიციავს რუსთა ხელმწიფება“
 როგორ აღიქვამს ერეკლე რუსეთის მფარველობას?

- ა) როგორც აუცილებლობას, რომლის დასამკვიდრებლადაც უნდა იბრძოლოს;
- ბ) როგორც სახადს, რომლისგანაც თავი უნდა დაიცავს;
- გ) როგორც გარდაუვალობას;
- დ) როგორც ტრაგედიას.

26. გაიხსენეთ, რას უწოდებს ერეკლე ნომარ თბილისს:

- ა) გმირ ქალაქს; ბ) გაოხრებულ ქალაქს;
- გ) უმწეო ქალაქს; დ) მომავლის ქალაქს.



27. ქსნის ხეობაში მყოფი სოლომონი ფიქრობს:
 „მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას! განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
 ერთს კაცს მომადლებ ყოვლითა უფლებას და ოგი მათს ბედს ისე განგებნულნი
 და მისს ერის სიტყვას მინებენ ერნი, ვითა ამღერდეს ოგი კამათელნი“
მეფის ინსტიტუტის რა პრინციპულ თავისებურებაზე ფიქრობს სოლომონი?
 „ხმლისსხლიანი, თავსუ ჩაფხუტით რომელ გუნდშიაც შეყარდებოდა,
 თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარო, მას თან მიჰქონდა მჭი და ზარი“.

ორბელიძის რომელი შტრიხი (თვისება) აკოთხება ტექსტში?

- ა) სარდლობის ნიჭი; ბ) მეომართა გამხმნეების უნარი;
- გ) ზომიერების განცდა; დ) მხედრული უნარჩვევები.

40. რას უწოდებს ავტორი აფრანისკ?

- ა) გმირ ვაჟაკებს; ბ) სასისხლედ გამზადებულ ლომს;
- გ) ფარმომარჯვებულ გმირს; დ) შვეცხენიან მეომარს.

41. ორბელიძე ხმალდამსხვრეულ აფრანისკ ეუბნება:

„ნუ გეშინია! ხმლიანი უხმლოს მხოდოდ თანასწორ იარაღითა
 რომ შეგეჭიღო, არ შეკადრება, შენი დახატვრა მე შენატრება!“

გაიხსენეთ, როგორ (რით) უპასუხა აფრანისკმა ორბელიძის რაინდობას:

- ა) მან ქართველ სარდლს სარდლს ვაჟაკობა შეუქო;
- ბ) მან თანამებრძოლებს ხმლის მოტანა უბრძანა;
- გ) მან ორბელიძე ორთაბრძოლაში ხელახლა გაიწვია;
- დ) მან ორბელიძე თანამებრძოლებთან ერთად ხეობაში შეიჭყუა.

42. გაიხსენეთ, რით დაიწყო ორბელიძისა და აფრანისკის ორთაბრძოლა:

- ა) ისრების ტყორცნით; ბ) ცხენების შეტაკებით;
- გ) შუბების ტყორცნით; დ) ხმალდახმალ ბრძოლით.

43. აკაკო წერეთელი ბრძოლაში უშუალოდ ჩართულ თორნიკე ერისთავზე წერს:

„სიბერე ახლავს, მკარამ ჯერ კიდევ არ დარჩა ბელის უმადურადა
 გულისთ ჭაბუკო, სიმნით ღიოხია, და გაიფლავა ზედიზედ მტრებზე
 ომი რომ ნახა, გულს გადგყარა, მისმა მახვილმა ძველებურადა“.

რა უპირისპირდება სიბერეს თორნიკე ერისთავის არსებაში?

- ა) დიდი ფიზიკური ძალა; ბ) ტრადიციული სამხედრო ოსტატობა;
- გ) საბრძოლო ამოცანის გასიგრძეგანება; დ) ახალგაზრდული სულისკვეთება.

44. რას უწოდებს თორნიკე ერისთავი ჯოჯიკს?

- ა) შვი დღეების გმირს; ბ) ჭარმაჯ გმირს;
- გ) გასაჭირის გამაადვილებელ გმირს; დ) მინის მგელს.

45. თორნიკე ერისთავი დახოცილებისა და ტყვეების მიმართ ერთნაირ დამოკიდებულებას ქადაგებს (მოხუცდავად მათი ეროვნებისა):

„სიკვდილი ყველას ათანასწორებს; ქვედათი ყველა და ნუ დაეკლებთ
 თვისიანს, უცხოს მტერს და მოყვარეს! დაჭრილების მთელას და მკვლრებს სამარეს“.

როსკენ მოწოდება ისმის თორნიკე ერისთავის განცხადებაში?

- ა) საყოველთაო მშვიდობისკენ; ბ) ღირებულებათა ურთიერთგამიჯვრისკენ;
- გ) საყოველთაო ჰუმანიზმისკენ; დ) ღირებულებათა აღრევისკენ.

46. რა წარმოადგენს, თორნიკეს თქმით, ვაჟაკის სასჯელს?

- ა) ომში დამარცხება; ბ) სიკვდილი;
- გ) დატყვევება; დ) ღვინლის დაუფასებლობა.

47. აკაკო წერეთელი დაჭრილებზე, რომლებიც შევლას ითხოვენ, წერს:

„მაგრამ ბერის მთავანს ყვარ უშეკლის თუქო-ყო მოყვრულად ემკვლეობან
 სიკვდილის მეტი ყვარაყვრო, და აღარაყის აღარ ჰკაცს მტერო“.

რამ აღმოფხვრა დაპირისპირებულ ადამიანთა მტრობა?

- ა) თითოეული მათგანის სულში გაღვიძებულმა ნათელმა; ბ) სიკვდილის შიშმა;
- გ) ყველასათვის მისაღებმა შედეგმა; დ) დაპირისპირების დამოთავებამ.

48. გაიხსენეთ, ვინ უშველა ხეობაში შეტყუებულ ქართველებს:

- ა) ჯოჯიკმა; ბ) თვითონ თორნიკე ერისთავმა;
- გ) სავარსამიძემ; დ) ორბელიძემ, თუმცა თვითონ დაიღუპა.



49. აკაკი წერეთელი სამშობლოში დაბრუნებულ ლაშქარზე წერს:

„ეს იყო, რომ ბრუნდებოდა და ცხენების ფეხთა მტვერსა
საბერძნეთითა ქართლის ჯარი. ამაჲს პურიდა ღრუბლად ქარი“

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება მოძრავობაში? *მოდერნიზმი; იმპრესიონიზმი*

ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
გ) გაბიროვნება; დ) პიკერბოლა.

50. რით გამოირჩევა (გარეგნულად) ქართველთა ლაშქრის დასახევიერად გამოსული დავით კურაპალატი?

ა) ბრწყინვალეობით; ბ) უბრალოებით;
გ) ახოვნებით; დ) მზრუნველობით.

51. სამშობლოში დაბრუნებული მხედრები ამირანზე მდვირან:
„კაცკასიის მადლ ქელზე მოვაკეტული ამირანი
არის მთელი საქართველო და მტრები კი — ყვეა-ყორანი.“
მოვა დრო და თავს აიშვეებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი...
სიხარულად შეცვლება იმდენი ხნის გასატირი“

რით ამსგავსებენ სამშობლოში დაბრუნებული მხედრები საქართველოს ამირანს?

ა) სამართლიანობის იმედით; ბ) თავისუფალი მომავლით;
გ) მტრის სიმრავლით; დ) ღვთის რჩეულობით.

52. რას უწოდებენ სამშობლოში დაბრუნებული მხედრები დავით კურაპალატს?

ა) თავიანთ იმედს; ბ) ქვეყნის თვალსა და ჯავარს;
გ) ჭეშმარიტ მეფეს; დ) საქრისტიანოს მსნელს.

53. დავით კურაპალატი გამარჯვებულ ჯარს მიესალმება და დასძენს:
„გამარჯვება ქართველ დედებს, მათი ძუძუ გვაეცაჯაკებს
ჩვენს გამხრდელსა და მშობლებსო; და ზრდა სულით გვაძაღლებსო.“

რას მიიხვევს მეფე დედების ღვაწლად?

ა) მოთმინებას, რომელსაც ისინი შვილების აღზრდისას იჩენენ;
ბ) ერთგულებას, რომელიც მათ სამშობლოს მიმართ ამოძრავებთ;
გ) შვილების ფიზიკურ და სულიერ აღზრდას;
დ) უმურველობას.

54. რა მთავარ თორნიკე ერისთავმა დავით კურაპალატს?

ა) საბუთი, რომლითაც ბიზანტია საქართველოს „ზემო ქვეყნებს“ უთმობდა;
ბ) წერილი, რომლითაც ბიზანტიის დედოფალი დავით კურაპალატს ქრისტიანობის ბურჯს უწოდებდა;
გ) საშუალებები ხელშეკრულების ტექსტზე;
დ) ბიზანტიის დედოფლის პირადი სარუქარი.

55. გაბრიელ ხალოსი, რომელმაც ენა იმ დროს პირველად ამოიგა, მეფეს მიმართავს:
„მთაწმინდის იესო ეს თქვენი ძღვენი, აუგუო ერთიც ახალი ღაერა
იქ ააშენეთ მთი მონასტრები, ყოველად წმინდისა დედის სახელსა.
რომ სუკუველდღე წირვა-ლოცვის დროს, რომ მის წილხეადრი მცირე იყერი
ისხენებოდეს ქართველი მკვდრები.“

რისთვის უნდა ააშენდეს, გაბრიელ ხალოსის თქმით, მონასტრები მთაწმინდაზე?
საღვთისმშობლისთვის მსხვერპლის შესწირავად;

ა) დაღუპულ ქართველთა სახსოვრად და ღვთისმშობლისთვის მსხვერპლის შესწირავად;
ბ) უცხოეთში სამონასტრო ცხოვრების განსაჯივარებლად;
გ) ბიზანტიისა და საქართველოს ერთობლივი ღვანლის აღსანიშნავად;
დ) ქართველ მეფეთა სადიდებლად.

56. რის დამპირი აქნათება, გაბრიელ ხალოსის თქმით, აწ ასაგებ ქართულ მონასტერში?

ა) მამულის თავისუფლებისა და დიდების; ბ) საყოველთაო მშვიდობის;
გ) ბერძენთა და ქართველთა მეგობრობის; დ) მეცნიერებისა და მწიგნობრობის.

57. ბერძენ ზღაპარში ღვთისმშობლის ხატის გამოჩენის გამო ამბობენ:
„ქიქნ როცა ნათი ყუაფილდევითი, აღარ აღმონდა არცა ერთი,
ის არ გუკარებს, შორს მსცურავსო, სანს, ჩქიქო ცოდეა დიდი ყოიჯილი
მისი ხაქმინდის შეჭების დირსი და გუბრისხევა მადლითა დმქითიო!“

რად მიიხივს ბერებმა ხატის მოკარებლობა?

ა) ხატის განსაკუთრებულ მისიად; ბ) ღვთის რისხვად;
გ) ღმრის მოუწმიდებლობად; დ) ფიზიკურ მოუხერხებლობად.



58. რატომ არ შეეძლოთ ბერძნებს ზღვიდან ხატის გამოსვენება?

- ა) საამისო ფაში ჯერ არ მომნიშვნებულყო;
- ბ) ხატის გამოსვენებას ბერების მოთინება და რწმენის ხარისხი უნდა დაემონებინა;
- გ) ხატი ნაპირთან თავისით უნდა მოსულიყო;
- დ) ხატი ქართველ ბერ გაბრიელს უნდა გამოევენებინა.

59. „ქვეყნად ხამოსული“ ნინო, ქეთევანი და თამარი ღვთისმშობელს სთხოვენ:

მოქც კურთხევა ზეცით, მადლო, რომ აღადგინო ქართველთა ერი,
 და გადმოსახე ძლიერად ჯვარი, დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარო!
 რა ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ერის მხიმე აწყვოზე საუბარს?

- ა) ავტორი ორ სინამდვილეს ერთმანეთს ადარებს და ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის;
- ბ) ავტორი ღვთისმშობელს საქართველოს ღვანლს ახსენებს;
- გ) ავტორი გამოხატავს რწმენას, რომ ყველაფერი ერთხელ უკვე იყო;
- დ) ავტორი გვაჩვენებს, რომ დიდება და დაცემა — ორივე დროებითია.

60. რატომ უნდა გამჭრდილო, ავტორის აზრით, ეარსკვლავებისგან გამოტყდილი გვირგვინი (ის გვირგვინი, რომელიც იყურთა მონასტრის თავზე დროდადრო დგებოდა)?

- ა) ფაშთასვლას ნაპყოლოდა;
- ბ) ზეცაში გაფანტულიყო;
- გ) ნასულიყო, რათა ხელახლა, ან უფრო ძლიერად და უფრო სიმბოლურად, გაბრწინებულიყო;
- დ) ქართველთა გულგრილობაზე განრისხებულიყო.

**აპაკი წარამილი,
„კუდაბზიკაიტი“**

1. აკაკი წერეთელი აღწერილი მოქმედების დროს ახასიათებს:

„იყო დრო, როცა ადამიანს ყველა გრძნობაზე უფრო შშის გრძნობა ჰქონდა გამოფხიზლებული და ყოველგვარ საშინ-საზარელ არსებას, გინდ სულიერი ყოველიყოს და გინდ უსული. ყოლის შექმლელად ისახაედა, აღმყრთებდა და თავყენას სცემდა.“
 რის ანტიმითია კონკრეტულ შემთხვევაში გამოფხიზლებული?

- ა) მთვრალის; ბ) უწიროს;
- გ) მოღუნებულის; დ) განვითარებულის.

2. რით გამოთრსწოდნენ კუდაბზიკელები სხვა ქვეყნების მცხოვრებთაგან?

- ა) არაფერი არ სწამდათ;
- ბ) შრომისმოყვარენი იყვნენ;
- გ) არათუ დიდი ცხოველი, არამედ ჭიალუაც დიდი რამ ეგონათ;
- დ) ოღესლაც სახელგანთქმულნი და მოწონებულნი იყვნენ.

3. კუდაბზიკელებში მკენარის კულტი დამკვიდრდა:

„არჩვენანუ მივიდა საქმე კუდაბზიკელები ორად გაიყვნენ. ერთმა მხარემ ტილი გამოიყვანა თავის კანდიდატად და მჭორემ — რწყილი.“

რით ჰგებან ერთმანეთს კუდაბზიკელთა კანდიდატები?

- ა) ორივე მებნარია; ბ) კუდაბზიკელთა სატკივარს ორივე გულისყურით ეყვრობა;
- გ) ორივე ბზუის; დ) ორივე ტყვის.

4. როდის აიყრებოდნენ კუდაბზიკელები კერის ძირიდან, აეად თუ კარგად მოფხიზლებოდნენ და ერთმანეთს თვადებში ნაცარს შეაყრიდნენ?

- ა) ზამთრის პირზე, შუშის მოსამარაგებლად; ბ) გაზაფხულზე, ხენა-თესვისას;
- გ) ზაფხულში, მვისას; დ) სამ წელიწადში ერთხელ, არჩვენებისას.

5. თითო-ორთა შგნებული კუდაბზიკელი თანამემამულეებს ამუნათებდა:

„რას გადასულითართ მატ „რწყილითა-ტილითა“? ისე როგორ დაგარბამათ ციდეამ, რომ ცხვირის იქით ყელარასა ჰედაიო? ქვეყნას ნადირ-მხეცები შექმნიყვან, ღამის გაგვანადეკონ, ერთი ტყედა შექქქანებელიც არსადა ჩანს...“

რის ფონზე ვითარდება კუდაბზიკელთა „რწყილითა-ტილითა“ (საარწენო ციებ-ცხელება)?

- ა) შექმნილი ვითარების გათვალისწინების; ბ) ეკონომიკური კრიზისის;
- გ) საზოგადოებრივ ძალთა კონსოლიდაციის; დ) უცხო ძალების აგრესიის.

6. ეის (რა) და რატომ უნდა აზრით კერად კუდაბზიკელებმა (შგნებულ კუდაბზიკელთა მითითებით), თუ მწერ-ბუზებს იქით გზა მანიც არ გაანათა?



საგარეო საგანგებო
კანცლარია

- ა) ფუტკარი — თავლსა და სანთელს აკეთებს;
- ბ) კოლი — მტრის ჯავრს ამოჰყრიო;
- გ) მუმლი — მუხას დაეხსნება და კუდაბზიკელები უფრო მშვიდობიან სიმღერებს ფუტკარს უმღერებენ.
- დ) ჭიანჭველა — თვითონ მშრომელია და სხვასაც ამრომებს.

7. კუდაბზიკელები რწყილსა და ტილზე ამზობენ:

„...მიხოდ ამ ორ გერს გკუთენის და შეშეენის ჩენი თავენისცემო! ამ ორს იქით გზა არა გკექს. ან ერთი უნდა ავირხოთ და ან მეორე და საქმე მიხოდ ჯობნობაზე არის მიმდგარი“.

როგორ კანდიდატებად მაინათ კუდაბზიკელებს რწყილი, და ტილი?

- ა) გარემოებათა გამო შემთხვევით წარმოჩინებულ კანდიდატებად;
- ბ) ღირსეულ და თანაბარძალოვან კანდიდატებად;
- გ) კანდიდატებად, რომლებიც ბევრს აკეთებენ და ცოტას ლაპარაკობენ;
- დ) კანდიდატებად, რომლებიც საინტერესოდ, ოლონდ გაუთავებლად ლაპარაკობენ.

8. რის მიხედვით ანიჭებენ კუდაბზიკელები რწყილსა და ტილს უპირატესობას კერპობის სხვა კანდიდატებთან შედარებით?

- ა) ისინი მუდამ მათთან არიან;
- ბ) მათ მათი გამოკება შეუძლიათ;
- გ) მათ ზამთრის სუსხი არ აშინებთ;
- დ) ისინი არც ბზუიან და არც ტყუიან.

9. ტილაძეები რწყილაძეებს კერპობის კანდიდატს უწუნებენ:

ერთი გიჟი ეინმა. მოუსვენარი. ხან აქ არის. ხან იქ. ერთ ალაგას ვერ მისწრებ. ვერ გააჩერებ! ხან აქ შეტყრება და ხან იქ. დღედაღამ მოსვენებას არ იძლევა! სადაც არ გგონია, იქ განდგება. სადაც არ ელი, იქ გიტყენს.“

რა არის, ტილაძეების აზრით, რწყილაძეების კანდიდატის ნაკლი?

- ა) ის ზედმეტად ენერგიულია;
- ბ) ის შრომისუნარიანია (თუმცა სხვის შრომისუნარიანობას არ აფასებს);
- გ) ის უპასუხისმგებლოა;
- დ) ის მოუსვენარი და არაპროგნოზირებადია.

10. რა არის, ტილაძეების აზრით, მათი კანდიდატის ღირსება?

- ა) დინჯი და დარბაისელია;
- ბ) ჩუმად იბინება;
- გ) ადამიანების მოკეთია;
- დ) ადამიანების გულშემატკივარია.

11. რწყილაძეები ტილაძეების არგუმენტის გამო აცხადებენ:

„წე ღირსება კი არ არის, წუნაო... ჩენი კანდიდატი კი მარდია, ცოცხალი, მიხტი-მოხტის, ხან იქ შეტყრება, ხან აქ“

რა მაინათ რწყილაძეებს თავიანთი კანდიდატის ღირსებად?

- ა) კომუნიკაბელურობა;
- ბ) ჰიპიარობა;
- გ) ის, რაც ტილაძეებს — იმავე კანდიდატის ნაკლად;
- დ) ბძოლისუნარიანობა.

12. რით გამოირჩევა რწყილაძეებისა და ტილაძეების საარჩევნო პაქტობა?

- ა) კორექტულობით;
- ბ) პოზიციების ცვალებადობით;
- გ) ელექტორატის მიმართ უპატივცემულობით;
- დ) ურთიერთვადნიერებით.

13. აკაკის წერეთელი საარჩევნო ციებ-ცხელების პარალელურად მიმდინარე პროცესს აღწერს:

„...კუდაბზიკიო“ დღითი-დღე სიღალხაკეში ვარდებოდა: ტურა-მელბი ფრინველებს იპარავდნენ. მგლები — ოთხფეხს იტაცებდნენ და დათვი იქაურობას ტორავდა და ანადგურებდა. — ერთი სიტყვით, პატრონი აღარაეინ იყო!“

რას მაწერს (მინიშნებით) ავტორი მტრის გალაღობას?

- ა) ღვთის რისხვას;
- ბ) ქვეყნის უპატრონობას;
- გ) ბოლო არჩევნებში რწყილაძეების გამარჯვებას;
- დ) მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ტილაძეების უპირატესობას.

14. ქვეყნის როგორი საერთო მდგომარეობა იკითხება ფრაზაში: „ბოლოს ჩაყარდა ქვეყანა იმისთანა განსაცდელში, რომ ტილიც დააიწყვდათ და რწყილიც?“

- ა) უმძიმესი;
- ბ) საშუალო სიმძიმისა — კარგ შედეგს მხოლოდ რწყილაძეების ძალისხმევა მოიტანდა;
- გ) გაურკვეველი;
- დ) საშუალო სიმძიმისა — რწყილაძეები დაძველდნენ და ბურთი და მოედანი ტილაძეებს უნდა ჩაებარებინათ.



15. ბებერი მკითხავე კუდაბზიკელებს ულოცავს:
-ნუ კარგავ შენი რაცა გაქვს.
ნურც ეხარებო სხვისასა!

რას უქდაგებს მკითხავე კუდაბზიკელებს?

- ა) დაკარგულის დაბრუნებას;
- ბ) მტერ-მოყვრის ამოცნობის უნარს;
- გ) საკუთარის დაცვას;
- დ) ღვთისმშობლობას.

16. რატომ დასჭირდათ კუდაბზიკელებს, რომელთაც ბებერი მკითხავე გაათავისუფლებას ულოცავდა, სულთამბრძოლის შელოცვა?

- ა) ბებერი მკითხავე მიხვდა, რომ ამ ხალხს გათვალულის ლოცვა არ ეყოფოდა;
- ბ) ხატის ნაბანმა წყალმა პირდაღებული კუდაბზიკელები კინალამ დაახრჩო;
- გ) ყოველი შემთხვევისთვის, რადგან ბებერ მკითხავს მდგომარეობის უარესად დამძიმებისა ეშინოდა;
- დ) ყოველი შემთხვევისთვის, რადგან ახალი საარჩევნო კამპანია ახლოვდებოდა.

17. წმინდა გიორგი მარიამ ღვთისმშობელს მიმართავს:

„დედაო დეისისა! მოვიარე ფეხდაფეხ შენი წილხვედრი, ენახე დაცემული, დეარდნინდი, სადაც აღარა ძველი ძველობს და არც რა ახალია.“

რა მანინა წმინდა გიორგის „კუდაბზიკეთის“ (საქართველოს) ნაკლად?

- ა) ძველ-ახლის აღრევი;
- ბ) ძველის პრიორიტეტი (ახალთან შედარებით);
- გ) ძველის დაკარგვა, ახლის არქონა;
- დ) ახლის პრიორიტეტი (ძველთან შედარებით).

18. რა სჭირს, წმინდა გიორგის აზრით, „კუდაბზიკეთს“ (საქართველოს)?

- ა) ეშმაკი შეჩენია;
- ბ) თავი დავიწყებია;
- გ) თვალში ნაცარი უყრია;
- დ) თავზე ნაცარი აყრია.

19. რომელი სუსტი მინიშნებით ვამოწმებთ, რომ „კუდაბზიკეთი“ საქართველოს ალგორითული სახეა?

- ა) „კუდაბზიკეთში“ ქართულად მღერიან;
- ბ) „კუდაბზიკეთი“ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა;
- გ) „კუდაბზიკეთში“ არჩევნები ტარდება;
- დ) „კუდაბზიკეთში“ ზამთარში ცივა, ზაფხულში კი ცხელა.

20. როგორ მთავრდება მთიხრობა?

- ა) სევდიანად, ოღონდ ოპტიმისტურად;
- ბ) ქვეყნის მიმართ მკვახე შეძახილით;
- გ) ირონიით, პეიმიმისტურად;
- დ) ქვეყნის მიმართ დაყვაებით.

ვაჟა-ფშაველა, „ჩინი ვადრება“

1. ვაჟა-ფშაველა წერს:

„ღმერთო, მიიღე ედრება, არ დამკარგოს გულიდან
ეს ხეში სათხოვაროა; მე შენი სახსოვაროა!“

რას სახოვს ავტორი ღმერთს?

- ა) თანადგომას;
- ბ) მფარველობას;
- გ) რწმენის შენარჩუნებას;
- დ) ქვეყნის ბედნიერებას.

2. რისთვის მზადდებოდა სურს ავტორს (მეორე სტროფის მიხედვით):

- ა) ყველანაირი განსაცდელის გაძღებისთვის;
- ბ) დანაგრულების დაცვისთვის;
- გ) შრომისთვის;
- დ) აიკეთისა და ქველმოქმედებისთვის.

3. ვაჟა-ფშაველა წერს:

„ბაღაში ვიყო სათიბი, (ხერადევე მამყოფე ისევა,
არა მწადინ ცელობა, ოღონდ ამშორდეს მტელობა.“

რომელ ფენომენს განახახიერებს ცელობა და მტელობა?

- ა) აგრესიულობას;
- ბ) სიყაბღეს;
- გ) გამორჩეულობას;
- დ) სიკვდილს.

4. როგორია ბოროტი კაცის ბედი მისი სიკვდილის შემდეგ (ავტორის მინიშნებით):

- ა) მას (ინერციით) განადიდებენ;
- ბ) მას ივიწყებენ;
- გ) მას წყველით იხსენებენ;
- დ) მის საფლავს გამოენ.

5. ვაჟა-ფშაველა ღმერთს სახოვს:

„ეულის ნუ გამიქრობ დამპარსა, ნუ მავლეუ მძევანახელა
მსათობს ტრეობისა შეშისა, გაკეფეულის დეშისა.“

რად მანინა ავტორს (მინიშნებით) უსიყვარულოდ ცხოვრება?



- ა) სიბნელეში მოძრაობად; ბ) უფულოდ ცხოვრებად;
- გ) სიკვდილად; დ) ცოცხლად სიკვდილად.
6. როდის ეკარგება ადამიანს (აგრორის მინიშნებით) „თვალეში“ მადლი? **მადლი**
- ა) როცა სიყვარულს კარგავს; ბ) როცა სიკეთეს აღარ აკეთებს;
- გ) როცა მთიდან დაბლა ეშვება; დ) როცა ბოროტდება.
7. ეკუთვნის თუ არა დემოს სიყვარულის უნარს სიხოვე:
 „გულს დარდი გამიდიადე დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე, იმ სანეტარო საგანს, ნემსს გონების საბანს?“
- როგორია სიყვარულის ეკუსული ექსტაზი?**
- ა) აღმადრთოვანებელი; ბ) მტანჯველი;
- გ) ამამალელებელი; დ) გამანადგურებელი.
8. გაიხსენეთ, როდის გრძნობს აგტორი თავს ბედნიერად:
- ა) როცა ნუხს; ბ) როცა უხარია;
- გ) როცა სამყაროში ცხოვრობს; დ) როცა სამყაროს გარეშე ცხოვრობს.
9. ეკუთვნის თუ არა დემოს სიხოვე:
 „გონებას ფიქრი სტანჯავდეს, მშობი-მწყუროდის კეთილი, გულს (კუცხლი სწავედეს ძლიერი, ვერ გაეძლო, მოკვდე მშობი“.
- ტროპული აზროვნების რომელი სახეობით გამოხატება სიკეთის წყურვილი?**
- ა) მეტაფორით; ბ) შედარებით;
- გ) გაპიროვნებით; დ) ჰიპერბოლით.
10. გაიხსენეთ, როდის გრძნობს აგტორი თავს ლალად:
- ა) როცა რამე უხარია; ბ) როცა გონება ხალად მსჯელობს;
- გ) როცა ირგვლივ ყველა კარგადაა; დ) როცა მას უყვარს და თვითონ ის უყვართ.
11. ეკუთვნის თუ არა დემოს სიხოვე:
 „მფარველს შენი მარჯვენა, სანამ არ მოვა დრო-ჟამი კადია სამოსლის შენისა, სულ ბოლო ამოქმენისა.“
- როგორ მფარველობას სიხოვეს აგტორი დემოს?**
- ა) ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ მფარველობას;
- ბ) მფარველობას განსაცდელისას;
- გ) სიკვდილამდე მფარველობას;
- დ) მფარველობას მაშინ, როცა სულიერად ამაღლებულია და ემინია, ყველაფერი ზმანება არ აღმოჩნდება.
12. როგორია აგტორის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ (ბოლო სტროფის მიხედვით)?
- ა) მას მისი უმინია; ბ) მას მისი არ უმინია;
- გ) ის მის გარდაუვალობას შეგუებულია; დ) ის მის გარდაუვალობას ვერ ეგუება.

ვაშა-ფშაპელა, „კანი ყმა“

1. ეკუთვნის თუ არა წერს:
 „კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაქებო, მსმენლის გულს აბორგოვებდეს, ნათქვამი არა გეცხენოდეს, არაყის არა სწყნოდეს?“
- როგორი უნდა იყოს საზოგადოების დამოკიდებულება კაი ყმის მიმართ?**
- ა) ერთსულოვანი;
- ბ) ადამიანები მასში მისაბაძ გმირს ხედავდნენ;
- გ) შეიძლება, აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს, თუმცა ანტიპათიას საბოლოოდ სიმპათია სძლედა;
- დ) კაი ყმა საზოგადოების წინამძღოლი უნდა გახდეს.
2. რომელ გარემოში იცნობა, აგტორის განმარტებით, კაი ყმა (უპირველეს ყოვლისა)?
- ა) ლხინში; ბ) ქორში;
- გ) ოშში; დ) შრომის ფერხულში.
3. ეკუთვნის თუ არა ადამიანებს მოუწოდებს:
 „ხდიათ, იქ მდილია, სადაცა ხალხი ხალხზედა დუდავდეს, მტერი სქენ გეცემდეს, სქენ — მტერსა, რისთვის ქმნის აგტორი ომის სურათს?“
- ხდები, ხანგრები ელაკდეს, ხისხლის ტბა მუხლებს სწვებოდეს, ცოცხლები მტერებსა სილაკდეს“.



- ა) საერთო უსამართლობის წარმოსაჩვენად;
 - ბ) კი ყმის ასპარეზის წარმოსაჩვენად;
 - გ) საერთო უბედურების წარმოსაჩვენად;
 - დ) ომისთვის დამახასიათებელი განურჩევლობის წარმოსაჩვენად.
4. როგორი უნდა იყოს კაი ყმის დამოკიდებულმა სიკვდილის მიმართულებით?

- ა) მას ის თამაშად და მღერად მოაჩვენებს; ბ) მას მისი (თუ ნაძრახი არ არის) არ უწინოდებს;
 - გ) მას მტრისთვის სუდარები აკერვინოს; დ) ის მას თავზარს სცემდეს.
5. ვაჟა-ფშაველა ომის სურათს წარმოიდგენს:

„ფარების დაღვსი ღვრდები, შუბები შუბებს სწევრავდეს.
თვალები თვალებს სწველავდეს; ჭიაფრად მუხარადებსა
მოციქულობდენ ტყვიანი, სისხლის წემაი ჰვერავდეს.“

რისთვის გამოიყენება გაპაროვნება?

- ა) მემართა საბრძოლო განწყობილებით დასახატავად („თვალები თვალებს სწველავდეს“);
- ბ) ადამიანური კანონების უგულებელყოფის დასახატავად („მოციქულობდენ ტყვიანი“);
- გ) სისხლის ფერის წარმოსადგენად („ჭიაფრად“);
- დ) ტრაგედიის ხარისხის წარმოსადგენად („სისხლის წემაი“).

6. კაი ყმის რომელი მისია იკითხება მეტაფორულ ფრაზაში: „სიციხეში სიოდ დაპეროს, დაათოს, როცა ჰყინადეს?“

- ა) სასწაულმოქმედისა; ბ) მშველელისა;
- გ) წინამძღოლისა; დ) განსახველისა.

7. ვაჟა-ფშაველას კაი ყმა ასე წარმოუდგენია:

„პირველად ომის დამწყები სხვანი იყოფდენ ნადავლსა,
ბრძოლის ევლს ბილის სწრავედეს ის სიყე მტრის წინ გრგვინადეს.“

რისთვის გამოიყენება მიკერბოლა (მესამე სტრიქონში)?

- ა) კაი ყმის მაქსიმალური დასახატავად; ბ) კაი ყმის მიმართ მუდმივი მოშურნობის დასახატავად;
- გ) კაი ყმის ტრაგიკულობის დასახატავად; დ) კაი ყმის მიმართ გამოვლენილი ნდობის დასახატავად.

8. რომელი სტრიქონით გამოიხატება კაი ყმის, როგორც ბრძენი მრჩეველის, ფუნქცია?

- ა) „ზედ (სიკვდილზე) ქორებულად ფრინადეს“; ბ) „დარაჯად ედგას ლაშქარსა“;
- გ) „სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს“; დ) „ღვლებდა არა სძირავდეს“.

9. ვაჟა-ფშაველას კაი ყმა ასე წარმოუდგენია:

„მტრის ჯაერის ედგას ლოფინი,
მტრის ჯაერი საზნად ჰფარავდეს.“

კაი ყმის რომელი აუცილებელი თვისება იკითხება მეტაფორულ ტექსტში?

- ა) უშურველობა; ბ) გამჭირახობა;
- გ) თავისუფლების სიყვარული; დ) სიფიზილე.

10. როგორი შვიდელება, იყოს სიმართლე, რომელიც კაი ყმამ უნდა დაიცვას (იქ, სადაც, ავტორის თქმით, ძალა აღმართს კვალაკს)?

- ა) სხივოსილი; ბ) ბოროტებას დაპირისპირებული;
- გ) გაბეჩავებული; დ) ბოროტებაზე ამალეებული.

11. ვაჟა-ფშაველას კაი ყმა ასე წარმოუდგენია:

„სხვისა თუნოს სახელი, მზედ იდგეს ხეესურეთისა,
თაყის გარდასა მსოლავდეს უხედ შუქს ნამოძალადედეს.“

კაი ყმის რომელი ურთიერთდაკავშირებულ ნიშან-თვისებებზე წერს ავტორი?

- ა) სიყვარულსა და სიყვარულის გაუმხელებლობაზე; ბ) ღვთის რწმენასა და ღვთის მომიშობაზე;
- გ) ვაჟაკობასა და ლმობიერებაზე; დ) ღვანლსა და თავმდაბლობაზე.

12. რას შეიძლება, ნიშნავდეს მიკერბოლური მეტაფორა, რომ მკვდარ კაი ყმას სუდარად მხოლოდ თავისი სახელი უნდა ეფაროს (უპასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით)?

- ა) კაი ყმას კარგი სახელი საფლავში მიჰყვება; ბ) კაი ყმას ქვეყნად კარგი სახელი რჩება;
- გ) კაი ყმამ მხოლოდ კარგი სახელისთვის უნდა იზრუნოს; დ) კაი ყმას არაფერი არ უნდა გააჩნდეს.

13. ვაჟა-ფშაველას კაი ყმა ასე წარმოუდგენია:

„წელელი სქნას დეღის კოცნადა, ქალისა, რძლისა ქვიანი
თაყის დღოქნად — სახარი, ეფინოს სიკვილ-ხარხარი,
საკაცე — თაყის დურჯადა, დენა ცრემლისა — ხორხონსა,
ქქა-დიდი — ნადვად საფარი, დრუბელთა ვადმოსაყარი.“

რომელ ზოგად ნიშან-თვისებაში ერთიანდება კაი ყმის პიქსივე (ზემოსიანთივლილი) გამოვლინება?



- ა) სამშობლოს სიყვარულში; ბ) ჭირთათმენის უნარში;
- გ) სატრფოსთვის თავდადებაში; დ) სრულ თავდავიწყებაში.

14. რას შეიძლება, ნიშნავდეს იმქვეყნად, სულეთში, ხმლით, ღალი

- ა) დიდებას, რომელსაც ამქვეყნიური ღვანლით მოიხვეჭს; ბ) დიდებას, რომელიც იმქვეყნად მიენიჭება;
- გ) კაი ყმის ოცნებას; დ) კაი ყმის ბოლო განსაცდელს.

15. ვაჟა-ფშაველას კაი ყმის იმქვეყნად მისვლა ასე წარმოუდგენია:
 -ქება უყიფლონ გმირებმა, დისივას თავის გვერდითა,
 გადასრულებმა ჩეხითა, გამავეგბოს თამარი
 ერეკლემ ხელი მაპაიეთს, მცინარი, თავის ფეხითა.

რამ უნდა დაადასტუროს ადამიანის კაიყობა?

- ა) წინაპართა საქმეების განგრძობამ; ბ) წინაპართა სულისკვეთების გაცოცხლებამ;
- გ) წინაპართა ღვანლის აღიარებამ; დ) წინაპრების მიერ აღიარებამ.

16. ვინ ადასტურებს (საბოლოოდ) კაი ყმის იმქვეყნიურ სტატუსს?

- ა) ერეკლე, რომელიც კაი ყმას გვერდით ისვამს;
- ბ) თამარი, რომელიც კაი ყმას ეგებება;
- გ) განანყენებული აღაქაჯები;
- დ) გახარებული უფალი, რომელიც კაი ყმას ზემოდან ჯვარს სწერს.

17. ვაჟა-ფშაველა კაი ყმის იდეალურ თვისებებსა და გამოვლინებებს პოეტურად „მიმოხილავს“ და დაასკენის:

...აი, ეინა კაი ყმა, არა თქვენ, სადიაცნო,
 მოსაგინარი ქებითა! რო ძროხებივით სძლებითა“.

აღნიშნეთ -ცუდი ყმის“ „საკეიზიტო“ ნიშან-თვისება, რომლითაც ავტორი ცუდს კარგისგან გამოარჩევს:

- ა) საზოგადოების მიერ უგულვებელყოფა (ქებით მოუხსენიებლობა);
- ბ) საზოგადოების მიერ ათვალუნუნება (ქებით მოუხსენიებლობა);
- გ) სიღარყე (სადიაცეობა);
- დ) სიზარმაცე.

18. რის საპირისპირო მოვლენაა „თავის ჯამში ცქერა“?

- ა) ქვეყანაზე ზრუნვის; ბ) ქვეყნის მტრობის;
- გ) სიზარბის (სხვის ჯამში ცქერის); დ) ზომიერების (საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინების).

19. ვაჟა-ფშაველა „სადიაცეებს“ (ღაჩრებს) მიმართავს:

...თავისად სცოცხლობთ, მკინარედ,
 ღღეში ადიდით, პკეებდითა“.

რა არის „სადიაცეის“ (ღაჩრის) ცხოვრების მიზანი?

- ა) სხვისი მტრობა; ბ) სხვის მიმართ ზურიანობა;
 - გ) საკუთარ თავზე ზრუნვა; დ) საკუთარ სახელზე ზრუნვა.
20. რას აღძრავს „სადიაცე“ (ღაჩარ) კაცში სხვისი გარჯა და მოღვაწეობა?
- ა) შურს; ბ) მტრობის განცდას;
 - გ) გულშემატკივრობის განცდას; დ) უზერხულობის განცდას.

21. ვაჟა-ფშაველა „სადიაცეებს“ (ღაჩრებს) მიმართავს:

...უქმად ჩამადღეთ სიცოცხლეს, დაკარგავთ სააქოსა,
 უქმად საფლაკში სწეებითა, ვერც საიქოს სწელებითა“.

რად მაინია ავტორს „სადიაცეების“ (ღაჩრების) ცხოვრება?

- ა) მარად ცარიელ სანყაულად; ბ) სრულ უაზრობად;
 - გ) საიჭიოსთვის შეწირულ სააქოდ; დ) სააქაოსთვის დავიწყებულ საიჭიოდ.
22. ვისთვის არის ბუნებრივი „სადიაცეების“ (ღაჩრების) ცხოვრების მიზანი (ბოლო ორი ტეკის მიხედვით)?
- ა) თვითონ „სადიაცეებისთვის“; ბ) ყველა გარშემო მყოფისთვის;
 - გ) ღვთისთვის, რომელიც მათ აღარ ახსოვთ; დ) ღვთისთვის, რომელსაც ისინი აღარ ახსოვს.

**ბიორგი შატბერაშვილი,
 „საუპაშო საგზაალი“**

1. გიორგი შატბერაშვილი წერს:

...ცესნიდან „იერის“ ახალი ნომრის დაგვიანება კარგს არადღის მოასწავებდა, რელაქციაში



ყველა დღეა დღეა, დღეა თავისებურად.

რის გამო დღეავენ (ფაქტობრივად) „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლები (უბრალოდ) საერთო კონტექსტის გათვალისწინებით?

- ა) ნომრის დაგვიანების;
- ბ) ნომრის მასალეში შესაძლო უზუსტო ჩარევის;
- გ) იაკობ მანსვეტაშვილის მრავალისმეტყველი მდუმარების;
- დ) ილია ჭავჭავაძის შესაძლო გაცხარების.

2. გაიხსენეთ, ვინ არღვევდა „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლების საერთო დუმბლს (რომლითაც ისინი თავიანთ მდელეარებას გამოხატავდნენ):

- ა) ილია ზახტაძე; ბ) სოფრომ მგალობლიშვილი;
- გ) სტიფანე ჭრელაშვილი; დ) გიგა ყიფშიძე.

3. გიორგი შატერაშვილი წერს:

„იაკობ თავი არ აუწვია, წინარად თქვა: — ვასრულებთ პორაცოუსის რჩევას: მძიმე წუთებში მოთმინებას და სიმტკიცეს ვიყენებ!“

გაიხსენეთ, რის გამო წარმოთქვამს იაკობ მანსვეტაშვილი ციტრებულ ფრაზას:

- ა) გიგა ყიფშიძის შენიშვნის გამო;
- ბ) გიგა ყიფშიძის შენიშვნასთან დაკავშირებით გამართული კამათის გამო;
- გ) გიგა ყიფშიძის შენიშვნის მიმართ თანამშრომელთა ორჭოფულ პოზიციასთან დაკავშირებით;
- დ) გიგა ყიფშიძის შენიშვნის გამო თანამშრომელთა ერთსულოვანი აღტაცების გამო.

4. გაიხსენეთ, ვინ არის „ის გადაგვერებული“, რომლის თავხედობაც „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებს აწუხებთ:

- ა) ცნზორი ლუკა ისარლოვი; ბ) იმპერატორი ალექსანდრე მესამე;
- გ) პუბლიცისტი კატკოვი; დ) მთავარმმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი.

5. გიგა ყიფშიძე იაკობ მანსვეტაშვილს საყვედურობს:

„(ცხოვრებაში ყველაფერს ისე უყურებ, როგორც სანახაობას, ცნობისმოყვარის თვლით... ეს იმიტიმ, რომ მერე უბის წონაკში შეიტანო და... შთამომავლობას გადასცე მე კი, აბა, შემოსხმულ ვიხრბობი.“

რის გამო საყვედურობს გიგა ყიფშიძე იაკობ მანსვეტაშვილს?

- ა) გულგრილობის; ბ) შეუთანხმებელი მოქმედების;
- გ) სიმშვიდის; დ) უადგილო გამოქომაგების.

6. გაიხსენეთ, ვინ (რა) ასწრებს ხოლმე ილია ჭავჭავაძეს მისი კაბინეტის გაღებულ კარიდან:

- ა) ილიასვე ხმა; ბ) ქარის მიერ მიმობნეული ფურცლების;
- გ) ესა თუ ის სტუმარი; დ) პაპიროსის კვამლი.

7. გიგა ყიფშიძე ამბობს:

„საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ ის წყველი ლუკა ისარლოვი დღეებანდელ კანონებს ისე უყრისხილდება, როგორც საკუთარ ქეცანს ტყავს.“

რას წარმოადგენს ლუკა ისარლოვისთვის (ცნზორისთვის) კანონის დაცვა?

- ა) სახალხო ინტერესების დაცვა; ბ) სახელმწიფო ინტერესების დაცვა;
- გ) საკუთარი თავის დაცვა; დ) ფანტაზიის საგანს.

8. რას აღარებს გიგა ყიფშიძე ცნზორის მიერ ატრედებულ ანაბუჯდებს?

- ა) გამჭნერებულ ვენახს; ბ) დასეტყვილ ყნახს;
- გ) ტრეტებმემზარ ხეს; დ) სარველაამოფულ ყნახს.

9. გიორგი შატერაშვილი ცნზორის მიერ ატრედებულ ანაბუჯდებზე წერს:

„ამოსილიდ სიტყვები და წინადადებები, მთელი აბზაცები, წითელი ჯერები, დიდი წითელი კითხვის ნიშნები... შეტრადებულ ფანქარასან ბრძოლაში დახობილი სიტყვები და აზრები... ხსანამწინად ამოხახლი... წითელი ჯერი გადახახული, ჩახშიბილი გულის ძგერა.“

ტრადული აზრების რომელი სახეობა გამოიყენება თავისუფალი სიტყვის ჩახშიბის დასახატავად?

- ა) შეტაფორა; ბ) შედარება;
- გ) გაპროვინება; დ) პიერბოლა.

10. რომელი ფიგურის უკან იკითხება (მეტაფორულად) ცნზორის კმაყოფილი სახე?

- ა) წითელი ხაზის; ბ) სტრიქონის ბოლოს ატუზული კითხვის ნიშნის;
- გ) წითელი ჯერის; დ) ეკლანი მავთულივით ჩარიტებული კითხვის ნიშნების.

11. გიორგი შატერაშვილი ცნზორის მიერ ატრედებულ ანაბუჯდებზე წერს:

„ილია დაღერქისი დასცქეროდა ამ უცნაურ სასაფლაოს.“

ილიას როგორი განწყობილება იკითხება ტექსტში?



- ა) გულგრილობა;
- ბ) სინანული;
- გ) გულწათხრობილობა;
- დ) მწუხარება.

12. რომელ ფრაზაში გამოიყენება ტროპული აზროვნება:

- ა) — ქაჩანებდა და ქოთქოთებდა, ამონაბეჭდებს აფრიალებდა*.
- ბ) „ბოროტ ხელს საგულგრილოდ დავთხარა აზრთა ფესვები“;
- გ) — უფრო მეტად ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა*;
- დ) „ველა ელოდა, თუ რით დაამთავრებდა რედაქტორი თავის ნათქვამს“.

13. გიორგი შატერაშვილი წერს:

— ე.პ. ლუკა ისარლოვი, ლუკა ისარლოვი — დაღლილი ხმით გაიმჟორა ილიამ. — ძაღლის თავი უყურო ღრმად არის დამარხული, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება*.

რაზე მაინიშნებს ილია?

- ა) მოვლენის ნამდვილ მიზეზზე;
- ბ) ცენზურის ტრადიციულ თვითნებობაზე;
- გ) ლუკა ისარლოვის გადამწყვეტ როლზე;
- დ) ეროვნული აზროვნების დევიციტზე.

14. გაიხსენეთ, რას შეეხება ტექსტი, რომელიც ცენზორმა ანაბეჭდიდან ამოიღო:

- ა) კაპიტალიზმის განვითარებას;
- ბ) სარკინიგზო ქსელის განვითარებას;
- გ) ისტორიულ ერთა გამძლეობას;
- დ) წვრილბუფრუაზიული ფიქიკის თავისებურებებს.

15. ილია ჭავჭავაძე ამბობს:

„არ ეცით ბრძოლა, არა! შმ. წკიურტები, გამოცანები, ღაბრები! აი, რით ვებრძით მტერს, რომელიც ღონეს არ ზოგავს ჩვენი დასამარებისთვის“.

რაზე ღაპარაკობს ილია ჭავჭავაძე?

- ა) ბრძოლის მეთოდების უვარგისობაზე;
- ბ) ბრძოლის მეთოდების ავკარგანობაზე;
- გ) ბრძოლის მეთოდების განახლებაზე;
- დ) ბრძოლის მეთოდების უპიარისობაზე.

16. გაიხსენეთ, რას უწოდებს ილია ჭავჭავაძე მტრის მიერ მოსყიდულ კალამს:

- ა) ლუკა ისარლოვის ნითელ ფანქარს;
- ბ) გიორგი მუხრანსკის კალამს;
- გ) იმ ავტორების კალამს, რომლებიც ქვეყანაში სოციალური პრობლემების არარსებობაზე წერენ;
- დ) იმ ავტორების კალამს, რომლებიც ეროვნულ განსხვავებათა მიზანშეწონილობაზე წერენ.

17. გიორგი შატერაშვილი წერს:

— შეჟო! შეჟო! კაცო!

კარებში ჩოხოსანი ბრგე ახალგაზრდა იდგა, თავი ჩაუღუნა, კუთლად იდიმებოდა*.

როგორი ბუნებისა ჩანს სტუმრად მოსული ახალგაზრდა?

- ა) მოკრძალებული;
- ბ) შუუპოვარი;
- გ) თავისუფალი;
- დ) მიზანმიმართული.

18. გაიხსენეთ, ვის ელოდებიან და ვინ მოდის „ივერიის“ რედაქციაში:

- ა) ელოდებიან ქალაქის თავს, მოდის ვაჭაფშაველა;
- ბ) ელოდებიან ლუკა ისარლოვს, მოდის ვაჭაფშაველა;
- გ) ელოდებიან რომელიღაც დრამატურგს, მოდის ვაჭაფშაველა;
- დ) ელოდებიან გიორგი მუხრანსკის, მოდის ვაჭაფშაველა.

19. გიორგი შატერაშვილი წერს:

— ხანამ ჩემი სიმართლე არ დამტკიცდება. ვერ დავეჩხვები, ვერა! — გაიძახოდა ვაჟა და კარისკენ მიათრევდა ხურფანზე დაბლაუკებული ყოფშიძეს*.

რის გამო ვრდება (გაიხსენეთ) ვაჭაფშაველა ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრისა?

- ა) სოფელ თონეთის მამასახლისთან მომხდარი ინციდენტის გამო;
- ბ) პირადი პრობლემების მოუნერსოვლობის გამო;
- გ) ჩარგელობა ყოფა-ცხოვრებაზე ნარკვევის მოუმზადებლობის გამო;
- დ) დაპირებული პოემის დაუნერლობის გამო.

20. გაიხსენეთ, რის გამო ამბობს იაკობ მანსეგრაშვილი: „სიკეთე გაუბედავად აკაკუნებს, ბორბლება კი არ კითხულობს, ისე აწვება კარებს“.

- ა) გიორგი მუხრანსკის თავბეღური სტატიის გამო;
- ბ) ილიას პრინციპული პოზიციის გამო;
- გ) გიგა ყიფშიძის მოუსვენრობის გამო;
- დ) ვაჭაფშაველას თავმდაბლობის გამო.

21. ილია ჭავჭავაძე ამბობს:

„როდესმის უნდა დადიოდეს ქართველი კაცი ამ ტყად წუთისთოვლში ნახევარი დღის საეწლით? რატომ საუკუნო საეწლითის არ უნდა ზრუნავდეს და იღვწოდეს?“

რა იგრძნობა ილია ჭავჭავაძის ხატოვან ნათქვამში?

- ა) გულსტკივილი დიდ საქმეთა ნაკლებობის გამო;
- ბ) გულსტკივილი იმ დამოკიდებულების გამო, რომელიც საზოგადოებას დიდ ადამიანთა მიმართ აქვს;



31. ილია ჭავჭავაძე ამბობს:

„ჩვენს დროში კაცურად ცხოვრების ერთადერთ წუთსაც კი თავისი მადლი და თავისი აქცესია, ყოფილა ასეთი წუთი... ამ ერთი კაცური, ბედნიერი წუთისათვის ეცხოვრობს მთელი ცხოველი ქვეყანაზე“.

ვის (რამ) შექმნა „წუთი“, რომელმაც ილიას ბედნიერება განაცდევინა?

- ა) „ივერიის“ კოლექტივმა — ერთსულოვნებით, რომელიც მან კრიტიკულ ვითარებაში გამოიჩინა;
- ბ) იაკობ მანსვეტაშვილმა, რომელმაც „წუთი“ უბის წიგნაკში დააფიქსირა;
- გ) თვითონ ილიამ, რომელმაც „ივერიის“ კოლექტივს სიმტკიცისა და ერთსულოვნებისკენ მოუწოდა;
- დ) ვაჟა-ფშაველას თხზულებამ.

32. გაიხსენეთ, რას ვეფუძნება გიორგი შატერაშვილის მოთხრობა:

- ა) ილია ჭავჭავაძის მოგონებას (და მას სათანადო პატივს მიაგებს);
- ბ) ვაჟა-ფშაველას მოგონებას (ნაწილობრივ);
- გ) იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებას (და მას სათანადო პატივს მიაგებს);
- დ) ავტორისულ ფანტაზიას (მთლიანად).

**ივანე ზურაბიშვილი,
„ბაბრიელ ეპისკოპოსი“**

1. მთხრობელი გვიამბობს:

„ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო, მე რომ მოუთმენლობამ ამიტანა: როდის იქნება, დაღამდება და წასვლის დროც დადგება. გამოვიწყო ახალ ტანისამოსში და სობოროში წავიდე-მეიქი“.

რის სურვილი არ ასვენებს მთხრობელს?

- ა) სახლიდან გასვლის; ბ) ეკლესიაში წასვლის;
- გ) ლოცვის; დ) ზიარების.

2. გაიხსენეთ, სად, რა ვითარებაში იხილავს მთხრობელი გაბრიელ ეპისკოპოსს:

- ა) ქუთაისში, გვირილობის დღესასწაულზე;
- ბ) ქუთაისში, შობის ღამეს;
- გ) ქუთაისში, მღვდელთა და მღვდელმთავართა თავყრილობისას;
- დ) ქუთაისში, სააღდგომო წირვისას.

3. მთხრობელი გვიამბობს:

„საღამომდე ამ მოუთმენლობას მინელედა ჩვეულებრივი, ამ შემთხვევაში — შინაური ფაკციუცი, მსადება და. რაკი ოჯახში ეველაზე უმცროსი მე ვიყავი, თღონდ არც ისე პატარა, რომ ჩემი დასაქმება არ შეძლებულიყო, ხშირი გამოძახება“.

რა ვითარება აისახება ტექსტში (უბასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით):

- ა) საერთო მოუთმენლობა; ბ) საზეიმო განწყობილება;
- გ) უაზრო ფუსფუსი; დ) სადღესასწაულო მზადება.

4. რა აისახება იმ ნიუანსში, რომ მთხრობელი წირვაზე ახალი ტანსაცმლით მიდის?

- ა) მთხრობლის გემოვნება; ბ) საზეიმო, ამალღებული განწყობილება;
- გ) ოჯახის შეძლებულობა; დ) წირვაზე მისვლის საერთო წესი.

5. მთხრობელი გვიამბობს:

„...მძღრონიდელ დალოცვილ ქუთაისში, დასაღვთ საქართველოს უდიდეს ქალაქში, სახდის ყურ ნახავდი თითქმის უეხოსოს და ზოგი ხიმ სოფელურად შუა ეხსოში იყო მოქცეული და ხეხიდის ხეებს ამოფარებული“.

რომელი ელემენტის სიჭარბე იგრძნობა ქალაქის განაშენიანებაში?

- ა) ქვის არქიტექტურის; ბ) საერთო ეზოების (რამდენიმე მინიანი სახლების);
- გ) სიმწვანის; დ) აივნის (ღია და ნახევრად ღია სივრცის).

6. რომელ ფრაზაში გამოიყენება გაპიროვნება?

- ა) „უშთვარო, მაგრამ საუცხოოდ მშვიდი და თბილი ღამე იყო“;
- ბ) „ოდნავი სიო სახეს გვიკოცნიდა“;
- გ) „მე ნინდანინვე მქონდა გადაწყვეტილი წინა რიგში მოქცევა“;
- დ) „შიგ სობოროში ტევა არ იყო“.

7. მთხრობელი გვიამბობს:

„თბილი და რბილი აზილის ნახში, წყნარი პაყრი, ხეხიდის ყვაყვილებისა და იასამნის ხუნთი გაუღვიწილი, იმ ვარსკვლავებით მოჭდილ ცის ქვეშ, რითაც ნეტარებით უქუზბდა აღამიანს სულისა და გულის ნამქცილი აღდგომის ღამე“.

რას აგრძობინებს მთხრობელს აღდგომის ღამე?



- ა) ნეტარებას; ბ) ამაღლებას;
- გ) ბუნების იდუმალებას; დ) სიმშვიდეს.

8. გაიხსენეთ, როგორ აღმოჩნდა მიხრობელი ამბიონთან:

- ა) იქ ბიძაშვილმა მიიყვანა; ბ) იქამდე ეპისკოპოსსა და მთავარდიაკონ შარაბიძეს მიჰყვა;
- გ) მოხერხებით; დ) თავისდა უნებურად.

9. მიხრობელი გვიამბობს:

„მთავარდიაკანი შარაბიძე — ის რომ ასამაღლებულს იტყოდა, გუმბათის ვიწრო სარკმელებს ხანსარი გაქონდა“.

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება მთავარდიაკონ შარაბიძის ხმის ტემბრის წარმოსდგენად?

- ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
- გ) გაპიროვნება; დ) ჰიპერბოლა.

10. როგორ შესცქეროდა, თავისივე თქმით, მიხრობელი ეპისკოპოსს?

- ა) გაკვირვებით; ბ) მოჯადოებულებით;
- გ) მოკრძალებით; დ) პატივისცემით.

11. მიხრობელი დიდი ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაზე გვიამბობს:

„დიდი ყურადღებით ვუცქირდებით, ვუსინჯავთ გარეგნობას, ქცევას და მიხერა-მოხერას, ერთის სიტყვით, ვიძებთ მისი ნიჭის გარეგან ნიშნებს“.

დიდი ადამიანების მიმართ დამოკიდებულების რომელ თავისებურებას აღნიშნავს ავტორი?

- ა) ცნობისმოყვარეობას; ბ) კრიტიკულობას;
- გ) წარმოდგენების გულუბრველობას; დ) ცალსახა აპოლოგეტურობას.

12. რაში იცნობა, მიხრობლის თქმით, დიდი ადამიანის სიდიადე?

- ა) გარეგნობაში; ბ) მოძრაობაში;
- გ) ზემოქმედებაში; დ) საქმეში.

13. მიხრობელი ქუთაისის გიმნაზიიდან ას ოცი ქართველი მოსწავლის გარიცხვასთან დაკავშირებით აღნიშნავს:

„ხუთას ბავშვსა და ყმაწვილში ყოველთვის გამოირჩევა რამდენიმე ისეთი, რომელიც სხარხცისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო ჩამორჩება სწავლას და ამიტომ შეიძლება, შემდეგ კლასში გადაყვანის დღისი არ იყოს, მაგრამ ხუთასიდან ას ოცი? —“

რას მიაწერს მიხრობელი ქართველი მოსწავლეების გარიცხვას?

- ა) კონკრეტულ მიზეზზე (ან საბაზზე) არაფერს წერს;
- ბ) დაშინავევებად სასწავლო ოლქის ჭირვეულ შესვეურებს მიიჩნევს;
- გ) გარიცხვას ანტიქართულ აქტად მიიჩნევს;
- დ) დაშინავევდ თვით ამ მოსწავლეებს მიიჩნევს.

14. რით უპასუხებს გიმნაზიიდან გარიცხულმა მოსწავლეებმა გიმნაზიის შესვეურთა აღნისძიებას?

- ა) გამოცდების ხელახლა დანიშვნა მოითხოვენ;
- ბ) სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობას მიმართვენ;
- გ) ქუთაისის ქუჩებში საპროტესტო მსვლელობა მოაწყვენ;
- დ) გიმნაზიის შენობის ფანჯრები ჩაამსხვრიეს.

15. მიხრობელი გიმნაზიის მოსწავლეთა გარიცხვასთან დაკავშირებით გვიამბობს:

„თვით ქუთაისში გადადგეს რაღაც ნაბიჯები თავდაზნაურობის წინამძღოლმა და ქალაქის მოურავმა, მაგრამ გაიარა ერთმა-ორმა თვემ და დათხოვილ მოსწავლეთა ამბავი მიყურდა, ყველას მიაყვყდა“.

საზოგადოების რომელი ნიშან-თვისება იკითხება ტექსტში?

- ა) თანმიმდევრულობა; ბ) არათანმიმდევრულობა;
- გ) სიფიცხე; დ) მომთხოვნეულობა.

16. სად დაგმო გაბრიელ ეპისკოპოსსა ქუთაისის გიმნაზიიდან ას ოცი მოსწავლის გარიცხვის ფაქტი?

- ა) „სობოროში“ ნიურნისას;
- ბ) თავდაზნაურთა საკრებულოს სხდომაზე სტუმრობისას;
- გ) გიმნაზიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ქადაგებისას;
- დ) პრესაში.

17. გაბრიელ ეპისკოპოსი ამბობს:

„უდავლია მოვალეობა იმად, ვინც მომავალი თაობის აღმზრდელია კისრულობს, და უსაძლეობა და დამწინდელს არა აქვს უფლება, თქვას, რაც 'შეუძლო, ვქენ და შეტე აღარ შექისლიანთ“.



ქართული

რის უფლება არ გააჩნია აღმზრდელს?

- ა) „ხელების დაბანის“; ბ) თვითმყოფილების;
 - გ) პრობლემის მიჩუმათების; დ) მუდმივი-უკმაყოფილების.
18. რა იყო, მთხრობლის თქმით, მღვდელმთავრის გამოსვლის მთავარი აზრის მქონე გამწახის მესვეურები ქადაგების დამთავრებას არ დაელოდნენ და „გაჭარხლებულნი საქაროდ გაიკიბნენ ეკლესიიდან“?

- ა) რომ აღმზრდელს აღსაზრდლის აღზრდა მართებს;
- ბ) რომ მოსწავლის სასწავლებლიდან გარიცხვა გაუმართლებელია;
- გ) რომ კარგი და ცუდი ერთბაშად არ იცნობა;
- დ) რომ სკოლაში პოლიტიკა არ უნდა დომინირებდეს.

19. **გაბრიელ ეპისკოპოსი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამეს მიმართავს:**

„ეს ქვეყანა უჭირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში... და, როგორც ასეთი, სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობას მოითხოვს, ვიდრე მას, რომელსაც ადგილი აქვს.“

რატომ მოითხოვს საქართველო საიმპერატორო კარის უკეთეს მოპყრობას?

- ა) იმიტომ, რომ თვითონ საიმპერატორო კარის ერთგულია;
- ბ) იმიტომ, რომ რუსეთის აზიური პლაცდარმია;
- გ) იმიტომ, რომ განსაკუთრებული ქვეყანაა;
- დ) იმიტომ, რომ ტყმარტივების აღმსარებელია.

20. **რამ გაუფუჭა იმპერატორ ალექსანდრე მესამეს განწყობილება (გაბრიელ ეპისკოპოსთან შეხვედრისას), რომელიც სახიდან თავდაზნაურობის მიერ გამართულმა ნადიმმაც ვერ გადაკაყარა?**

- ა) სინდისის ქენჯნამ;
- ბ) მხილებამ;
- გ) ქართული და რუსული სამღვდელოების განსხვავების გააზრებამ;
- დ) უკმაყოფილებამ, რომელიც რევორმების არაადეკვატური ეფექტის გამო დაეუფლა.

21. **კიევის უნივერსიტეტის ბულგარელი სტუდენტი მთხრობელს ეუბნება:**

— საქართველო? ეს ის ქვეყანაა, რომელსაც განთქმული გაბრიელ ეპისკოპოსი რომ ეკუთვნის?..

რად იქცა კონკრეტულ შეთხვევაში გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი?

- ა) საქართველოს საეპიტო ბართადა; ბ) ქართული ინტელექტის სიმბოლოა;
- გ) თავისუფალი სამყაროს სიმბოლოა; დ) უმაღლეს სასულიერო ავტორიტეტად.

22. **რატომ არ უნდა აინტერესებდეს, ბულგარელი სტუდენტის აზრით, მთხრობელს ბულგარეთის ამბავი?**

- ა) იმიტომ, რომ ბულგარეთში ღირსშესანიშნავი არაფერი ხდება;
- ბ) იმიტომ, რომ ბულგარეთს ცნობისმოყვარენი ისედაც არ აკლია;
- გ) იმიტომ, რომ უცხოელის ინტერესი, როგორც წესი, მოჩვენებითია;
- დ) იმიტომ, რომ თვითონ მას საქართველოს ამბავი არ აინტერესებს.

23. **მთხრობელი გაბრიელ ეპისკოპოსზე ამბობს:**

„მისი ნადვლიანი თვალები სადღაც შორს იცქირობოდნენ, მის მსმენელთა თავებს ზემოთ, თითქმის ცდილობდნენ, სადღაც შორს მიუწვდიმელი და საიდუმლოებით მოცემული მომავალი განეცხვიათ.“

გაბრიელ ეპისკოპოსის რომელი ნიშან-თვისება იკითხება ტექსტში?

- ა) გობილი; ბ) სხვისი ჭირის გაზიარების უნარი;
- გ) ხილვისხმიერება; დ) ხილული საგნებით დაუკმაყოფილებლობა.

24. **როგორი იერი ახლდა გაბრიელ ეპისკოპოსის თვალებს, რომლებშიც სიყვარული, სიკეთე და სიმკაცრე ერთდროულად იკითხებოდა?**

- ა) ლალი; ბ) სეფიანი;
- გ) დაკვირვებელი, გამომცდელი; დ) ამაყი, თავმოწონე.

25. **მთხრობელი გაბრიელ ეპისკოპოსზე ამბობს:**

„მისი სამწყსო, მისი სულიერი შვილი, ქართველი, საქართველო, ზედმწეებით მიხედობოდნენ თავიანთი გულმკისტკიერის სულიერ წამება-ტანჯვას ნათლად ხელაღსნენ, რომ მათმა ერთგულმა ურდობამ დაუღონა სამუდამოდ სახე და დაუნაღვლიანა თვალები მათ საყვარელ გაბრიელს.“

როგორაა ქართველების დამოკიდებულება სულიერო მძღვერის მიმართ?

- ა) მათ მისი ლოცვა ყველა ჭრილობის წამლად მიაჩნიათ;
- ბ) ისინი გაბრიელ ეპისკოპოსს თავიანთ წინამძღვლად მიიჩნევენ;



- გ) მათ მისი გულისთვისა ესმით;
 დ) ისინი მის სახელს მოკრძალებით ახსენებენ.

26. როდის გამოვლინდა ერის განსაკუთრებული სიყვარული გაბრიელ ტყეშელაშვილის მიმართ?

- ა) გიმნაზიიდან მოწაფეთა გარიცხვის დღეებში; ბ) იმპერატორის სტუმრობის დღეებში;
 გ) დიმიტრი ყიფიანის ჩამოსვენების დღეებში; დ) გარდაცვალებისა და განსვენების დღეებში.

27. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა „სობორში“, სულის მოსახსენებელ წირებაზე, განსვენებულ გაბრიელს მიმართა:

„ერთი ოდეს მოვალეობა თანამსახურის მკვიდელსაიყრისა მამულებს, მივიღო ჩემს თავზე საშინო პატივი ღაპარაკისა იმ კათედრიდან, რომელიც განაშენებ შენ“.

რა აბედელებს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანს გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ „განშენებულ“ კათედრიდან ღაპარაკს?

- ა) პირობა, რომელიც ეპისკოპოსს სიცოცხლეშივე მისცა;
 ბ) განათლება, რომელიც საპატიო მისიის განხორციელების საშუალებას აძლევს;
 გ) სიყვარული, რომელიც გარდაცვლილი ეპისკოპოსის მიმართ აქვს;
 დ) მოვალეობა.

28. გაიხსენეთ, რას უწოდებს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი გაბრიელ ეპისკოპოსს:

- ა) ერის მოჭირნახულეს; ბ) ოქროპირ მოძღვარს;
 გ) მალა მთებარე სათელს; დ) ლოცვით დამაშურალ მორწმუნეს.

29. მთავარეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი გაბრიელ ეპისკოპოსს მიმართავს:

„შენ ხარ პირველი მღვდელმთავარი ქართველთა, რომელმაცა ამ ძველს ჩვენს სამღვდელეობას დროთაგან დაიარსოს. შაბერე სული ახალი და მიუც აწინდელი ძალი სამოქალაქო ცხოვრებისა“.

ფინ არის, ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის თქმით, გაბრიელ ეპისკოპოსი?

- ა) ქართული სამღვდელეობის განმაახლებელი; ბ) ქართველთა მეთხილ ღვთის წინამძღ;
 გ) სამოქალაქო ცხოვრების განმაახლებელი; დ) პირველი ქართველი მღვდელმთავარი.

30. რა აღმოკვეთა გაბრიელ ეპისკოპოსმა ქართული სამღვდელეობის ცხოვრებიდან?

- ა) წარსულის მძიმე მემკვიდრეობა;
 ბ) პრობლემები, რომლებიც სამღვდელეობის აზროვნებაში მძიმე ანჭმომ გააჩინა;
 გ) მომავლის შიში;
 დ) უსარგებლო ღვარძლი.

31. ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი გაბრიელ ეპისკოპოსს მიმართავს:

„რა ხელითი ნაკლულიაგება დარჩა შენს სამქალაქოში, რომელიც არ განეკმსკველის შენ მახელის სატყეობა? რა დირობა იყო, რომელიც არ გაქვს და არ გესწავებინოს ხალხისათვის?“

რისთვის იყენებს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი რიტორიკულ შეკითხვას?

- ა) გაბრიელ ეპისკოპოსის, როგორც სულიერი მოძღვრის, ღვაწლის განსაზღვრებად;
 ბ) გაბრიელ ეპისკოპოსის, როგორც მჭევრმეტყველის, უნიკალური თვისებების დასახასიათებლად;
 გ) გაბრიელ ეპისკოპოსის მწიგნობრული ღვაწლის აღსანიშნავად;
 დ) გაბრიელ ეპისკოპოსის ეპისტოლარული მემკვიდრეობის დასახასიათებლად.

32. გაიხსენეთ, რა მხრივ იყო გაბრიელ ეპისკოპოსი „პირველი ქართველი ამა საუკუნისა“?

- ა) როგორც მქადაგებელი; ბ) როგორც მწიგნობარი;
 გ) როგორც ქართველი კაცის გონიერების წარმომჩენი; დ) როგორც მოძღვარი.

33. ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი გაბრიელ ეპისკოპოსს მიმართავს:

„გამდობს შენ ენაჯა, მშობლიური ენა, რომელიც მდიდარ ჰყავ შენ ქადაგებითა შენითა, ენა, რომლისთვისაც ებრძოდი შენ მუდგრად იმ განუსჯელ პირთა, რომელთაც ენა პეტრისა, გიორგი მთაწმიდლისა და ამბროსი მქადაგებლისა უარყვეს, ვისარცა უვარგისი და გამოუსადგარი შექნირებისათვის“.

რომელმა სახიფათო ტენდენციის არსებობას გვამცნობს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ტენდენციისა, რომლის აღსაკვეთადაც გაბრიელ ეპისკოპოსი იბრძოდა)?

- ა) ქართული ენის არასახელმწიფო ენად ქცევა;
 ბ) ქართული ენის არასასწავლო ენად ქცევა;
 გ) ქართული ენის მეცნიერებისათვის შეუსაბამო ენად გამოცხადებას;
 დ) ქართული ენის საშინაო ენად გამოცხადებას.

34. გაიხსენეთ, რა კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის „სიტყვის ბოლო აკრიდი“ („სიტყვათა წმიდათა, საქმითა წმიდათა“):

- ა) გაბრიელ ეპისკოპოსის ნაშრომებს უცხოელებიც იცნობდნენ;
 ბ) გაბრიელ ეპისკოპოსი ეროვნული მეობის განსამტკიცებლად იბრძოდა;



ქართული
ეროვნული
ცენტრი
ადამიანის უფლებების
და დემოკრატიის
სამართლებრივი
ცენტრი

ბ) გაბრიელ ეპისკოპოსმა ქართული ქადაგების ჟანრი (ჰომილეტიკა) განავითარა;
დ) გაბრიელ ეპისკოპოსმა მთელი პირადი ქონება სხვადასხვა კთილ საქმეს შესწირა.

35. ილია ჭავჭავაძეს გაბრიელ ეპისკოპოსისთვის მიუმართავს:
„შენა ხარ, რომ სარწმუნოება გაამყენიერე და მეცნიერება გაასარწმუნოებო.
რომელი საწყისების ერთობლიობა წარმოინდგება ტექსტში?

- ა) სიტყვისა და საქმის; ბ) რწმენისა და გონების;
გ) სინდისისა და თავისუფლების; დ) უფლებისა და მოვალეობის.

36. რას უწოდებს ავტორი გაბრიელ ეპისკოპოსსა და ილია ჭავჭავაძეს?

- ა) მეცხრამეტე საუკუნის ორ დიდ ქართველს;
ბ) ორ მნათობს;
გ) ეროვნებისა და სარწმუნოების ორ ბურჯს;
დ) წარსულის, აწმყოსა და მომავლის დამაკავშირებელ ხიდებს.

**რევაზ თაბუკაშვილი,
„საპარტიზლოს მიჭურჭლითუსუცისი“**

1. რევაზ თაბუკაშვილი წერს:

„ქალბატონი გაბრიელ იმეგობებს უცხოეთის მეცნიერთა შორის უკვე საყოველთაოდ დამკვიდრებულ აზრს, რომ დასავლეთ ევროპისა თუ მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ხელოვნების სრულყოფილი განხილვა შეუძლებელია ქართული ხელოვნების შესწავლის გარეშე“.
რას ეხება უცხოეთის მეცნიერთა შორის უკვე საყოველთაოდ დამკვიდრებული აზრი?

- ა) ქართული კულტურის სპეციფიკას; ბ) ქართული კულტურის მიმართულებებს;
გ) ქართული კულტურის პერიოდიზაციას; დ) ქართული კულტურის მნიშვნელობას.

2. რით იწყება კინომოთხრობა?

- ა) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ვრცელი მიმოხილვით;
ბ) ქართულ სიძველეთა პარიზული ექსპოზიციის აღწერით;
გ) ძველი ქართული კულტურის ძირითადი დარგების ჩამოთვლით;
დ) ექსპოზიციის აღწერით.

3. რევაზ თაბუკაშვილი ქართული ეროვნული განძის ოდისეის დასაწყისზე გვიამბობს:
„თბილისიდან ჯერ ქუთაისში და მერე ბათუმში რის ვაივავლახით ჩამოტანილი განძი საფრანგეთის კრეისურ კონტრაქტ რეზანზე“ დაბინავდა, მაგრამ კაპიტანმა პირობა დაარღვია, დანიშნულ დროზე ადრე ასწია ლუჯა, განძის გამკვლელებს არ დაელოდა და კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა“.

რას მოხსენებდა (სიმბოლურად) ოდისეის ასეთი დასაწყისი?

- ა) ბოლშევიკების ბრბოსგან განძის დაცვას;
ბ) ოდისეის რთულსავე გაგრძელებას;
გ) მოვლენების სამხედრო-პოლიტიკური კალაპოტით განვითარებას;
დ) ქართველ მამულიშვილთა სიფიზლის გაძლიერებას.

4. გაისხნეთ, სად დაეწია ექვთიმე თაყაიშვილი ეროვნულ საგანძურს:

- ა) გზად, გამოლილ ზღვაში; ბ) სინოპში, თურქულ ნავსადგურში;
გ) მარშარლოს ზღვაში; დ) სტამბოლში.

5. რევაზ თაბუკაშვილი საფრანგეთში, ქალაქ მარსელში, ჩატანილ საგანძურზე წერს:
„განძი გაქვადან ბანკში გადაიხიდა — ქნგაღის პოლკად“ წოდებული რაწმხა აღაყაშობრტყული და დააკული“.

რის ასოციაციას იწვევს ტექსტი?

- ა) საფრანგულ განახლებას; ბ) პრობლემის ამონაურვის;
გ) სიძველე დაცულობის; დ) პრობლემის გაბუნდოვანების.

6. გაისხნეთ კინომოთხრობის ექსპოზიციური ნაწილი, რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქართულ სიძველეთა პარიზული ექსპოზიციის აღწერას („გრანადალე“, ქალბატონი გაბრიელ და სხვა)?

- ა) ექსპოზიციის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლზე გვიამბობს;
ბ) ექსპოზიციის ექსპონატების თანამედროვე მდგომარეობას აღწერს;
გ) ექსპოზიციის საგამოფენო საქმიანობის სპეციფიკას აღწერს;
დ) ექსპოზიციის კინომოთხრობაში აღწერილი ამბების საერთო გადმოსახველს ქმნის.

7. რევაზ თაბუკაშვილი წერს:

„მუხეუმს (ღაპარაკა ბრიტანეთის მუხეუმზე) სურდა ახალგორის განძიდან ერთი რამდენიმე ნივთის შესყიდვა. სანაცვლოდ პრობას იძლეოდნენ, რომ უსასყიდლოდ დასტამბავდნენ მთელი წვენი საუნჯის კატალოგებს და, გარდა ამისა, ბანკში მინარებული განძის შექაჩეუფრანკიც თავად გადაიხდიდნენ.“

რატომ უნდა ეთქვათ ქართველებს უარი, ერთი შეხედვით, მომგებიან წინადადებაზე (უპასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით)?

- ა) კატალოგებით განძის არსებობა გაზამაურდებოდა;
- ბ) წინადადება ფინანსურად მომგებიანი შილოდ ერთი შეხედვით იყო;
- გ) მათ თითოეული ნივთი შეუფასებელ ღირებულებად მიაჩნდათ;
- დ) ისინი ბრიტანულ მხარეს არ ენდობოდნენ.

8. რატომ იყო მიუღებელი მსოფლიოს ცნობილი მუხეუმების წინადადებები, რომლებიც საგანძურის გამოფენას შეეხებოდა?

- ა) საგანძურით დაინტერესებდა შეიძლებოდა, სავალალოდ დამთავრებულყო, ის დაკარგულიყო;
- ბ) საგანძურის ტრანსპორტირება გარკვეულ პრობლემებს წარმოშობდა;
- გ) საგანძური ჯერ სრულყოფილად აღწერილი არ იყო;
- დ) საგანძურის გატანას საფრანგეთის მთავრობის ნებართვა სჭირდებოდა.

9. რევაზ თაბუკაშვილი ექვთიმე თაყაიშვილზე წერს:

„ღაღობს პარიზი — ცდუნებებით სასვე ქდაქი. ამ უსასრულო დღესასწაულის შემხედვარე, სიღუბნურში ცხოვრობს ღრუბლიანი კაცი, რომელსაც ერთ დღეში შეუძლია, გახდეს უმდიდრესი ადამიანი... მაგრამ მას წინდანობის მოწამებორივი გზიდან გადახევა არ შეუძლია.“

რატომ არ განიცემს ექვთიმე თაყაიშვილი თუნდაც ერთ ექსპონატს, რაც მის ცხოვრებისეულ პრობლემას გააუმჯობესებდა?

- ა) მონამებორივი გზაზე დგას;
- ბ) შიღებისა ეშინია;
- გ) ბოლშევიკურ მთავრობას ემიგრირებული მენშევიკური მთავრობის გაკილვის საშუალებას არ აძლევს;
- დ) ღვთისა ეშინია.

10. რით გამოიხატა როლი ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლისა, რომელიც სხვა მამულიშვილებთან ერთად ფაქტობრივად განძს სდარაჯობს (სიკვდილამდე, თერთმეტი წლის განმავლობაში)?

- ა) იმით, რომ შეუძლებს საგანძურის აღწერაში ეხმარება;
- ბ) იმით, რომ განძის შეძენის ან ექსპონირების მსურველებს დასაბუთებულ უარს ეუბნება;
- გ) იმით, რომ საგანძურის საქართველოში დაბრუნების ინიციატორად გვევლინება;
- დ) იმით, რომ შეუძლებსა და სხვა მამულიშვილებს მონამებორივი ღვანლის ასრულებაში ხელს უწყობს.

11. საქართველოს ყოფილი მთავრობის 1935 წლის დადგენილებაში აღნიშნულია:

„ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს უფლება აქვს, მიიღოს ის ზომები, რომელიც საჭიროდ დაინახავს ამ ქონების დასაცავად, ხოლო მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე თვითონ იქნება სრული პასუხისმგებელი აღნიშნული ქონების მებატონეთა და საქართველოს წინაშე.“

რას ნიშნავდა საქართველოს ყოფილი მთავრობის რწმუნება?

- ა) საგანძურზე უარის თქმას;
- ბ) საგანძურის ბედის გაბუნდოვანებას;
- გ) საგანძურის საქართველოში დაბრუნებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს;
- დ) უდიდეს ნდობას ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ.

12. რის გამო ეთქვა უარი სადღემ დადიანს საგანძურის დადიანებისეულ ნაწილზე?

- ა) სხვა დადიანების თანხმობის არარსებობის გამო;
- ბ) საგანძურზე უფლების დაუდასტურებლობის გამო (ქონება, 1920 წლის დეკრეტის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად ითვლებოდა);
- გ) სასამართლოს ტენდენციურობის შედეგად;
- დ) ქართველ მამულიშვილთა შუამდგომლობის შედეგად.

13. რევაზ თაბუკაშვილი ექვთიმე თაყაიშვილზე წერს:

„დარადგეულია ყოველდღიური სულიერი წინასწარობა (ყოველ მსოფლიო იმის დაწყების გამო) და ამ აძვრულ დღეებში ერთი ღრუბლიანი ხეობარი მიხეცი წარმუხურვლად განაგრძობს თავის მოწამებორივი ცხოვრებას...“

ექვთიმე თაყაიშვილის რომელი თვისება იკითხება ტექსტში?

- ა) სიმტკიცე;
- ბ) სიჯიუტე;
- გ) კომუნიკაბელურობა;
- დ) სულიერი დაუკმაყოფილებლობა.



14. რატომ გადაიტანეს საგანმანათლებლო პარიზიდან ვერსალში?

- ა) მარადიორებს რომ არ გაეტაცებინათ;
- ბ) საბჭოთა მთავრობას რომ არ მოეთხოვა;
- გ) ოკუპირებული ქალაქისთვის რომ გაერიდებინათ (ამა თუ იმ საფრთხის პრეტენზიების გამო);
- დ) გერმანიის სახელმწიფოს რომ არ მიეთვისებინა.

15. რეკავ თაბუკაშვილი წერს:

„გერმანელები განაგრძობდნენ ქართული განძის ძიებას, მაგრამ არც ერთ ქართველს არ გაუცია საიდუმლო“.

რა უწყობს ხელს ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით წარმატებით განხორციელებას?

- ა) საერთო ენაო;
- ბ) გერმანელების მოხერხებულობა;
- გ) საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიცია;
- დ) ქართველების ერთსულეობა.

16. გაიხსენეთ, როგორ დაბრუნდა საგანმანათლებლო თბილისში?

- ა) საცვრესით „პარიზი—თბილისი“;
- ბ) შემოვლითი გზით „პარიზი—მოსკოვი—თბილისი“;
- გ) შემოვლითი გზით „პარიზი—რომი—ბენგალი—კაირო—თერაპი—თბილისი“;
- დ) შემოვლითი გზით „პარიზი—ლონდონი—ოსლო—ლენინგრადი—თბილისი“.

**ბალაკტიონ ტაბიძე,
„მამული“**

1. გალაკტიონ ტაბიძე წერს:

„კვირას ბალახზე თუ ვეხშიშვებდა
არ გაეიარე — რაა მამული?“

რას ესწრაფვის ავტორი?

- ა) სამშობლოს ფიზიკურ განცდას;
- ბ) ფიზიკურ და სულიერ თავისუფლებას;
- გ) პირადი ტკივილის დაიწყებას;
- დ) სამშობლოს ტკივილის შეგრძნებას.

2. რის განცდა იკითხება სტრიქონებში: „წინაპართაგან წაეიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ურთამული“?

- ა) საყოველთაო სიხარულს;
- ბ) განახლების;
- გ) გაუცხოების;
- დ) „ძველახლობისა“.

3. გალაკტიონ ტაბიძე წერს:

„გამდა ყველი ნელმა ნაემა მოხუცი მამა, მოხუცი მამა
და მელანდება მე მის წიაღში სასხლავთი ხელში დადის ეენახში“.

რისთვის გამოიყენება მეტაფორა?

- ა) ბუნების განცდის გადმოსაცემად;
- ბ) ავტორის სულისკვეთების გადმოსაცემად;
- გ) ფონის დასახატავად;
- დ) მიუსაფრობის დასახატავად.

4. რას წარმოადგენს მამის სახე?

- ა) მშობლიური გარემოს სიმბოლოს;
- ბ) გადაუხდელი ვალის სიმბოლოს;
- გ) მშობლიურ გარემოში დაბრუნების სიმბოლოს;
- დ) ათელის ნერტილს წარსულისა და ანგყოს შედარებისას.

5. გალაკტიონ ტაბიძე მამაზე წერს:

„აქ თითო ღერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაეჭვანება“

რის თქმა სურს ავტორს?

- ა) რომ მამა წარსულის მთავარი სახეა;
- ბ) რომ ყველაფერში, თითოეულ წერილმანშიც კი, მამის სახე იკითხება;
- გ) რომ მამები არ ბრუნდებიან;
- დ) რომ წარსულზე მხოლოდ ფიქრი შეიძლება.

6. რას გამოხატავს მდელისა და კორდის ისევე ამწვანება (რომლის ფონზეც პოეტი დადის, წუხს, ნანობს — ყველასა და ყველაფერს განიცდის)?

- ა) მშობლიური მიწის ძალას;
- ბ) მშობლიური მიწის მშვენიერებას;
- გ) განახლებას — სულიერ ზეიმს;
- დ) დროის, კიდევ ერთი წელიწადის გახვლას.



- გალაკტიონ ტაბიძე სატრფოს მიმართავს:
რა(ც) უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები.
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი.
რას წარმოადგენს სატრფოს სიშორე?

ა) მისი იდეალური შეგრძნების საშუალებას;	ბ) სევდის მიზეზს;
გ) იძულებას, რომელიც ავტორს აკრთობს და აზინებს;	დ) სიმშვიდის მიზეზს.
 - რა ნიშნით ხასიათდება სატრფო (პირველი სტროფის მიხედვით)?

ა) მარტოობით; ბ) მშვენიერებით;	ა) ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
გ) სისადავით; დ) ამაღლებულობით.	უფრო ანგელოზად გვლინებოდეს.
 - გალაკტიონ ტაბიძე სატრფოს მიმართავს:
„და თუ არა ხარ ის, ვისაც ვეძებო.
მე დღეს არ ენადგეობ. დაე ვცდებოდეს!
რა არ სურს ავტორს?“

ა) უსიყვარულოდ ცხოვრება;	ბ) მირაჟიდან გამოსვლა (თუ ეს მირაჟია);
გ) სინამდვილე წარმოდგენას შეესაბამებოდეს;	დ) სინამდვილე წარმოდგენას არ შეესაბამებოდეს.
 - რა სურს ავტორის ავადმყოფურ (შეყვარებულ) გულს?

ა) იდეალური წარმოდგენით ცხოვრება;	ბ) რეალობის პირისპირ ყოფნა;
გ) ოცნების ასრულება;	დ) ოცნების სამყაროში დაბრუნება.
 - გალაკტიონ ტაბიძე წერს:
„დაიწვას გული უცნაურ ტრფობით, ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოგა
ცრემლით აივსოს ზღვა—საწყაული, და სიყვარულის დღესასწაული.“
რისთვისაა მზად ავტორი?

ა) სიყვარულისთვის დაილუპოს;	ბ) მიიღოს ყველაფერი, რის მიღებაზეც უოცნებია;
გ) სიყვარულისთვის იტანჯოს;	დ) ყველა ოცნება, ერთის გარდა, დაამსხვროს.
- ტროპული აზროვნების რომელი სახეობები გამოიყენება ავტორის სულიერი მზაობის დასახატავად ფრაზაში: „დაიწვას გული უცნაურ ტრფობით, ცრემლით აივსოს ზღვა—საწყაული“?

ა) მეტაფორა და გაპიროვნება;	ბ) მეტაფორა და შედარება;
გ) მეტაფორა და პიპერბოლა;	დ) პიპერბოლა და შედარება.

პაოლო იაშვილი,
„დარიანული“

- პაოლო იაშვილი წერს:

—დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე
ჯაჭვის
ტარებით.“

რომელი თანხმოვნის ალიტერაცია იგრძნობა (ძირითადად) ტექსტში?

ა) მ; ბ) ჯ; გ) ძ; დ) რ.

- რატომ ჰქვია ლექსს „დარიანული“?

ა) აღადგენს დარიალის ხეობის შთაბეჭდილებას;
ბ) სასიმილო, მელიოდური განწყობის შესაქმნელად;
გ) მოკეთუბენა ელენე დარიანის სახელით გამოქვეყნებული ლექსების ციკლს;
დ) მოძრაობის შთაბეჭდილების შესაქმნელად.
- პაოლო იაშვილი წერს:

—მე ლოყაზე
დამჩნა
ფარნა
ცხელ პირის
მოკარებით.

დაიტანჯა
მაღა
მარჯნის
მძიმე ჯაჭვის
ტარებით.



რის ასოციაციას ქმნის (აკუსტიკურად) დატეხილი ტაყები?

- ა) ჯაჭვის ჩხრიალის; ბ) წყაროს რაკრაკის;
გ) მძიმე ნაბიჯების ხმის; დ) ფოთლის შრიალის.
4. რომელი თანხმოვნების ალიტერაცია იგრძნობა (ზოგადად) ტექსტში?
ა) ჯ, ვ, გ, ქ; ბ) ლ, მ, ნ, რ;
გ) თ, მ, ქ; დ) ტ, ჯ, ნ, ჩ, რ.
5. პაილო იაშვილი წერს:

ჩემს დამტანჯველს
ღმერთო
დასჯის
ქაჯად
გადატეხვებით.

რად მიანია ავტორს ეინმეს მიერ მისი „დატანჯვა“?

- ა) ცალმხრივი სიყვარულის ტრაგედიადა; ბ) ორმხრივი სიყვარულის გამოცანად;
გ) სულიერი მღელვარების ნიშნად; დ) არააღმიაწერობად.
6. რას უწყობს ხელს ტაყების დატეხა?
ა) ეპითეტების გამოკვეთას; ბ) ალიტერაციის გამოკვეთას;
გ) განწყობილების ცვლილების გამოკვეთას; დ) დალილილობის (განცდის) გამოკვეთას.

ვალერიან გაფრინდაშვილი, „სანტიმენტალური ტრიოლეტი“

1. ვალერიან გაფრინდაშვილი წერს:

—ვარ მოწყენილი. ეთი სამართში ნახი ბელურა,
ეთი შექმნილობის დამტეხვებში თუერი ვერსალით.

რა ნიშნით ედრება ავტორი ბელურასა და ვერსალს?

- ა) მიუსაფრობით; ბ) მონყენილობით;
გ) სევდიანობით; დ) მოლოდინის განცდით.
2. რა არის ტრიოლეტი?
ა) რვატაეპიანი ლექსი, რომლის ყველა ტაეპის დაბოლოება ერთმანეთს ერთმეება;
ბ) რვატაეპიანი ლექსი, რომლის პირველი ტაეპი მერვე ტაეპად მეორდება;
გ) თეთრი ლექსი;
დ) რვატაეპიანი ლექსი, რომლის პირველი ტაეპი მეოთხე და მეშვიდე ტაეპებად, ხოლო მეორე ტაეპი მერვე ტაეპად მეორდება.

3. ვალერიან გაფრინდაშვილი უცნობ პირს მიმართავს:

„შენს სილამაზეს ჩემი ტროფობა ესაფეხურა“.

რას გამოხატავს ავტორი?

- ა) მონივნებას უცნობი პირის სილამაზის მიმართ; ბ) გარდასული სიყვარულის ხსოვნას;
გ) აღტაცებას უცნობი პირის სილამაზის გამო; დ) სიყვარულის მუდმივობის რწმენას.
4. რის სიმბოლოა ცივი თოვლი?
ა) მომბეზრებელი ზამთრის; ბ) სიყვარულისა, რომელიც იყო;
გ) განშორებით გამოწვეული შეგრძნების; დ) სიყვარულისა, რომელიც აძლებინებს.
5. ვალერიან გაფრინდაშვილი წერს:

„ეტიროდი ხარბად მარტობით ნაალერსალი“.

რის ნიშნია ხარბად ტირილი?

- ა) სევდისა, რომელიც ავტორის გულს დაუფლებია; ბ) სიხარულით ტირილის;
გ) ნაცნობ სამყაროში დაბრუნების განცდის; დ) განსაკუთრებულობის (ბევრი ტირილის).
6. რომელი ტაეპების დაბოლოებები ერთმეება ერთმანეთს (გარდა გამოწვეული ტაეპებისა)?
ა) პირველისა და მეორისა, მესამისა და მეექვსისა;
ბ) პირველისა, მესამისა და მეხუთისა, მეორისა და მეექვსისა;



- ბ) პირველისა და მეექვსისა;
- დ) მეორისა და მეექვსისა.
- 7. ავტორის ბიოგრაფიის რომელი ნიუანსი ცოცხლდება ტექსტში?
 - ა) პირველი სიყვარული;
 - ბ) განშორება;
 - გ) სიყვარულის რეანიმაციის მცდელობა;
 - დ) შიშის განცდა მარტოობის გამო.
- 8. ავტორის როგორი სულიერი მდგომარეობა აისახება ტექსტში?
 - ა) განწირულობის განცდა;
 - ბ) იმედინაობა;
 - გ) ნურვილის განცდა;
 - დ) სევდინაობა.

ტერმინტი გრანელი,
„გაზაფხულის საღამოა ვივილი“

- 1. ტერმინტი გრანელი წერს:
 -გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
 ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
 როგორი განწყობილება იკითხება ტექსტში?
 - ა) მშვიდი;
 - ბ) ფიქრიანი;
 - გ) მოუსვენარი;
 - დ) კრიტიკული.
- 2. რა მოსდევს ჩიტის მოძრაობის („ხიდან ხეზე“) აღწერას?
 - ა) გაზაფხულის სურათის აღწერა;
 - ბ) ბუნების მშვენიერებით გამოწვეული იდილიური განწყობის გადმოცემა;
 - გ) სულის მოძრაობის აღწერა;
 - დ) გამოხატება შიში, რომელიც ავტორს უსასრულობის წინაშე ეუფლება.
- 3. ტერმინტი გრანელი წერს:
 -ცამდე სწევდა ღამეების სიგრძე,
 რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენე.
 გაიხსენეთ, რა უძღვის (უშუალოდ) ავტორის ამ აღმნიშვნელ განწყობას:
 - ა) განცხადება, რომ სული საზღვარს ფრენით გადასცდა;
 - ბ) განცხადება, რომ ავტორს „ახლაც ახსოვს“ რაღაც მისამართი (გაერთება ტრფობის მოტივი);
 - გ) განცხადება, რომ ავტორს თვალწინ „ოცნების არე“ გადაეშალა;
 - დ) მთვარის სურათი.

- 4. განმარტეთ „სული საზღვარს გადასცდება ფრენით“:
 - ა) ავტორი სევდიანია;
 - ბ) ავტორი სიცოცხლის არსზე ფიქრობს;
 - გ) ავტორის ფიქრი შორეულ საგანს სწვდება;
 - დ) ავტორი სულიერ აღმფრენას განიცდის.
- 5. ტერმინტი გრანელი წერს:
 -ცამდე სწევდა ღამეების სიგრძე.
 რისთვის გამოიყენება მეტაფორა და ჰიპერბოლა?
 - ა) აზრის გასაზიარებლად;
 - ბ) ღამეებში (შესაძლოა, უძილო) გამოხატული ამალეებული განცდის გასაზიარებლად;
 - გ) თავისუფლების განცდის გასაზიარებლად;
 - დ) გაზაფხულის ჯერ კიდევ გრძელი ღამეების დასახატავად.

- 6. ტროპული აზროვნების რომელ სახეობას ეფუძნება სახე: „მიწის ცქერით დაიღალა მთვარე“?
 - ა) მეტაფორას;
 - ბ) შედარებას;
 - გ) გაპიროვნებას;
 - დ) ჰიპერბოლას.
- 7. რა როლი ეკისრება „დაღლილი მთვარის“ სახეს?
 - ა) ტექსტის დასაწყისში გამოხატულ სულიერ მდგომარეობას აღადგენს;
 - ბ) ღამის სურათს ქმნის;
 - გ) საგნებისა და მოვლენების ტრაგიკულ დაპირისპირებას ამჟღავნებს;
 - დ) ციური (მინის გარე) სივრცის შეგრძნებას აძლიერებს.
- 8. რა არის ლექსის მთავარი მიზანი?
 - ა) ბუნების იდილიური სურათის შექმნა;
 - ბ) „დედამიწის“ ნეგატიური სახის შექმნა;
 - გ) სულის მოძრაობის ჩვენება;
 - დ) ცისა და დედამიწის ურთიერთმიმართების პოეტური „გაანალიზება“.

1. ტერენტი გრანელი წერს:

„მე ეწერ ამ სტოქოლმის ქარიან ღამეში, როდესაც წვიმის წვეთები ეცემან მინას და როცა სიმორზე ტირის როიალი“.

რა არის პოეტური ღამის ნიშანი (ნიშნები):

- ა) დუმბილი; ბ) მინა, წვიმა, პოეზია;
 - გ) მარტობა; დ) ქარი, წვიმა, მუსიკა.
2. რა აგონდება ავტორს ქარიან ღამეში (მაშინ, როცა წინამდებარე ტექსტი იქმნება?)
- ა) ოდესღაც განცდილი შიში;
 - ბ) ქარიშხლიანი დღეები;
 - გ) შავი ნისლი, რომელიც უფსკრულისკენ მიმავალს ახვევია;
 - დ) განცდა, რომელიც ქარიშხლიან დღეებში არ ტოვებდა.

3. ტერენტი გრანელი წერს:

„მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვიდოდი სინაისკაენ. რომ შეხილა მზე ალბათ. მოხიდავდა შორეული და უხილავი. მოვედი ადრე“.

რას მოიცავს ავტორის თვალსაწიერი?

- ა) ცხოვრების გზას — წარსულიდან დღემდე;
- ბ) ცხოვრების გზას — შორეულისა და უხილავის ზიარების მომენტს;
- გ) ცხოვრების გზას — დღეიდან გაურკვეველობამდე;
- დ) ცხოვრების გზას — სინანულით გამაჭვავლელ სულიერ მომენტს.

4. გაიხსენეთ, რას ახლავს სინანულის ურუნტელი?

- ა) მინაზე დანკვთებული წვიმის ხმას; ბ) სიმორზე ატირებული როიალის ხმას;
- გ) ქარიშხლიანი დღეების გახსენებას; დ) ანწყოს გააზრებას.

5. ტერენტი გრანელი სინანულის განცდაზე (ურუნტელზე) წერს და დასძენს:

„თანაც მისარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი“.

რა იკითხება ავტორის განცდაში:

- ა) ქაოსის შიში; ბ) თავდაჯერებულობა, სულიერი სიმტკიცე;
 - გ) გადარჩენის სიხარული; დ) სულიერი მერყეობა.
6. რის სიმბოლოა მზე, რომლის სახილველადაც ავტორი ქვეყნის გაჩენიდან მოდიოდა?
- ა) მირაჟის; ბ) სულიერი სინათლის;
 - გ) შორეული და უხილავი ორიენტირის; დ) სინათლის ინსტინქტის.

7. ტერენტი გრანელი წერს:

„წინ უფსკრულია და შავი ნისლი მახვევია ირგვლივ“.

რის მდღობის იკითხება ტექსტში?

- ა) ქარიშხლიანი დღეების გაგრძელების; ბ) პიროვნული სახეცვლილების;
 - გ) სულიერი დაპირისპირების; დ) დასასრულის.
8. განმარტეთ „მოვედი ადრე“ (უკასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით):
- ა) ავტორი მიიჩნევს, რომ მიზანს მიაღწია; ბ) ავტორი მიიჩნევს, რომ ყველაფერი სწრაფად მოხდა;
 - გ) ავტორი ნანობს, რომ იქტარა; დ) ავტორს უხარია, რომ ბედისწერას დაასწრო.

9. ტერენტი გრანელი წერს:

„და ახლა ისევე ეუახლოვები სიბნელეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიძირება ჩემი სხეული“.

ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიმორზე მე მეშინია“.

რისთვის გამოიყენება შედარება?

- ა) პირადი მომავლის დასახატავად; ბ) ქარიშხლის ექოს აღსადგენად;
 - გ) პირადი წარსულის შესაფასებლად; დ) ანწყოს სურათის შესაქმნელად.
10. რისა სჯერა ავტორს (სიკვდილის შიშის ფონზე)?
- ა) რომ გაივლის გზას, რომელზედაც მრავალს გაუვლია;
 - ბ) რომ იპოვის მას, რაც სიცოცხლეში ვერ იპოვა;
 - გ) თავისი სიმტკიცის;
 - დ) თავისი უკვდავების.
11. ტერენტი გრანელი წერს:
- „მე პოეზიამ მაგრძობინა, რომ სადაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მსუხარე სული“.

რის კონტრასტული სახეა (ვაიხსენეთ) უკვდავების ცისფერი მხარე?

- ა) ქარიანი ღამისა (როცა სიმორეზე ტირის როიალი);
ბ) აწმყოსი, როცა, უფსკრულსიკენ მიმავალს, შავი ნისლები ახვევია;
გ) სინათლის სამყაროსი, რომლის დომინანტია მზე;
დ) სიბნელისა, რომელმაც, როგორც ზღვამ, ავტორის სხეული უნდა ჩაიძიროს.

12. რამ მიანიჭა ავტორს უკვდავების ცისფერი მხარის რწმენა?

- ა) პიროვნულმა მდგრაობამ;
ბ) შემოქმედებამ;
გ) შიშმა, რომელიც შავი ნისლების სიახლოვეს იგრძნო;
დ) შიშმა, რომელიც სიკვდილსა და სიმორეზე ფიქრმა წარმოშვა.

13. ტერმენტი გრანელი წერს:

„ქარაჩნელი ვარ ბავშვით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც შქვია შიწა“.

რა სურს ავტორს?

- ა) სიკვდილი; ბ) სამყაროს კანონებზე ამაღლება;
გ) ცოდვებისგან განწმენდა; დ) ცოდვებზე ამაღლება.

14. განმარტეთ არა სიცოცხლე არა სიკვდილი. არამედ რაღაც სხვა“:

- ა) ავტორს სურს სიცოცხლე, რომელიც მალე აღარ იქნება, და ეშინია სიკვდილისა, რომელიც ჯერ არ მოსულა;
ბ) ავტორს სჯერა, რომ სიკვდილის არსს სიცოცხლეშივე შეიცნობს;
გ) ავტორს ეშინია სიცოცხლისა, რომელიც წარმავალია, და სიკვდილისა, რომელიც მარადიულია;
დ) ავტორი სამყაროს განზომილებებზე ამაღლებას ესწრაფვის.

15. რა არის მინიატურის მიზანი?

- ა) პოეტისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების გარკვევა;
ბ) პოეზიის არსის შემეცნება;
გ) კლასიკური და თანამედროვე მისწრაფებების იდენტიფიცირება;
დ) პოეზიის დანიშნულების გარკვევა.

16. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

- ა) პოეზია ანართოს; ბ) პოეზია აპურებს;
გ) პოეზია უკვდავებას განაცდევინებს; დ) პოეზია ბავშვობაში აბრუნებს.

**კოლაუ ნადირაძე,
„25 თებერვალი, 1921 წელი“**

1. კოლაუ ნადირაძე წერს:

„თოფდა და თბილისის ეხურა თაღისი,
დექდა სიონი და დექდა ხალხი“.

რისთვის ქმნის ავტორი გარემოს მეტაფორულ სურათს?

- ა) მოქმედების ფონის დასახატავად;
ბ) მოქმედების მიზეზის დასახატავად;
გ) შემოქმედებით გამომწვეული განცდის დასახატავად;
დ) მოქმედების მიზნის დასახატავად.

2. დღე-ღამის რომელ მონაკვეთში არ შეიძლება, ხდებოდეს მოქმედება (ლექსში არსებული მინიშნებების მიხედვით)?

- ა) ღამით; ბ) გამთენიისას;
გ) დღისით; დ) შუალამისას.

3. კოლაუ ნადირაძე წერს:

„საშინელებას კელაე სკვდა გრდექლი,
ისევე გოდეთოთა, სიხელი და ცრემლი“

რა კონკრეტულ მინიშნებას შეიცავს ტექსტი?

- ა) ქართველთა წინააღმდეგობა გატეხილია; ბ) 25 თებერვალი თენდება;
გ) თბილისში დამპყრობის ჯარი შემოდის; დ) ის, რაც ხდება, აღრევ მომხდარა.

4. ვის (რას) შეიძლება, უწოდებდეს ავტორი მშობელ დედას, რომელიც ასევე გაყიდეს“ (უპასუხეთ ლექსის საერთო კონტექსტის გათვალისწინებით)?

- ა) დედას; ბ) საქართველოს;
გ) ლეთისმშობელს; დ) ქართველ დედებს.



5. კოლაუ ნადირაძე წერს:

„დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდა თოვლი ცვილდა ნელა
რის კეალი იკითხება ტექსტში?“

კონცხობდა გმირების გვაძებს,
განგმირულ მკერდებს, დაღწეულ

- ა) მძიმე, ხანგრძლივი ზამთრის; ბ) ომის;
- გ) იმედის; დ) უიმედობის.

6. რომელი ფრაზა წარმოადგენს ლექსის რეფრენს?

- ა) „თოვდა და თბილისს ებურა თაღხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“;
- ბ) „მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს, ისევ წამების ჯვარი აგკიდეს“;
- გ) „დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა“;
- დ) „და უძრავ იყო თებერვლის ღამე“.

7. კოლაუ ნადირაძე წერს:

„ამ გზით, სად წინათ ელაკუნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშენა ძელები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანაში,
მისმელ დაეშვა ჩუქნი აღნაში,
სად, გმირთა სისხლით ნაოხიერი,

თოვლის დაფარა კრწანისის ეკლი,
წითელი დროშით, მთავრილ ყველით,
აიყარ ცხენზე მკლდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით...“

რა იკითხება მოვლენის ისტორიულ კონტექსტში?

- ა) წარსულის განდიდება; ბ) წარსულის უარყოფა;
 - გ) წარსულის კრიტიკა; დ) წარსულის გამოკრება.
8. ტროპული აზროვნების რომელ სახეობას ეფუძნება სიკვდილის სახე?
- ა) მეტაფორას; ბ) შედარებას;
 - გ) გაიპოროვნებას; დ) შიკერბოლას.

9. რით არის ნიშანდობლივი ადგილი, საიდანაც ამჯერად სიკვდილი შემოდს?

- ა) ქართველებს იქ არაერთხელ გაუმარჯვიათ; ბ) ქართველები იქ ადრეც დამარცხებულან;
- გ) იქ ძველად ციხე და ქალაქი ყოფილა; დ) იქ ჩვენს წინაპრებს უშრომიათ.

10. რა არის დამპყრობი ძალის საეიზიტო ბარათი, რა მოაქვს ამ ძალას თბილისში, საქართველოში?

- ა) ღირებულებათა გაუფასურება; ბ) დემაგოგია;
- გ) ძმათა შორის დაპირისპირება; დ) სიკვდილი.

11. რა ენერგეტიკული ნიშანი (ნიშნები) იკითხება ტექსტში?

- ა) უძრაობა, დუმილი; ბ) გაოგნება, მელღვარება;
- გ) შინაგანი მობილჩება; დ) პანიკა, ქაოსი.

12. რა დგას და რა მოძრაობს ლექსში?

- ა) დგას კოჯორი და ტაბახმელა, მოძრაობენ დაღუპულ გმირთა სულები;
- ბ) დგას ყველა და ყველაფერი, მოძრაობენ თოვლი და სიკვდილი;
- გ) დგას ქალაქი, მოძრაობენ ქალაქის დამცველები;
- დ) დგას სიონი, მოძრაობს ძილ-ღვიძლად მყოფი ქალაქი.

13. გაიხსენეთ ისტორიის, ლიტერატურის, მითოლოგიისა და რელიგიის თქვენული ცოდნა და აღნიშნეთ, ვისი ანტიმოდია თეორ ცხენზე ამხედრებული სიკვდილი?

- ა) ავთანდილის; ბ) ამირანის;
- გ) წმინდა გიორგის; დ) გიორგი სააკაძის.

14. ვის (რის) ბედს იხარებს საქართველო (დაიმოწმეთ შესაბამისი ფრაზა):

- ა) ლეთისმშობლის — „მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს“;
- ბ) ქრისტეს — „ისევ წამების ჯვარი აგკიდეს“;
- გ) სამასი არაგველის — „სად სამას გმირთა დაიფშენა ძელები“;
- დ) მღუმარე სიონის — „დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

**მიხეილ ჯავახიშვილი,
„მიწის ყივილი“**

1. მიხეილ ჯავახიშვილი წერს:

„ქვიშის გამწინჯა და მთხრა“

— ძალიან დაღლილხარო, უნდა დაისვენო, გადიო პარიზიდან — ან 'ხდისკენ გაიხედნეო,
ან პაღმებს 'შეუხიხნეო, თითოც უღარ გაანძროთო...“

მიხრობლის როგორი სულიერი მდგომარეობა აისახება ტექსტში?



- ა) შიში; ბ) გულგრილობა;
- გ) შფოთი; დ) დაღლილობა.

2. რას მიხედვით ირჩევს (აღბათ) მთხრობელი დასასვენებლად მდინარე ნაპირს გაშლილ ქალაქ ნოქანს?

- ა) განსაკუთრებული ჰავის; ბ) ისტორიული წარსულის;
- გ) ბალნეოლოგიური კურორტის; დ) ეგზოტიკური ბუნების.

3. მიხედვით ჯაგახიშვილი მდინარე მარნას ახასიათებს: ღირს და განიერ არხს მომაგონებს; დინჯი, მშვეიდი, 'ხანტი და ანკარა. მუდამ სიველემს, იხმორება, იღონდება".

რომელი მხატვრული ხერხი გამოიყენება მდინარის დასახასიათებლად?

- ა) ეპითეტი და მეტაფორა; ბ) ეპითეტი და შედარება;
- გ) ეპითეტი და გაპიროვნება; დ) ეპითეტი და პიპერბოლა.

4. რას აღარებს ავტორი მდინარის ფსკერს?

- ა) დახავებულ ფერდობს; ბ) ქოქის ძირს;
- გ) კენჭებიან ნაპირს; დ) ხელისგულს.

5. მიხედვით ჯაგახიშვილი წერს:

„პატარა ქალაქს ბაღიც პატარა აქვს, სამაგიეროდ — ჩრდილოეთი, სუფთა და მყუდრო“. რის „სამაგიეროა“ ბაღის მოხერხებულობა?

- ა) ქალაქის მდებარეობის; ბ) ბაღის მდებარეობის;
- გ) ბაღის მოცულობის; დ) ბაღის სიძველის.

6. რით ჰგვანან ერთმანეთს ბაღში შემოსული მოხუცი და მისი ხელჯოხი?

- ა) ორივე უსწორმასწოროა, დაკუნძულია; ბ) ორივე „გაცრეცილია“, დრო-ვაშისგან გაღაბულია;
- გ) ორივე ძლივს მოფარფატებს; დ) მხახველზე ორივე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

7. მიხედვით ჯაგახიშვილი მოხუცზე წერს:

„თიხანს სღვას და ცახცახებს, თანაც მიბღვერს და ხრინწით ახეულებს. მერე გაბრუნდა და წავიდა, თან განიერ და მოხრულ ბუკებზე წყრომა მომაჩენა“. რისთვის იყენებს ავტორი მეტაფორას?

- ა) მოხუცის მძიმე ფიზიკური მდგომარეობის დასახატავად; ბ) მოხუცის მოქმედების ასახსნელად;
- გ) მოხუცის მძიმე სულიერი მდგომარეობის დასახატავად; დ) მოხუცის განწყობილების დასახატავად.

8. რას იწვევს მოხუცში იმის გაგება, რომ ბაღში მის გვერდით მყოფი პირი ქართულ წიგნს კითხულობს?

- ა) კრთომას; ბ) გაკვირვებას;
- გ) წუხილს; დ) აღტაცებას.

9. მიხედვით ჯაგახიშვილი პატარა სახლთან, ხლართთან რკინის კარებთან, მყოფ მოხუცზე წერს:

„მოძრეკილ ბოძით იდგა და საკუთარ ფეხს დასცქეროდა, დამინახა, მოხსლტა, ეხოში შეკარდა, მაღალ ბუჩქებს მიყვარა“.

როგორ იქცევა მოხუცი?

- ა) საკუთარ პრობლემას (ამ შემთხვევაში ფეხის ტკივილს) ზედმეტად განიცდის;
- ბ) გულწვილია;
- გ) ეჭვცრტრულად;
- დ) გარემოსა და გარემოებათა მიმართ აგრესიულია.

10. რას მიაწერს მთხრობელი ბაღში და პატარა სახლთან მყოფი მოხუცის უცნაურ ქცევას?

- ა) აკვირებას; ბ) ზედმეტ მორიდებულობას;
- გ) გაუგებრობას; დ) ფსიქიკურ გაუნონანსორებლობას.

11. მიხედვით ჯაგახიშვილი წერს:

„აპენტილი წვერ-ულვაშიდან, თითქო მთიოცილი ფანჯრიდან, ოქროს კბილებმა გამოიხედეს. დაშინებულმა ბებერმა პასუხი არ მიცა, სამაგიეროდ, შეკრახული სარკველი უფრო განიერად გააღო და ოქროს ბინეცა მზის სხივებით გამოისყულა“.

რა კონკრეტული პროცესი აისახება ავტორის სამბოლოურ მეტაფორებში?

- ა) გაზაფხულდება; ბ) მოხუცი იღიმება (მისი დამოკიდებულება მთხრობლის მიმართ უშვებულება);
- გ) იღარებს; დ) მოხუცი უფრო დაკვირვებული, ცოტათი კრიტიკულიც ხდება.

12. რას აღარებს ავტორი მოხუცის თვალებს?

- ა) ოღნავ შეღებულ ფანჯრებს; ბ) ჩამავალ მზეს, რომელიც უფრო ჩანს, ვიდრე ანათებს;
- გ) ღია ფანჯრებს; დ) მოხურულ სანათურებს.



13. მოხუცი მახრობელს მიმართავს:

— კარგა ხანია, ამბობენ, რუსეთში მყუე აღარ არისო... თქვით დამაკლდეთ, რუსეთში კეთილდღეობა ამიტომაც გეკითხებით, მართალია ეს ამბავი?
მოხუცის როგორი ზოგადი ტაპი ეკითხება ტექსტში?

- ა) მოხუცი ისტორიისა და კულტურის საკითხებით დაინტერესებული პირია;
- ბ) მოხუცი აბნეზარი პირია;
- გ) მოხუცი საზოგადოებრივ ყოფას მონყვეტილი პირია;
- დ) მოხუცი ყველაფრის მიმართ გულგრილი პირია.

14. გაიხსენეთ, რუსეთის იმპერიის რომელ ქალაქში ცხოვრობდა ანდრე კაშორი (სადაც მას უნივერსიტეტში შეესლა სურდა)?

- ა) მოსკოვში; ბ) პეტერბურგში;
- გ) ხარკოვში; დ) ყაზანში.

15. მიხედვით ჯავახიშვილი მოხუც კაშორზე წერს:

„ყლაპაყლოებით, ძაგძაგათ და ფორხილით მამბობს — თითქო წყალში იხრნობაო. უმთავრესი აეუწყდება. უუშქირესი ავონდება.“

რა წარმოადგენს (გაიხსენეთ) კაშორის დასავიწყებელ-გახახსენებელს (საუბრის თემას)?

- ა) პირადი თავგადასავალი;
- ბ) რუსეთის კოლონიური მმართველობის (პოლონეთში) თავისებურებები;
- გ) კიევის რევოლუციურ წრებთან ურთიერთობა;
- დ) იაპონიის ეთნოგრაფიული ყოფა.

16. რის მიხედვით განსაზღვრავს მახრობელი მოხუცი კაშორის ასაკს?

- ა) საქართველოში ბატონყმობის გაუქმების; ბ) ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანის;
- გ) პოლონეთის აჯანყების; დ) ყირიმის ომის.

17. მახრობელი მოხუც კაშორს მის ნამდვილ გვარ-სახელს ეკითხება:

„მოხუცი შერასა თითქოს ნემსი უჩხელიტესო დაბნეული თვალები შიშით გააცეცა — ყურს ხომ არავინ მტყდებსო. მყუე ყურსი ხამახველა: — ანტრ ნუ — ჩვენში დარჩება?“

რა ზღუდავს მოხუც კაშორს (უპასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით)?

- ა) პირადი გულჩათხრობილობა;
- ბ) კვალი, რომელიც სულს კონსპირაციულად ცხოვრებამ დაამწინა;
- გ) ნინასწარვე ცოდნა იმისა, რომ მის ნამდვილ გვარ-სახელს თანამოსაუბრისთვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია;
- დ) უნდობლობა ფაქტობრივად უცნობი პირის მიმართ.

18. რატომ შერთო კაშორმა, მისივე განმარტებით, ცოლი?

- ა) მის გარეშე (ვინც უყვარდა) ცხოვრება ვერ წარმოედგინა; ბ) შთამომავლობის შექმნა სურდა;
- გ) ისიც ადამიანი იყო; დ) მშვიდად ცხოვრება მონატრებოდა.

19. მიხრობელს უყვრის:

„მყორედ და შესამყერ რომ შეეხვდა, საყვარელი შევიღიეთ მიმხერგა. დღეს კი, როცა უცხოეთში, ორმოცი თუ სამოცი წლის შემდეგ, სისხლის ძმას შეეხვდა და თავისი ქართველობაც გაამყვანა, დღეს უცნაურად გარდაიქმნა. გაიყინა, თითქო ქყინა კიდევაც.“

რას შეიძლება, „შექცევა“ კაშორის დამოკიდებულება მიხრობლის მიმართ?

- ა) სინანულს, რომ ფაქტობრივად უცნობ პირს საიდუმლო გაუშლია;
- ბ) გაურკვევლობასა და მღელვარებას, რომლებიც ცხოვრების მრავალწლიანი სტილის დარღვევას ახლავს;
- გ) ეჭვს (პირადი გულმავწყობის გამო), რომ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც იხსენებს;
- დ) კაშორის გულწრფელობაზე მიხრობლის არაადეკვატურ რეაქციას.

20. რას უწოდებს ავტორი (მახრობელი) მოხუც კაშორს (კაშაურს)?

- ა) უხიავ მოხუცს; ბ) წარსულდავინყებულ მოხუცს;
- გ) გაბალდებული მოხუცს; დ) უმომავლო კაცს.

21. მოხუცი კაშორი (კაშაური) მიხრობლის შეკითხვას, თავს ქართველად მიიხნებს, რუსად თუ ფრანგად, უპასუხებს:

„თავდაპირველად ადამიანი ვარ, ინტერნაციონალი... რა თქმა უნდა. ასეა: მიწისი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ვინძიდი. მას ასე ღერ ადამიანი ვარ, შესხდე ფრანგი...“
რას უყუბნება მოხუცი კაშორის (კაშაურის) კონსმოპოლიტიზმი?

- ა) კონკრეტული ეროვნების დაუზუსტებლობას;
- ბ) ეროვნების, როგორც კატეგორიის, არცნობას;



- გ) პირადი რწმენისა და ცხოვრების შეფასებას;
 - დ) ათნაწილობით გამოთქმავებულ შიშს, რომ ეროვნების გამოცხადებით საიდუმლოს გაქვავდება.
- 22. გაიხსენეთ, როგორ აღმოჩნდა ანდრო კაიშაური რუსეთში:**
- ა) სასწავლებლად გაემგზავრა;
 - ბ) საქართველოდან კატორღაში გაგზავნეს;

გ) რევოლუციურმა ჯგუფმა გაგზავნა; დ) ბავშვობაში ოჯახთან ერთად გადასახლდა.

23. მიხეილ ჯავახიშვილი წერს:

„თეთრი თავი დიდხანს (კახკახებს) განიერი ბუკები ხტუნაობენ. წვერი ცანკარებს, ხილი ფიხი ისევე თრისს და იღუნება.“

— მაძან... შერ... მაძან... — სლოკებს თეთრ წვერებში და უარესად იღუნება.

- გაიხსენეთ, რამ გამწვევა მოხუცი კაშორის განცდა:**
- ა) საქართველოს გახსენებამ;
 - ბ) ყაზანში მიტოვებული ცოლ-შვილის გახსენებამ;
 - გ) რუსული კატორღიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაქცევის გახსენებამ;
 - დ) დედის სახელის დაგონებამ.

24. გაიხსენეთ, რის გამო ამბობს მთხრობელი: „რკინის ყუთი გაუტეხელია, გაუზარავი. ტყუილად ვუვლი და ვუნხიკინებ“:

- ა) კაშორის მეხსიერების გამო;
- ბ) კაშორის მოშლილი პორტსიგარის გამო;
- გ) კაშორის ჭირვეულობის გამო;
- დ) კაშორის გონებაში ჩაძირული რომანტიკული თავგადასავლის გამო.

25. მთხრობელი ამბობს:

„ხილი მოხუცისა ყოველივე მისმენს დაღებული პირი. ბანჯგულიანი ყურები, გაღვივებული თუღლები, ცანკარა წვერიც, მთრთოლვარე თავიც და უჩინარი გულიც“.

რისთვის გამოყენება შეტაფორა?

- ა) მოხუცის გამომეტყველების დასახატავად;
- ბ) მოხუცის ცნობისმოყვარეობის დასახატავად;
- გ) მთხრობლის მიმართ გამოხატული (მოხუცის მხრივ) აგრესიის დასახატავად;
- დ) მთხრობლის მიმართ გამოხატული (მოხუცის მხრივ) კმაყოფილების დასახატავად.

26. როგორია მოხუცის დამოკიდებულება საკუთარი ამნეზიის (მეხსიერების დაქვეითების) მიმართ?

- ა) მას თავისი თავი უბედურ ადამიანად მიაჩნია;
- ბ) გულგრილი მოხუცი პირად ტრაგედიას ვეღარც აღიქვამს;
- გ) ადეკვატური, თუმცა მოხუცს სჯერა, რომ პრობლემას მოველდა;
- დ) ძირითადად გულგრილი. მხოლოდ მაშინ ნუხს, როცა ამნეზიის გამო ყოფით პრობლემებს აწყდება.

27. მთხრობელი მოხუც კაშორზე ამბობს:

„და ოხერითა, ბურტყუნით და ბარბაცით წაფორხილდა — თითქო ბრაზით, დარდით და ურეთი დატყროულ ტომარას მთარედაო“.

როგორ აღიქვამს მთხრობელი მოხუც კაშორს?

- ა) როგორც არაადეკვატურ ადამიანს, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია;
- ბ) როგორც ადეკვატურ ადამიანს, რომელიც აღარ დარდობს მას, რის გამოსწორებაც შეუძლებელია;
- გ) როგორც არაადეკვატურ ადამიანს, რომელიც დაყვავებისთანავე მშვიდდება;
- დ) როგორც ადეკვატურ ადამიანს, რომელსაც პრობლემა ტყვივს აყენებს.

28. გაიხსენეთ სიტყვა, რომელსაც მოხუცი კაშორი, როგორც მთხრობელი ამბობს, „ფრჩხილებით, სულითა და კბილებით“ დაეჭია:

- ა) დედა;
- ბ) კატორღა;
- გ) შორეინი; დ) კავკასია.

29. კაშორის რძალი მთხრობელს კაშორზე უყვება:

„...თქმაჲ ჟორჟენ და ჟორჟენ — მე ქართველი ვარო. ვეღარ ისვენებს, დასაჯდომი ან დასაწილი ვეღარ უპოქნია. დღევალამ კრუსუნებს, პორაგას, დადის და რადაცას ფონებს“.

რას წარმოადგენს კაშორისთვის მისი ქართველობა?

- ა) მულეცარების საგანს;
- ბ) ცოდნას, რომელიც ამჟღავნებს;
- გ) დაგონებულ ცოდნას;
- დ) ცოდნას, რომელიც გონებას ხსნის და მის სიღრმეში მიმაღულ საგნებს წამოატივტივებს.

30. რა დამართავა უახლოეს წლებში ქართველ ხალხს (რას ასკენის მოხუცი კაშორი მთხრობელთან საუბრის შედეგად:



- ა) მისი რიცხობრივი რაოდენობა უარესად შემცირებულია; ბ) მას თავისუფლება მოუკლეს;
 გ) მას მტრებისთვის ალიკაპი ამოუღდია; დ) ის ხელახლა დაბადებულია.
31. მიხრობელს აკვირებს მოხუცი კაშორის გადაწყვეტილება საქართველოში დაბრუნების თაობაზე:

„ანდრო კაიშაური უნდა დაბრუნდეს. ოთხმოცდარვა წლის მოხუცმა, თითქმის დამბლადაცემულმა, ასეთი შორი გზა უნდა გადაიტანოს. მერე რისთვის? — ვისთვის? ვისთან მივა? ვინ დაუხვდება?“

რა ელის, მიხრობელის აზრით, სამშობლოში დაბრუნებულ მოხუც კაშორს?

- ა) მარტობა;
 ბ) სიხარული, რომელიც, შეიძლება, ვერც გაცნობიეროს;
 გ) სინანული საფრანგეთიდან წასვლის გამო;
 დ) უცნობი ნათესაების გაცნობა.

32. გაიხსენეთ, როგორ ცდილობს მოხუცი კაშორი მშობლების სახელების დახსოვნას:
- ა) მათ ხშირად იმეორებს; ბ) ის მათ კედელზე აწერინებს;
 გ) ის ახლობლებს ავალბებს, რომ ხშირად შეახსენონ; დ) ის მათ უბის ნივანკში ინერს.

33. მოხუცი კაშორი მიხრობლის შენიშვნას, რომ მას საფრანგეთში ბევრი ნათესავი ჰყავს, უპასუხებს:

— არა, შედო, არა. ესენი აქურები არიან — ფრანგები, ფრანგი ქალის შეილება. ანდრო კაიშაურს კი მხოლოდ იქა ჰყავს ნამდვილი ნათესავები — იქ ან ვორეო...
რა მიაჩნია მოხუც კაშორს ნათესაობის განმსაზღვრელ ფაქტორად?

- ა) გენეალოგიური სიახლოვე; ბ) მოქალაქეობრივი ცნობიერება;
 გ) ეროვნულ ოჯახში აღზრდილობა; დ) ეროვნულ ფასეულობებთან მიმართება.

34. რას შეძლებს, კაშორისეე აზრით, სამშობლოში დაბრუნებული მოხუცი კაშორი?

- ა) ოდესღაც მიტოვებულ მამულს იპოვის და ააღორძინებს;
 ბ) ქვეყნის აღორძინებისთვის იღვანებს (რამდენ ხანსაც შეძლებს);
 გ) ახალგაზრდებს გასული (შეცხრაბეჭე) საუკუნის რევოლუციურ მოძრაობაზე მოუთხრობს;
 დ) ვინმეს სიტყვით მაინც გაამხნევეს.

35. მოხუცი კაშორი ამბობს:

...მერე ვეღარ დაებრუნდი, ვებრძოდე, ვიმუშავე. აღარაფერი შემჩნა. გარდა ოთხმოცდარვა წლის ტერაოსისა. მძიმეა, მეტად მძიმე ტერაოსია. დღეს თუ ხვალ უნდა გამსრისოს...
რა ამბობს, კაშორისეე მინიშებით, კაშორის ტერაოს?

- ა) მომავლის შიში; ბ) უსამშობლოობა;
 გ) ღვანის დაუფასებლობა; დ) სამშობლოსთან კონტაქტის უქონლობა.

36. როგორი ღიმილით უცქერის ჭერს ანდრო კაიშაური ქართულად ალაპარაკების წინ:

- ა) თვითორიწლიანი ღიმილით. მან ეს-ესაა, საკუთარი წარსული დაგმო;
 ბ) დაბნეული ღიმილით. ის სწორედაც დაბნეულია;
 გ) სანაყოფილი ღიმილით. მან ეს-ესაა, თავი უბედურ აღამიანად გამოაცხადა;
 დ) წინმდინის ღიმილით.

37. მიხრობელი ანდრო კაიშაურის ქართულად ალაპარაკების გამო წერს:

„წამოვტყრი — თითქო ცეცხლზე ვუჯექით. — თავი დაავადექი და სულგანაბულმა ყური მიუეგდე“.
როგორია მიხრობლის რეაქცია ანდრო კაიშაურის ქართულზე?

- ა) მწყვეტილი. ის საოცარი სისწრაფით წამოხტება;
 ბ) ადგილზევე შეშდება;
 გ) მას თავდაჯერებულობა ემატება, თითქოს წინათგრძნობა უმართლდება;
 დ) კაიშაურის შინაგანი პოტენციით აღტაცებულია.

38. ვისი სახე აღდგება ანდრო კაიშაურის მუხსიერებაში, უპირველეს ყოვლისა?

- ა) დედის; ბ) მამის;
 გ) და-ძმების; დ) მეზობლების.

39. მიხრობელი აღწერს ქართულად ალაპარაკებულ ანდრო კაიშაურის რეაქციას იმის შეტყობაზე, რომ თავის ბინაზე, ქალაქ ნოვანში, იმყოფება:

„შუბლი შეტრა — თითქო განჯვადო. თანაც ეწვინა. თვალბში მუქი ნღველი ნაესხა, ტუქებზე ვარაში დააწვა. თავი ჩაქნია, თითქო ვიდაცას რაღაც უსაკედელოა, და გახეკდა“.
რა იკითხება ანდრო კაიშაურის გამოშეტყველებაში?


- ა) მოუსვენრობა; ბ) დაუჯერებლობა;
 გ) უპასუფილება და სინანული; დ) თვითორიწია.

40. რატომ ადარ დაპარაკობს ანდრო კაიშაური ფრანგულად ქართულად ალაპარაკების შემდეგ?

ა) ავიწყდება; ბ) ფრანგულზე პრინციპულად უარს ამბობს;
 გ) მაშინია, რომ ქართულს ასე უფრო დახვეწს; დ) აზრს ქართულად უკეთ გამოხატავს.

41. ანდრო კაიშაურის შეილიშეილი პიერ კაშორი გაჭირვებულ პაპაზე სერიოზულად ბრაზობს. ის აცხადებს:

„რაკი ჩემმა პაპამ ფრანგობაზე ხელი აიღო. მეც უარს ვიტყვი შეილობაზე. ასევე უნდა ახდენდეს თვის „უორეიაში“. რაკი აგრე უნდა ქართველობა“.



ვის არის პიერ კაშორი?

ა) საფრანგეთის პატრიოტი; ბ) თავისუფლად მოაზროვნე პრიმიტივი;
 გ) საქართველოს მოტულე; დ) შეზღუდულად მოაზროვნე პრიმიტივი.

42. რატომ უწოდებს ანდრო კაიშაური მთხრობელს შეილს?

ა) ის, მართლაც, თავისი შეილი ჰგონია;
 ბ) იმიტომ, რომ ქართველია;
 გ) ფორმალურად;
 დ) მისი, როგორც მომვლელისა და თარჯიმნის, მიმართ გარკვეულ ეტიკეტს იცავს.

43. ანდრო კაიშაური თავისი ოჯახის შეკრებაზე ამბობს:

„ძალიან ავი ბაღღები არიან. აქამდე თვეში ერთი ძლივს დამელაპარაკებოდა. ახლა კი, რაკი ფრანგულს აღარ ვლაპარაკობ. ღვიძლებითი ამცდევენ. დამცინიან“.

რას კითხულობს ანდრო კაიშაური ოჯახის წევრთა მოქმედებაში?

ა) გამოროტებას; ბ) ცინიზმს;
 გ) გულგრილობას; დ) უშეცრებას.

44. გაიხსენეთ, რას ამგავებს მთხრობელი ქართულად ამდერებელი („ბერიკაცი ვარ, ნუ მომსკლავ“) კაიშაურის ხმა:

ა) მომაკვდავის ხრიბას; ბ) წყლის ბუჭბუჭს;
 გ) ჩხიკვის ჩხავილს; დ) ქილაში კნჭების ჩაყრის ხმას.

45. მთხრობელი ამბობს:

„მე ჩემი შეეასრულე — თითქოს ვინმე სხვას ქურძულეა ანდრო. — ყველაფერი მიეცეო ამ ქვეყანას... დანარჩენი თქვენ იცით... ვალი დამბორუნეთ“.

რას უწოდებს ანდრო (გაიხსენეთ) ვალის დაბრუნებას?

ა) სამაგიერო პატივგებას რევოლუციური მოღვაწეობისათვის;
 ბ) სამაგიერო პატივგებას ოჯახზე განული ზრუნვისათვის;
 გ) აღამიანური მოვლეობის შესრულებას (წინაპირობათა შესენების გარეშე);
 დ) საქართველოში ჩაყენას — ცოცხლისას ან მკვდრისას.

46. რას უწოდებს მთხრობელი ცნობის დაკარგვას?

ა) გონის ნასვლას; ბ) სასთუმალთან მიახლოებას;
 გ) გაღმეულში გადასახლებას; დ) აგონიას.

47. მთხრობელი მომაკვდავ მოხუცზე ამბობს:

„მოხუცი ნიტის ბღარტით აცმაცუნებს სურსისევე ტუნებს. „სად წაიყენ სადაურსა... — ვეთქონ ჩემთვის“.

რომელი მხატვრული ხერხები გამოიყენება მოხუცის ფიზიკური მდგომარეობის დასახატავად?

ა) ეპითეტი და მეტაფორა; ბ) ეპითეტი და შედარება;
 გ) ეპითეტი და გაპიროვნება; დ) ეპითეტი და ჰიპერბოლა.

48. როდის შეიტყვეს კაშორებმა ანდრო კაიშაურის გარდაცვალება?

ა) მაშინვე;
 ბ) სულ რაღაც ერთ საათში;
 გ) შუალამისას, როცა მოხუცის დასახედად შემოვიდნენ;
 დ) ჯერ არ შეუტყვიათ, სავარაუდოდ, დღით შეიტყობენ.

49. მთხრობელი ამბობს:

„ანანუი ღრმა ხეყმია ჩაწოდილი. მწკანე მიყბი... სწრაფი არავცა... ძელი საყარი და შერუჯული გალაყანი“.

რასთვის იქმნება გარემოს სურათი?

ა) მოქმედების შინაარსზე სიმბოლური მითითებისათვის;
 ბ) მოქმედების ფონის შესაქმნელად;
 გ) ისტორიული წარსულის გაახსენებლად;
 დ) ბუნებისა და ისტორიული ძეგლების პარამონიული მთლიანობის დასახატავად.

50. გაიხსენეთ, როგორ დაბრუნდა ანდრო კაიშაური საქართველოში?

ა) მთხრობელმა მისი ფერფლი ანანურის ტაძრის ეზოში მიმოაბნია;
 ბ) მთხრობელმა მისი ფერფლი ანანურის სასაფლაოს შუაგულში დააბნია;

- გ) მთხრობელმა მისი ფერფლი ანანურში, ერთერთი კაიშურის საფლავზე, დააბნია;
 დ) მთხრობელმა მისი ფერფლი ხევის ნიავს გაატანა.

**მიხეილ ჯავახიშვილი,
 „ეშმაკის ძვა“**

1. მიხეილ ჯავახიშვილი წერს:

ჩვენი საუბარი ათას რამეს გადასწვდა: ქალთა თანასწორობას, 1905 წლის რევოლუციის გრივადებს, მის მომხდენო რეაქციას, გმრობას და სიღალმეს, დარსა და მოსავედს, აზიას და ევროპას და ბოლოს ბრბოს ფსიქოლოგიაზე შეჭერდა.

რას წარმოადგენს (ამ შემთხვევაში) „ბრბოს ფსიქოლოგია“?

- ა) ლოგიკურ ნერტილს, რომელთანაც მოსაუბრეები გმრობასა და სიღალმეზე საუბარმა მიიყვანა;
 ბ) ლოგიკურ ნერტილს, რომელთანაც მოსაუბრეები დარსა და მოსავედზე საუბარმა მიიყვანა;
 გ) ვრცელი საუბრის ერთერთ თემას;
 დ) დროის კონიუნქტურით ნაკარანახევ თემას.

2. მამის რომელი ფრაზით გამოიხატება სოფლის განსაკუთრებულობა?

- ა) „ახალგაზრდა ქალი სოფლის თვალად გადაიქცა“;
 ბ) „...სოფიომ ჩემი საქმეც ჩაიგდო ხელში და ჩემი შეძლებაც საქველმოქმედო ნყაროდ გაიხადა“;
 გ) „ზოგჯერ შინიდან დილით გავიდოდა და მხოლოდ საღამოზე დაბრუნდებოდა“;
 დ) „ტოლ-ამხანაგები დასცინოდნენ (ქველმოქმედების გამო), ზურგს უკან კიცხავდნენ“.

3. მამა სოფიოზე ამბობს:

„ერთხელ ვიდაცამ ანგელოსი დაარქვა. მას აქვს მთელი სოფელი ამ სახელით იხსენიება“.

რაზე მიუთითებს სოფლის რეაქცია?

- ა) მან სოფიოს სიკარგე ადევკატურად აღიქვა;
 ბ) მან სოფიოს თავისი ბუდი მიაბარა;
 გ) სოფელმა იცის, რომ სოფიო საუკეთესოა იმით შორის, ვისაც ოდესმე აქ უცხოვრია;
 დ) სოფელს სოფიო სასწაულმოქმედად მიაჩნია.

4. როგორ „ბიჭბუჭებთან და გოგობთან“ თავის გაყვადრების გამო დასცინოდნენ (მამის თქმით) სოფიოს ტოლ-ამხანაგები?

- ა) სახადით შეპყრობილთა; ბ) უსწავლელთა;
 გ) ლიტონთა; დ) ტყაპუჭათა.

5. სოფიოს მამა ამბობს:

„ამ საუბრის ჩვენს სოფელში, ახლო-მახლო, ქურდობა გაურცვლდა. ვერ კერვცხიდან და ქაიშებიდან დაიწვეს. მერმე ცხვარსა და ღორზე გადავიდნენ. შემდეგ რამდენიმე გლეხს ხარკაქში გაურცკეს და ბოლოს სახლების მტკრევესაც შეუდგინენ“.

რა იკითხება ქურდობის მასშტაბის თანდათანობით ზრდაში?

- ა) სოფლის სიმტკიცე; ბ) სოფლის უმწეობა;
 გ) სოფლის შეძლებულობა; დ) ქურდების მადის გაძლიერება.

6. გაიხსენეთ, რასთან დაკავშირებით ამბობს მამა: „მგელი კარგად იყო დაგეშილი და ფრთხილად ნადირობდა“:

- ა) სოფლის მოუქნელობასთან დაკავშირებით; ბ) სახადთან დაკავშირებით;
 გ) ქურდების მოუხელთებლობასთან დაკავშირებით; დ) სოფელში მგლის შემოჩვევასთან დაკავშირებით.

7. გლეხი, რომელსაც დათამ ადრე თავი გაუტეხა, ხალხის მიერ შეპყრობილ დათასა და სოფელზე ამბობს:

„აი, ხალხო, ეხლავე გეუბნებით... აი, აქვე დორბეთით დაკვლავ ორივეს ამ ხანჯლითა და მერმე, რაც მომივა, მომივა, ისევე ისა სჯობიან, რომ ცამბრში გაიტყავინონ, თორემ სულ ერთია, მან მგლებს ვერ გადაეურნებთ“.

რატიმ ურჩევნა თავგანაბრებ გლეხს, ციმბირში გაგზავნონ, ვიდრე შეპყრობილი დათა და სოფო ცოცხლები გაუშვას?

- ა) ნინანდელ თავის გატეხას (შეურაცხყოფას) ვერ ინელებს;
 ბ) უბრალოდ, აგრესიულია;
 გ) დარწმუნებულია, რომ ოდესმე მათ მსხვერპლად გადაიქცევა;
 დ) დამნაშავეები სიკვდილის ღირსად მიაჩნია.

8. გაიხსენეთ, რამ გაამძაფრა სოფლის აგრესია ქურდების მიმართ:

- ა) სოფლის თავკაცების დოყლაპობამ;
 ბ) სასამართლოს ლიბალურობამ;



- გ) სოფლისავე ნაწილის შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ;
 დ) ქვეყანაში შექმნილმა საერთო ვითარებამ.
9. **სოფლის მამა დათასა და სოლოს შეყვრობაზე ამბობს:**
 -ერთი დედაცავე დათას პირსახეში ეცა და თვალების კაწრა დაუწყო, ხალხში უკაცურად
 იმატა. პაერში ღობი, სახრე და კეტი არია, ყველა წინ მიიწვედა.
რა ფერხობა გლახების მოქმედებაში?
- ა) მტყუან-მართლის გარჩევის (სამართლის) სურვილი; ბ) სტიქიის მოძალბა;
 გ) თვითონტროლი; დ) უმისამართო აგრესია.
10. **რატომ გაათავსოვლეს გლახებმა სოლო?**
 ა) დამნაშავედ არ მიიჩნიეს; ბ) მიიჩნიეს, რომ სასჯელად მკვლელის სახელიც ეყოფოდა;
 გ) დათას მსხვერპლად მიიჩნიეს; დ) დარწმუნდნენ, რომ მკვლელობას ნანობდა.
11. **სოფლის მამა ამბობს:**
 -და ბრძოის სამართალი — უბრადო და მრისხანე — შადრევანით ამოვარდა. ბრახი
 რისხვას მოაგდა, ორივემ შურისძიებას აღვირი მოუშვა და დეხი წაქრა.
ტროპული აზროვნების რომელი სახეობები გამოიყენება ვითარების დასახატავად?
- ა) მეტაფორა, გაპიროვნება და შედარება; ბ) შედარება და ჰიპერბოლა;
 გ) ჰიპერბოლა, გაპიროვნება და მეტაფორა; დ) მეტაფორა და ჰიპერბოლა.
12. **რას ჰგავს დატყვევებული დათა?**
 ა) შეშინებულ ციყვს; ბ) ბრაზიან ძალღს;
 გ) თვალბაცვიცებულ მელისას; დ) ხაფანგში გაბმულ მგელს.
13. **სოფლის მამა დათას ჩაქოლვასთან დაკავშირებით ამბობს:**
 -იქ, ჩემ გულში, ვილაკამ სიამუნებით წაბურტუტა: „ღირსია! ახია! მერე კი, როცა ხალხი
 აღელდა, როცა მისი ძლიერი კივილი აღშოთიფისა მომესმა და მეც გადმომცა თავისი
 პირუტყვეული სურვილი სამაგიეროს გაახდისა, შურისძიებისა, მეც ეფგრძინე, რომ მოვალე
 ვიყავი, საერთო ფეხის ხმას აყულიდი, მეც შეერეულიყავ ხალხის შორეშე და მის ტალღებში
 გაძოქციევა ჩემი საკუთარი ნება, აღამიანური გრძნობა, პიროვნება და გონება“.
რას აფიქსირებს სოფლის მამა?
- ა) ბზარს, რომელიც სახალხო აგრესიულობაში გაჩნდა; ბ) ბროში ათქვეფის მომენტს;
 გ) პირადი სინანულის მომენტს; დ) პირადი სიმპათიის მომენტს.
14. **რას ითხოვს ბრალდებულის დედა?**
 ა) რომ მის შვილს დანაშაული აპატიონ; ბ) რომ მისი შვილი ხელისუფლებას ჩააბარონ;
 გ) რომ მისი შვილის მაგიერ თვითონ ჩაქოლონ; დ) რომ მისი შვილის დანაშაული მას აპატიონ.
15. **სოფლის მამა დათას ჩაქოლვასთან დაკავშირებით ამბობს:**
 -დათა კრწისკრით მიჰყავდათ, იტბინებოდა, წიხლებს ისროდა, თავით, ფეხებით და ხელებით
 იბრძოდა, ჯამყოდა და რადაცას პურტყუნებდა, მაგრამ ყურს აღარაიენ არ უგდებდა“.
რად აღიქმება დათას შეუპოვრობა?
- ა) ვაკაცობად; ბ) თავებლობად;
 გ) სიკვდილის შიშით გამოწვეულ გაბრძოლებად; დ) თავისუფლებისათვის ბრძოლად.
16. **რა იკითხება ერთ-ერთი გლახის ფრაზაში, რომელსაც ის რიყეზე, დათას ჩაქოლვის
 წინ, წამოიძახებს: -დედას ვუტრებთ, ვინც უკან დაიწვეს, დედასა!“**
- ა) აგრესია დათას მიმართ;
 ბ) აგრესია იმ გლახების მიმართ, რომელთაც სოლოს სინანულმა გული აუწუყა;
 გ) აგრესია სასამართლო ხელისუფლების მიმართ;
 დ) აგრესია ყველასა და ყველაფრის მიმართ.
17. **გაიხსენეთ, როგორ აღმოჩნდა სოფი ბროში?**
 ა) დათას დედამ მას დახმარება სთხოვა; ბ) ინტერესის გამო;
 გ) იმთავითვე იმედოვნებდა, რომ აზვირთებულ სოფელს დაამშვიდებდა; დ) მამას მიჰყვა.
18. **გაიხსენეთ, როგორ იქცა სოფი აგრესორად:**
 ა) სოლოს სინანულმა შეზარა; ბ) ვილაკამ ქვა მიაჩეწა და ისიც სოფელს აპყვა;
 გ) დათას უტიფრობამ შეზარა; დ) ვილაკამ ქვა მიაჩეწა და ჩაქოლვაში მონაწილეობა უბრძანა.
19. **რად მიანია სოფლის თავისი თავი (ჩაქოლვის შემდეგ)?**
 ა) სხვების მიერ შეცდენილად; ბ) სოფლის ღვიძლ შვილად;
 გ) ნებაყოფლობით დამნაშავედ; დ) სოფლის მოღალატედ.
20. **რა ხდება მოთხრობაში?**
 ა) სოფელში სამართლიანობა მკვიდრდება; ბ) სოფელი ხელისუფლებას უმხედრდება;
 გ) ბოროტება ბოროტებას აღმოფხვრის; დ) აგრესია საუკეთესოს იწირავს.

21. ეინ არიან ის ადამიანები (ერთი მკვდარი და სამი ცოცხალი), რომლებიც ნაქალაქის შემდეგ რიყეზე დარჩნენ?

- ა) ადამიანები, რომელთაც მომავალი არ გააჩნიათ;
- ბ) აგრესიის მსხვერპლები;
- გ) ადამიანები, რომელთაც (ცოცხლებს) საზოგადოება მკვდარივით აითვალუნებდა;
- დ) გარიყულები.



22. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

- ა) მშვიდობა უმსხვერპლოდ არ მყარდება;
- ბ) მიზანი საშუალებას ამართლებს;
- გ) ქვა მხოლოდ მან უნდა ისროლოს, ვინც ცოფილზე უფრო უცოდველია;
- დ) ქვა არავინ არ უნდა ისროლოს.

ნიკო ლორთქიფანიძე, „ბული“

1. ნიკო ლორთქიფანიძე უცხოეთში გარდაცვლილი მოქალაქის ბოლო დღეებზე წერს:
„დის ნახ ხელს არ გაუსწორებია სასაუქალო; იდეალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატროფის თევლებს; ნაცნობებს არ მოუკითხავს...“

მომაკვდავის (უკვე გარდაცვლილის) რა მდგომარეობა იკითხება ტექსტში?

- ა) ლტოლვილობა; ბ) სამშობლოს მონაცვტილობა;
 - გ) მიუსაფრობა; დ) სამშობლოს მონატრება.
2. ეინ შეიძლება, იყოს მშვიდი, წყნარი ადამიანი, რომლის ძალა მომაკვდავს აღარ წაშადა, მაგრამ მისგან დამამშვიდებელი სიტყვების გაგონება მაინც უნდოდა?
- ა) მომდურვებული მეგობარი; ბ) შორს მცხოვრები დედა, რომელსაც აღარაფრის ძალა აღარ გააჩნდა;
 - გ) მღვდელი; დ) ეროვნული სათვისტომოს უხუცესი წევრი.

3. ნიკო ლორთქიფანიძე წერს:

— ცხედარი გატრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოეშვა და გაკვირვებულმა წამოიხახ:

— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!
ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ბატონებო, გული, გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლი— და დარჩენილიყო.

რისთვის იტრება ოხრობაში ფანტასტიკა?

- ა) ქვემარტების დასახუსტებლად; ბ) დიავნოზის გასამყარებლად;
 - გ) ეფექტის გასაზრდელად; დ) ექტის კონსტანტირებისათვის.
4. რა ახსენდება დედას შვილის გლოვისას?
- ა) ვი და უი (შრომა), რომლითაც შვილს კარგი გული ჩაუდგა;
 - ბ) შვილის დაბადება;
 - გ) რამდენიმე ბედნიერი დღე ზოგადად არცთუ ისე ბედნიერი ცხოვრებიდან;
 - დ) შვილთან განშორება.
5. დედის შეკითხვას, თუ სად იყო მისი შვილის გული, ნიეთები უპასუხებენ:

— კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

— მე დაეატქქქ!

— მე დაეწქქქ! — გახმოურდა სურათი მაგიდაზე.

რამ შეიწირა ნოევის გამოს გული?

- ა) მოგზაურობის ნყურვილმა (რომელიც სიმბოლურად რუკითა და რაღაც სურათით გამოიხატება);
 - ბ) დეპრესიამ, ევროპული საზოგადოებისათვის დაშინასიათებელმა სულიერმა კრიზისმა;
 - გ) სამშობლოს ნყურვილმა (რომელიც სიმბოლურად რუკითა და რაღაც სურათით გამოიხატება);
 - დ) შემოხვევამ.
6. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?
- ა) სამშობლო ადამიანის მთავარი ტკივილია;
 - ბ) სულს საზღვარი და უსაზღვრობა ერთნაირად სწყურდება;
 - გ) შვილი დედის მთავარი ტკივილია;
 - დ) ცხოვრების სანყაო მუდამ აღუქმებელი რჩება.



1. ნიკო ლორთქიფანიძე ციკლის შესავალსა და ბოლოში წერს: **გიგლინიძე**
„...ქ. სადღაც შორს, ბუდექში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცა მოჭვიდელ ღამეს ძღვიმეში
დაბადდა იესო. ძე ქალწულის მარიამისა, მამურადთა იმედი და ნუეგეშ. ტანჯვის შემსახურებელი,
სიკვდილითა სიკვდილის დამორგუნველი...
აქ კი... დღეს“.

რისთვის გამოიყენება პროლოგი და ეპილოგი (იდენტური ტექსტი)?

- ა) კონტრასტული ფონის შესაქმნელად; ბ) პარალელური სიუჟეტის საჩვენებლად;
გ) სიმინდის მოტივის ნამოხსნევად; დ) ქრისტეს ცხოვრებისა და ნაშენის გასაზრებლად.
2. **განმარტეთ** -ცა მოჭვიდილი ღამე“:
- ა) მზიანი ღამე; ბ) იმედის ღამე;
გ) ვარსკვლავებიანი ღამე; დ) მომავლის ღამე.

„სარამეშა“

3. დედა ავადმყოფ შვილს მიმართავს:
„...ეუ გეშინია, შვილო, დამშვიდდი. აი ასე, ასე ამოისუნთქე- გაგიეღის ახლა უმწვერვალესი
წუთია ავადმყოფობისა, აი, ახლავ დაგიკლებს სიცხე“.

რა პროცესის მიმდინარეობა იკითხება ტექსტში?

- ა) დედა შვილს მურნალობს; ბ) დედა შვილს ამხნევებს;
გ) დედა შვილის ტკივილს იზიარებს; დ) დედა შვილთან ერთად იტანჯება.
4. **გაიხსენეთ**, რას აწვდის დედა ავადმყოფ შვილს:
- ა) წყალს; ბ) საჭმელს;
გ) ანგელოსის ქანდაკებას; დ) ჯვარს.

5. ნიკო ლორთქიფანიძე წერს:
„აგონდება ქალს პირველი ამბორი — განა ეს გარდაქმნა არ იყო.
აგონდება ქალს, როგორ დაიძრა სხეულში ახალი ადამიანი.
აგონდება ქალს, როგორ ტანჯავათა შორის ქვეყნად იშვა მისი ბავი, ახლა კი, ამ შობის
ღამეს, როგორ წაარბიქეს დიქრონი?“

რა ანიჭებს დედას შვილის გადარჩენის იმედს?

- ა) პირადი რწმენა; ბ) სიცოცხლეზე ფიქრი;
გ) რწმენა, რომ ანგელოსი დაეხმარება; დ) რწმენა, რომ მისი შვილი სიცოცხლის ენერგიას აღიდგენს.
6. რით უკავშირდება ბავშვის გარდაცვალება გარდაქმნის მოტივს (რომელიც მინიატურის
შუა ნაწილში წნდება)?
- ა) აღნიშნულია, რომ ქვეყნად ყველაფერი წარმატებულია;
ბ) აღნიშნულია, რომ უკვალოდ არაფერი ქრება;
გ) აღნიშნულია, რომ ღვთის დაბადებულს ღმერთი ჰპატრონობს;
დ) ბავშვის გარდაცვალება მოიაზრება, როგორც ახალი ცხოვრების დაწყება.

„საპარმიველო იყიდა“:

7. ნიკო ლორთქიფანიძე წერს:
„იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით“...
რომელი დირებულების -გაყიდვას- (გაცემას, დაკარგვას) აღნიშნავს ავტორი?

- ა) საოჯახო შემკვიდრობის; ბ) კულტურული შემკვიდრობის;
გ) ბუნება-საზარღლის; დ) ინტელექტუალური საკუთრების.
8. **გაიხსენეთ**, რას ეიძობა ტექსტის პირველი (ყველაზე ვრცელი) აბზაცი?
- ა) გასაყიდვად ჩამონათვალს;
ბ) გამყიდველთა ჩამონათვალს;
გ) „სავაჭრო ადგილების“ ჩამონათვალს (სად იყიდება);
დ) გაყიდვის პირობების ჩამონათვალს (როგორ იყიდება).

9. ნიკო ლორთქიფანიძე წერს:
„...იყიდება საქართველო... წარსულის ისტორიით მოხავილი სვე-ბუდიან მშენებლის ენით;
ნაქარგი ფარნა-საყურდით ვაკაცურის ხასიათით, სტუმრან-მოყვარულით დიდებულის სანახობით,
წმინდა პატიით ნასამაგი სახლით და კრით ნუქურთმისა მინასტრებით და კვლეხებით“.
- რაზე მიუთითებს ჩამონათვალის მრავალფეროვნება (კონკრეტული და აბსტრაქტული
საკნების მდიანობა)?*



- ა) მყიდველის მარიფათზე; ბ) გამყიდველის უნიათობაზე;
- გ) ეროვნულ ღირებულებათა ფასზე; დ) „გაყიდვის“ ყოვლისმომცველ მასშტაბზე.

10. რას ეუბნება ტექსტის მეორე აბზაცი?

- ა) გაყიდვების პირობების ჩამონათვალს (როგორ იყიდება);
- ბ) „სავაჭრო ადგილების“ ჩამონათვალს (სად იყიდება);
- გ) გამყიდველთა ჩამონათვალს;
- დ) გასაყიდთა ჩამონათვალს.

11. ნიკო ლორთქიფანიძე წერს:

„ყიდება საქართველო ერთი, ბერით; თვალწარმტაც ბანიანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჭრითა; მღვდელთა ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატრებადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დღითი და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესაე-მოყვარეებით“.

რომელ სფეროს მიეკუთვნება ჩამონათვალი?

- ა) ბუნების საოცრებებს; ბ) ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას;
- გ) ბუნებრივ სიმიდირებს; დ) ადამიანურ რესურსს.

12. რას ეუბნება ტექსტის მესამე აბზაცი?

- ა) გასაყიდთა ჩამონათვალს;
- ბ) გამყიდველთა ჩამონათვალს;
- გ) „სავაჭრო ადგილების“ ჩამონათვალს (სად იყიდება);
- დ) გაყიდვის პირობების ჩამონათვალს (როგორ იყიდება).

13. ნიკო ლორთქიფანიძე მყიდველებს მოუწოდებს:

„ყოფილი ბარემ მთლად, ვაწვეთ და გავლოჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკდავს უძლიერ ჭირსუყვალს“.

რას მოასწავებს (მეტაფორულად) „ბარემ მთლად“ ყიდვა (გაყიდვა) იმისა, რასაც „საქართველო ერქვა“?

- ა) საქართველოს და, შესატყვისად, მისი მდგომარეობით გამოწვეული ტანჯვის დასასრულს;
- ბ) იმედის დაკარგვას;
- გ) წარსულ დროზე დარდის მოკვლას;
- დ) ახალი ცხოვრების დაწყებას.

14. რას ეუბნება ტექსტის მეოთხე აბზაცი?

- ა) გაყიდვის პირობების ჩამონათვალს (როგორ იყიდება);
- ბ) „სავაჭრო ადგილების“ ჩამონათვალს (სად იყიდება);
- გ) გამყიდველთა ჩამონათვალს;
- დ) გასაყიდთა ჩამონათვალს.

15. რის მეტაფორაა ქართველთა მიერ საქართველოს გაყიდვა?

- ა) ეროვნულ ფასულობათა მნიშვნელობის; ბ) ქართველთა თვითგანადგურების;
- გ) ეროვნულ ფასულობათა რეალიზაციის; დ) ქართველთა თვითშემეცნების ამაღლების.

16. რას წარმოადგენს ტექსტი მხატვრული თვალსაზრისით?

- ა) ეპითეტივით გაჯერებულ თხრობას;
- ბ) რიტორიკულ შეკითხვებსა და შეძახილებზე დაფუძნებულ თხრობას;
- გ) არქაიზმებითა და ნეოლოგიზმებით გაჯერებულ ტექსტს;
- დ) ერთიან მეტაფორას, რომელიც მიპერბოლისა და გროტესკის ელემენტებს შეიცავს.

„ბრმა შინამ“

17. ნიკო ლორთქიფანიძე წერს:

„სუფთა, ციფს ქუჩის პაფისა, ითიქის შიშით დაიხია უკან და გასა მისცა 'შშორის და ოფლის სუენთა გამსჭვადელის ოთახის პაფის“.

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება ტექსტში?

- ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
- გ) გაპიროვნება; დ) მიპერბოლა.

18. რისა (და რატომ) ეწინაა უნ დაბრუნებულ ლევანას?

- ა) მარტო სიარულისა, რათა სიბნელეში რამეს არ წამოეღოს;
- ბ) დაბრმავებისა;
- გ) ბავშვების გაღვიძებისა, რადგან არაფერი მოუტანია;
- დ) შობის გათვინებისა, რადგან უქმზე ფულს ვერ იშოვის და შიმშილს შიმშილი დაემატება.

19. ლევანა თერძი მეუღლის შეკითხვას, რატომ ვერაფერი მოტანა, უპასუხებს:

„რატომ და თუკლი ადარ კრის, ხუის გაედებულა ვერისტი სულ დასარდვესი გაუხედათ დუტქუთი უკელსა დაეკრე გამაწამიქეს, გამაიროფს და ისე გამომიშვესა სამართლიანადაც“.

ვინ არის თერძი ლევანა?

- ა) ღრმად მოხუცი;
- ბ) კაცი, რომელიც ავადმყოფობის გამო სამუშაოს (და ლუკმაპურს) კარგავს;
- გ) პროფესიამ გაურკვეველი „პროფესიონალი“;
- დ) კაცი, რომელმაც შიმშილის შიშით ახალი პროფესია აითვისა (თუმცა, როგორც აითვისა).

20. რას ნანობს თერძი ლევანა?

- ა) თვალის დაავადება რომ შეამჩნია, მაშინვე ახალი პროფესია რომ არ შეისწავლა;
- ბ) თერძობა რომ ისწავლა;
- გ) თვალეხს თვალისჩინივით რომ არ გაუფრთხილდა;
- დ) ცოლ-შვილს რომ მოეკიდა.

21. თერძი ლევანა ცოლს (ხვალინდელი შობის გამო) ეუბნება:

„ხვალ ძაღლებიც კი ხორციე გაძლებიან: ზოგს გაღვევდებენ, ზოგიც მოიტაცებს... თქვენ კი? ნაცრინი მკალი მანც ტკონდესთ.“

რის სურათი იხატება ტექსტში?

- ა) უკიდურესი გაჭირვების; ბ) იმედის;
- გ) ადამიანის მცდელობის, წინასწარმოდ სულიერად ამაღლდეს; დ) ოჯახური იდილის.

22. როგორ შეგვიძლია, გავიაზროთ „საშობაო მინიატურების“ სამი თხზულება?

- ა) როგორც წინასწარმოდ ამაღლებული განწყობილების სამი სურათი;
- ბ) როგორც იმედისა და უიმედობის სამი თანხედრა;
- გ) როგორც სინამდვილის (ფაქტობრივი მდგომარეობის) სამი სურათი;
 - გ) პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე; დ) უპასუხისმგებლო.

3. მუხრან მაჭავარიანი საბას აუდიენციის გამო წერს:
- „მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნაილს კატისას),
რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელმან ქარელისა“.

საბას აუდიენციის როგორი ფინალი იკითხება ტექსტში?

- ა) უშედეგო; ბ) პრინციპული;
 - გ) ნაყოფიერი; დ) მომავალ შეხვედრებზე გათვლილი.
4. რის სიმბოლოა კატის კნაილი (რომელსაც საბას ხმა არ წააგავდა)?
- ა) მოთხოვნის დაფინებისა; ბ) აზრის ნათლად ჩამოყალიბებლობისა;
 - გ) ამბოებისა; დ) თავის მოსახყლებისა.

5. მუხრან მაჭავარიანი წერს:
- | | |
|------------------------------|--------------------|
| — წვიმა არ არის! | — რამ გაათურა?! |
| საბას კაბა დაუსყვლა რამ?! | — რა აკანკალებს?! |
| — თოვლი არ არის! | საქართველოა |
| საბას თავი გაუთურა რამ?! | მისთვის: |
| — ყინვა არ არის! | წვიმაც. |
| სულხან საბას აკანკალებს რა?! | თოვლიც და ყინვაც!- |
| — რამ დაასყვლა?! | |

რატომ არ ეუწოდებთ ტექსტში დასმულ შეკითხვებს რიტორიკულს?

- ა) პასუხები შეკითხვებშივე იგულისხმება;
 - ბ) შეკითხვები მეორე პირს (მკითხველს) მიემართება;
 - გ) შეკითხვები პასუხს საჭიროებენ;
 - დ) შეკითხვები ლირიკულ გმირს (თვითონ საბას) მიემართება.
6. ლირიკული გმირის როგორი სულიერი მდგომარეობა აისახება მეთხე სტროფში „— წვიმა არ არის! — აქედან „თოვლიც და ყინვაც!“ — აქამდე? —

- ა) ლირიკული გმირი (საბა) დაფიქრებულია; ბ) ლირიკული გმირი (საბა) დაეჭვებულია;
- გ) ლირიკული გმირი (საბა) მარტოა; დ) ლირიკული გმირი (საბა) შეძრწუნებულია.

7. მუხრან მაჭავარიანი საბაზე წერს:
- „საქართველოა
მისთვის:
წვიმაც.
თოვლიც და ყინვაც!“

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება საბას განცდის დასახატავად?

- ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
 - გ) გაპიროვნება; დ) ჰიპერბოლა.
8. რა კონკრეტულ როლს ასრულებს ავტორისეული ფრაზა: „— მზე ყთხოვება, აღბათ, ახლა ტურფა ტანძიას“ (უპასუხეთ კონტექსტის, აგრეთვე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ტანძია საბას მშობლიური სოფელია)?

- ა) ლირიკულ გმირს ტანძია ენატრება;
- ბ) ავტორი ლირიკულ გმირს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებს;
- გ) ლირიკული გმირი ვერსალის საღამოს ტანძიის საღამოს ფონზე გაიაზრებს;
- დ) ლირიკულ ჟივილში საქართველოს სახე ცოცხლდება.

9. მუხრან მაჭავარიანი წერს:
- „დედის ცრემლები ყაყანოს და ბაღახებს აწვიმს,
დედის ნიწრში სტერის დედა შეიღს მოტაცებულს,
სტამბოლში შეიღი დედას სტერის, — ჰყიდიან ყმაწვილს
(სკკრეტენ ღვარის წინ წმინდა ნინოს, მუხლზე დაეცმულს“.

რა მისწით იყენებს ავტორი თბობი თბიქტური პირის ნიშნებს ზმნებში, რომლებიც თბობი თბიქტურ პირს არ შეიცავენ (სტერის, ჰყიდიან, სკკრეტენ)?



ქვეყნის განათლების
და მეცნიერების
მინისტროს
საინჟინერო-ტექნიკური
სამსახური

- ა) ძველი ქართული ენის ნორმის აღსადგენად;
- ბ) გაურკვეველი მიზნით;
- გ) სიტყვების ფერადობის გასაძლიერებლად;
- დ) სალიტერატურო ენის ნორმათა პირობითობის საჩვენებლად.
- 10. განმარტეთ ავტორისეული მიმართვა: „ეს სივხადეა, სულხან-საბაე, თუ უფლები უფლები“
- ა) მიმართვაში ასახულია გაურკვეველი სულიერი მდგომარეობა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს საფრანგეთის მეფესთან ვიზიტის დროს შეექმნა;
- ბ) მიმართვაში ასახულია აღტაცება, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს სამშობლოში დაბრუნების განზრახვის გამო ეუფლება;
- გ) მიმართვაში ასახულია გაორების განცდა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს საფრანგეთის მეფესთან ვიზიტის შემდეგ შეექმნა;
- დ) მიმართვაში ასახულია კმაყოფილების განცდა, რომელიც საფრანგეთის სამეფო კარის ეტიკეტით აღტაცებულ სულხან-საბა ორბელიანს დაეუფლა.

11. მუხრან მაჭავარიანი წერს:
„დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბლახებს აწვიმს“.

რისთვის გამოიყენება პიპერბოლა?

- ა) საქართველოს მძიმე მდგომარეობის ხაზგასასმელად;
- ბ) დედის უბედურების გადმოსაცემად;
- გ) ყაყაჩოსა და ბლახების მხატვრული სახეების გასაპიროვნებლად;
- დ) დედის იმედისა და მოლოდინის გადმოსაცემად.
- 12. რა მხატვრული ფუნქცია ენიჭება ტექსტში გამოყენებულ აღუზიას: „სჭერტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, მუხლზე დაცემულს“?
- ა) სტამბოლის ბაზარში მყოფ სხვა ქართველთა ხილვა გადმოიცემა;
- ბ) სტამბოლის ბაზარში მყოფ ტყვეებით მოვაჭრეთა ხილვა გადმოიცემა;
- გ) საქრისტიანოს დამოხობის სურათი იქმნება (წმინდა ნინო უფლას, მკითხველის შთაბეჭდილებით, ქრისტიანებისთვის ურთიერთთანადგომის ჩაგონებას ევედრება);
- დ) საქართველოს უმძიმესი მდგომარეობის სიმბოლური სურათი იქმნება (წმინდა ნინო უფლას, მკითხველის შთაბეჭდილებით, საქართველოს ავედრებს).

13. მუხრან მაჭავარიანი სულხან-საბა ორბელიანის შეკითხვის გამო, თუ როგორ ყიდდა სპარსელი ტყვე ქართველ ბავშვს, წერს:

— უი, ქართველი მეკონა და სპარსი ყოფილა! —
წარმოსთქვა ბაღმა, ყური მოკრა რა საბას სპარსულს“.

რა იკითხება ბავშვის ტექსტში?

- ა) შიში, რომელიც, უცხო გარემოში მყოფს, ეუფლება;
- ბ) გაურკვეველობის განცდა;
- გ) იმედგანბილება, რომ თავის ამბავს საქართველოში ვეღარ შეთვლის (იმედოვნებდა კი, რომ ქართული იერის მქონე უცნობის პირით შეთვლიდა);
- დ) იმედგანბილება, რომლის განცდა მოლოდინის სანინალმდეგოდ გაუწნდა.

14. რას სთხოვს ბავშვი სულხან-საბას, როცა დააზუსტებს, რომ ის ქართველია?

- ა) გამოსხნას; ბ) დედასთან წაყვანას;
- გ) დახმარებას, რომ კეთილმა აღამ იყიდოს; დ) პურს.

15. სულხან-საბა ორბელიანი წერს:
„ეთ ეს ყმაწვილი — საქართველოც ასე მცირეა“.

აგრეთვე: „საქართველოსაც, ეთი ამ ყმაწვილს, ასე ჰყდიან“.

რით ჰგავს ერთმანეთს, ტროიელი აზროვნების თვალსაზრისით, ციტრუბული ტაკები?

- ა) მსგავსი შედარების გამოყენებით;
- ბ) ორივეში გამოიყენება მეტაფორა;
- გ) ორივეში გამოიყენება პიპერბოლა (საგნის ან მოვლენის გაზვიადებული წარმოდგენა);
- დ) არა მარტო პირველში, არამედ მეორეშიც გამოიყენება ლიტოტეკია (საგნის ან მოვლენის შემცირებულ მასშტაბით წარმოდგენა).

16. როგორ იხატება ლექსის ფინალში ქართულ-ევროპული ურთიერთობის აღბათობა?

- ა) ის მოშავლის საქმედ მიიჩნევა; ბ) ის სრულ რეალობად მიიჩნევა;
- გ) ის მეფეების ახირებად მიიჩნევა; დ) ის აბსურდად მიიჩნევა.

17. მუხრან მაჭავარიანი (ავტორი) სულხან-საბა ორბელიანს (ღირსიკულ გმირს) მიმართავს:
— მოეწიხნა განა უნაყოფად, ელიო, ყაიად?
გულს ნუ გაიტეპს — შეხა კვლავაც შეიძისება“



საერთაშორისო
სამართლებრივი ცენტრი

- რის სიმბოლოა მუხის კვლავაც შემოსვა (უპასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით)?**
- ა) მომდევნო ვიზიტის ნარმატივულობის;
 - ბ) საქართველოს გაძლიერების;
 - გ) ტყვეთა სყიდვის აღკვეთის;
 - დ) ბუნების პროცესების შეუქცევადობის.
- 18. რას არის ლექსის მთავარი სათქმელი?**
- ა) საქართველოს მომავალი (თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა) საეჭვოა;
 - ბ) საქართველო პატარა ქვეყანაა;
 - გ) დასავლური ორიენტაცია უაღბურნატივოა;
 - დ) საქართველომ თავის თავს თვითონ უნდა უშველოს.

**რევაზ ინანიშვილი,
„ერთხანთან ყვავები დამბარის ხმაზე“**

- 1. რევაზ ინანიშვილი თავად ვიტგენშტეინის დედისეულ ქართულ წარმოშობაზე წერს და დასძენს:**
- „გაწაფული იყო ნახევრად ველური ჯოგის ცხენების ჭენებაში. ცხენიდან სროლაში, ტახებზე ნადირობაში. იცვამდა ჩოხას, ქართულ უძირო წაღებს, იხურავდა მკერულ ფაფანაკსაც კი.“

თავად ვიტგენშტეინის რომელი ნიშან-თვისება იკითხება ტექსტში?

- ა) ქართული და გერმანული სანყისების მთლიანობა;
- ბ) ცხოვრების წესის ასპექტური გაგება;
- გ) მშობლიურ სანყისებთან ბუნებრივი სიახლოვე;
- დ) მიდრეკილება საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენლებთან თავის გაყადრებისაკენ.

- 2. გაიხსენეთ თავად ვიტგენშტეინის დედის, პაშა დადიანის, რომელი ნიშან-თვისება აქცენტრდება ტექსტში?**

- ა) გარეგნული მშვენიერება;
- ბ) ოჯახური ტრადიციების ერთგულება;
- გ) დედობრივი მზრუნველობა;
- დ) ეროვნული ტრადიციების ერთგულება.

- 3. რევაზ ინანიშვილი მატარებელში მყოფ თავად ვიტგენშტეინზე წერს:**
- „იშვიათად, რომ ვინმეთი დაინტერესება შესტყობოდა სახეზე, თუმცა ვერც იმას იტყოდით, ყურადღების გარეშე დაეტოვებინა ვინმე.“

თავად ვიტგენშტეინის რომელი თვისება იკითხება ტექსტში?

- ა) გულგრილობა;
- ბ) მომეტებული თავაზიანობა;
- გ) თავდაჭერილობა;
- დ) მოჩვენებითობა.

- 4. რას ამჩნევს ავტორი მატარებელში მყოფი თავად ვიტგენშტეინის სამხრეთულად მზემოკიდებულ სახეზე?**

- ა) ღიმილს, რომელიც სარკმელში მზერისას დასთამაშებს;
- ბ) თავდაჯერებულობას;
- გ) სევდას, რომელიც, შეიძლება, დედულეთიდან მიმავალს, დაუფლებოდა;
- დ) ჩრდილოურ მოყვითალო სიფითრეს.

- 5. რევაზ ინანიშვილი ვაგონში ამოსულ გენერალზე წერს:**

„გენერლის მიმოხრამ, მისმა მორძანებულმა კილომ, რომლითაც ვაგონის გამკვილებულს მიმართავდა, ვიტგენშტეინი მიახედრა, ის ერთი იმ გენერალთაგანი იყო, ბრძოლაში საამაყო დაურიდებლობა სამოქალაქო ცხოვრებაშიც რომ გადმოჰქინდაო.“

რად შეიძლება, იქცეს „ბრძოლაში საამაყო დაურიდებლობა“, თუკი ის სამოქალაქო ცხოვრებაში უკონტროლოდ გადაინაცვლებს (უპასუხეთ სავრთო კონტექსტის გათვალისწინებით)?

- ა) ყველასა და ყველაფრის მიმართ ინტერესად;
- ბ) პრიმიტიულ თავხედობად;
- გ) დამბნეველ გარემოებად;
- დ) ზომიერების ფაქტორად.

- 6. რის ნიშნად დაუხარა ვაგონში ამოსულმა გენერალმა თავი თავად ვიტგენშტეინს?**

- ა) ღირსების აღიარების;
- ბ) უპირატესობის აღიარების;
- გ) თანასწორად აღიარების;
- დ) სავალდებულო ზრდილობის.

- 7. რევაზ ინანიშვილი წერს:**
- „გენერლის თანხმდობა ქაღმა, ხანამ კუპეში ბარგს შეიტანდნენ მებარეული და ვაგონის გამკვილებულს, რამდენჯერმე გადმოაბრდევიალა ვიტგენშტეინისკენ დიდი, აღმოსავლურად წყლიანი თვალები.“

რა იკითხება ქაღის მოქმედებაში?

- ა) თავშეუკავებლობა;
- ბ) ცნობისმოყვარეობა;
- გ) გულგრილობა;
- დ) კეთილგანწყობა ყველასა და ყველაფრის მიმართ.



8. რატომ დარჩა კმაყოფილი ვიტგენშტეინი იმით, რომ გენერალი და მისი თანმხლებლები აჩქარებული ფაშაშა ქალი კუპეში შეიკეტნენ?

- ა) ორივე ამაზრუნად გამოიყურებოდა;
- ბ) ორივე ამაზრუნად იქცეოდა;
- გ) ხმაურთან ადამიანებს ვერ იტანდა, ესენი კი სწორედ ხმაურიანნი იყვნენ;
- დ) გაეხარდა, რომ არ გამოეღამაპარაკნენ.

9. რევაზ ინანიშვილი გენერლის უტაქტობასთან დაკავშირებით წერს: „ქალი შეკრა. გასწორდა. ჯერ ვერ გაბუდა. შერე შეშფოთებული მხერა გამოაპარა ვიტგენშტეინისაკენ. ვიტგენშტეინი სფინქსით მშვიდად იდგა. გარეთ იყურებოდა. მხოლოდ ოდნავ მომატებოდა სიფითრე ბაგეტიანს. ქალი მანც სახეარული შეგარდა კუპეში.“
რა იდეებს გენერლის თანხლებ ქალში?

- ა) ამოების შერძნება; ბ) საკუთარი თავის სიბრალული;
- გ) უტიფრობა; დ) თავმოყვარეობა.

10. რა იკითხება ვიტგენშტეინისა და გენერლის დიალოგში?

- ა) ვიტგენშტეინის სიფიცზე და გენერლის ცინიზმი;
- ბ) ვიტგენშტეინის სიფიცზე და გენერლის ჰუმანიზმი;
- გ) ვიტგენშტეინის სიფიცზე და გენერლის არათანმიმდევრულობა;
- დ) ვიტგენშტეინის სიფიცზე და გენერლის პრინციპულობა.

11. თავადი ვიტგენშტეინი გენერალს ქალის მიმართ გამოხენილი უხამსობის გამო კილავს და დასძენს:
— მე, მამაკაცი, ვიდექი თქვენ გვერდით.
როგორ შეიძლება, გაეფოთ ვიტგენშტეინის რეპლიკა?

- ა) მას უხამსობა დაუშვებლად მიაჩნია;
- ბ) ქალის რეაქცია რომ არა (მისკენ გახედვა), ის ამ უხამსობაზე ყურადღებას არ გაამახვილებდა;
- გ) საზოგადოება, ვიტგენშტეინის აზრით, გარემოების არბიტრი;
- დ) საზოგადოება, ვიტგენშტეინის აზრით, გარემოების მონანილეა.

12. როგორ შეიძლება, გაეფოთ აჩქარებული ფაშაშა ქალის მძაფრი რეაქცია (გენერლის უხამსობაზე), რომელიც, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ზოგადად შეიძლებოდა, არც მკინოდა:

- ა) ქალს უხამსობა ყელში ამოუვიდა;
- ბ) ქალმა ვიტგენშტეინის განსაკუთრებულობა იგრძნო, რამაც მას სიმაღლის განცდა გაუჩინა;
- გ) გენერალს მეტისპეტი მოუვიდა;
- დ) ქალი ახალ ცხოვრებას იწყებს.

13. რევაზ ინანიშვილი წერს გენერალზე, რომელსაც ვიტგენშტეინმა ეს-ესაა, სილა სტეცა და ფი დუელშიც გაიწვია:

„გენერალმა დოჟაზე ხელი ჩამოსვა, და დერეფანს გახედა. დერეფანში არაფერ იყო. ენის ბორძიკით თქვა:
— ის ქალი... იმ ქალის გულისთვის არ ღირს“—

რა იცის გენერალმა?

- ა) უხამსობის საზღვარი არ გააჩნია;
- ბ) ომისას სიმპათიური გენერლები მშვიდობისას აუტანელი ხდებიან;
- გ) სიცოცხლე ძვირფასია და ვაგლახად არ უნდა შეწყდეს;
- დ) აღგზნებულ თავდას ვერაფერს ვეღარ გააგებინებს.

14. როგორ დაელოდა დუელში გაწვეული გენერალი სიკვდილს?

- ა) აღელდა; ბ) ღირსეულად, მშვიდად;
- გ) ერთ-ერთი ნაგებული ბრძოლა გააჩნდა; დ) ღირსეულად, გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა.

15. მომაკვდავმა ვიტგენშტეინმა იმპერატორს მისწერა:

„ძვირფასო ნიჭ ყველაფერი წესის ფარგლებში მოხდა, ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, არ დაისაჯოს გენ“—
ვიტგენშტეინის როგორი სულიერი მდგომარეობა იკითხება ტექსტში?

- ა) აგონია; ბ) დეპრესია;
- გ) განსჯადობა; დ) განუსჯელობა.

16. როგორია გენერლის, კომიკრად დაწვეული და ტრაგიკულად დამთავრებული დრამის უნებლოე გმირის, სულიერი მდგომარეობა ნოველის ბოლოს, როცა მას, დარბაზში უძრავად მყოფს, ხელთ ტყეით გახვრტეილი ქუდი უჭირავს?

- ა) ის გაორებულია; ბ) ის გაოგნებულია;
- გ) ის საკუთარ თავზე ბრაზობს; დ) ის განმტკიცებულია.



17. რევაზ ინანიშვილი წერს:

„დაეუსვი ამ ამბავს ბოლო წერტილი. დაეუძახე ჩემს ქალიშვილს, რომლის თვალბურთსაც ეამოწმებ ხოლმე, როგორ მოქმედებს ჩემი დაწერილი ამბები სხვებზე? —
რა იკითხება ავტორის ქალიშვილის თვალბურთში (ზოგადად)?“

- ა) ემოცია, რომელსაც ადამიანს მხატვრული ლიტერატურა ანიჭებს;
 - ბ) გამონკვევა, რომელიც ახალ თაობას ძველი ამბების მიმართ აქვს;
 - გ) მუდმივ ღირებულებათა გადაფასება;
 - დ) მომთხონებლობა.
- 18. რატომ შეიძლება, არ დაეინტერესებინა ავტორის ქალიშვილი ნოველის ამბავს?**
- ა) პერსონაჟების გარეგნობის მწერლისეული აღწერა არ მოსწონებოდა;
 - ბ) ნოველის ტიპს არ დაეინტერესებინა;
 - გ) დუელის თემა მოძველებულად მიეჩნია;
 - დ) ნოველის ინტრიგა დაუჯერებლად მოსწვენებოდა.

**ოთარ ძილაძე,
„აღამიანი გაზაფხის სვებში“**

1. პოემის ეპიგრაფში ეკითხულობთ:

„პანამის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკების დროს დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთაგან ერთი თავისიანებმა მოკლეს. მან არ ინდობა, მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში.“

რა როლს ასრულებს ეპიგრაფი?

- ა) მოკლედ გვაცნობს პოემის ფაბულას;
 - ბ) გვაცნობს ფაქტს, რომელიც პოემის ფაბულასა და ლირიკულ მონოლოგს საფუძვლად დაედო;
 - გ) გვიხატავს საზოგადოების რეაქციას მომხდარი ფაქტის გამო;
 - დ) გვიხატავს პატრიოტების პოზიციას მომხდარი ფაქტის მიმართ.
- 2. რას გრძობენ კრუს ხიმენესის გემის შემყურე ამერიკელი ჯარისკაცები და პანამელი პატრიოტები?**

- ა) რომ ის, რაც მოხდა, გაუფრთხილებლობის შედეგია;
- ბ) რომ ის, რაც მოხდა, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია;
- გ) რომ დიდი ამბის მოწმენი არიან;
- დ) რომ მკვდარი ხიმენესი მათ — დამსჯელებსაც და დასჯილებსაც — ამხელთ.

3. კრუს ხიმენესი (პოემის ღირსეული გმირი) ამბობს:

„მე მარცვალი ვარ, ღმერთის კალიდან გადმოვარდნილი. და ღმერთმა იცის, რა მელიოდება: ჩიტის ხინაზე თუ ქვის საწლი. კალობარდები თუ თბილი ხნული.“

რისთვის გამოიყენება (აღუზირდება) სახარებისეული იფაი?

- ა) კრუს ხიმენესის სიამაყის დასახატავად: ხიმენესი ამაყობს, რომ მისი მოქმედება ზეციური მადლით აღბეჭდილია;
- ბ) კრუს ხიმენესის ჰუმანისტური იდეალის დასახატავად;
- გ) კრუს ხიმენესის პოზიციის დასახატავად: ხიმენესმა არ იცის, როგორ აღიქმება, რას შესძენს საზოგადოებას მისი ამბავი;
- დ) კრუს ხიმენესის სევდის დასახატავად (მას ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე ენანება).

4. რას წარმოადგენს პოემის ტექსტი (ძირითადი ნაწილი)?

- ა) მონოლოგს ავტორისა, რომელიც ფაქტის შემსწრეა;
- ბ) გარდაცვლილი ხიმენესის მონოლოგს (მეტაფორულად);
- გ) მონოლოგს ავტორისა, რომელმაც ფაქტის თაობაზე გაზეთებიდან შეიტყო;
- დ) მომაკვდავი ხიმენესის მონოლოგს.

5. კრუს ხიმენესი (პოემის ღირსეული გმირი) ამბობს:

„მე მარცვალი ვარ, ღმერთის კალიდან გადმოვარდნილი. და ღმერთმა იცის, რა მელიოდება...“

რომელი მხატვრული ნიუანსი აძლიერებს სახის ვიზუალურ პოეტს?

- ა) განკერძოებული განსაზღვრების გამოყენება;
- ბ) ლიტოტეზის (პიუერბოლის საპირისპირო ხერხის) გამოყენება;

- გ) რომ ყველაფერი დღეს არ დამთავრდება;
დ) რომ დღეს არც არაფერი დაიწყება — ქვეყანა ყრუ და ბნელია.

14. რას უწოდებს კრუს ხიმენესი სიკვდილს?

- ა) სასჯელს, რომელსაც მაღალ აზრებს უსჯიან;
ბ) სამარადისო წყევლიდა და დუმობს;
გ) ამოიებას ამოებათა;
დ) თავშესაფარს, რომელშიც შეშინებული ცოცხლები გარბიან.

15. კრუს ხიმენესი ამბობს:

„ჩემი სხული ხისხლის გუბზეუ ხი-
დიოთაა გადამხობილი დასასჯელბსა და
დამსჯელბს შორის“.

რისა სჯერა ხიმენესს?

- ა) რისაც არ სჯერა: რომ სამყარო ოდესმე უკეთესი გახდება;
ბ) რისაც არ სჯერა: რომ მისი მხვრეტელი მეგობრები ოდესმე თავიანთ საქციელს მოინანიებენ;
გ) რისაც სჯერა: რომ სიყვარული ორ ოკეანეს გააერთიანებს;
დ) რისაც სჯერა: რომ მისი სიკვდილი ურთიერთმტრობით გათანაგულ ადამიანებს გამოაფხიზლებს.

16. რა ენატრება კრუს ხიმენესს სიკვდილის წინ?

- ა) წლები, როდესაც ამერიკაში ცხოვრობდა;
ბ) წლები, როდესაც არაფრისა არ ემინოდა;
გ) დედა, წყალი და თავისი სანოლი;
დ) გოგონა, რომელიც, ახლა დარწმუნდა, რომ უყვარდა.

17. კრუს ხიმენესი ამბობს:

„ახლა ჩემს ტანში სხედან ტყეები, რო-
გორც მხეცები ღრმა სორიებში“.

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა (სახეობები) გამოიყენება მოშაკვდავი ხიმენესის ფიზიკური მდგომარეობის დასახატავად?

- ა) მეტაფორა და გაპიროვნება; ბ) გაპიროვნება და შედარება;
გ) შედარება და მეტაფორა; დ) პიკერბოლა.

18. რა მოაკლდა ქვეყანას კრუს ხიმენესის სიკვდილით (კრუს ხიმენესისვე თქმით):

- ა) ბევრი არაფერი, ამერიკას — ერთი ჯარისკაცი;
ბ) ბევრი არაფერი, პანამას — ერთი ჯალათი;
გ) ბევრი რამ — ამერიკელ ჯარისკაცებს სიმშვიდე დაეკარგებათ;
დ) რამდენიმე გრამი სიკვდილი.

19. კრუს ხიმენესი ამბობს:

„სამარადისოდ მოწყედი ქვეყანას, რადგან
სამხედრო წესდების მუხლებს მალად

ვერ დაეშთხა ჩემს სურვილს. ვერც ამ შენდირმა ვერ განმიდევნა მარადიული კევი და შიში“.

რატომ კვდება („ქვეყანას სწყდება“) ხიმენესი?

- ა) მან სამყაროს საიდუმლო ამოიგნო; ბ) „მოვალეობამ“ მისი ადამიანური სანყისი ვერ ჩაკლა;
გ) მან სამყაროს საიდუმლო ვერ ამოიგნო; დ) ის შინაგანი წინააღმდეგობის მორევში ჩაიძირა.

20. რით შეიძლება, ჭკადვს ხიმენესის ქვეყნისგან მოწყვეტა საკრავისგან გამების მოწყვეტას (როგორც თეათონ ამბობს)?

- ა) მშობლიური სანყისიგან მოშორებითა და გაქრობით; ბ) პარამონის განცდით;
გ) მშობლიურ სანყისთან მუდმივი ურთიერთობით; დ) მშვენიერებით.

21. კრუს ხიმენესი ამბობს:

„ჯარი სამშობლოს მტრისაგან იცავს და
სიკაცხელსაც მხოლოდ სამშობლო მის-
თხეს ჯარისკაცს“.

რა შეიძლება, იყოს თავდადების საგანი?

- ა) სამშობლო; ბ) ბრძანება;
გ) სიყვარული (საგანი კი არა, მიზეზი); დ) შიში (საგანი კი არა, მიზეზი).

22. რატომ ვერ ნაბეჭვა გახყის სვეტში კრუს ხიმენესის ენებები და სურვილები?

- ა) ენებებსა და სურვილებს კარგი აღმწერი არ გამოუწნდება;
ბ) ყოველივეს მიზეზი ამ შემთხვევაში სიცოცხლეა, სიცოცხლე და გაზებით კი შეუთავსებელი ცნებებია (გაზებით ძალიან მალე, მორიგი ნომრის გამოსვლისთანავე, კვდება);
გ) ენებებსა და სურვილებს, კარგადაც რომ აღინეროს, კარგი მკითხველი არ გამოუწნდება;



დ) გახეტები ვილაცების რუპორებია. ქვეშარტი ამბები და სურვილები მათთვის უპროლო ქრონიკაა ანდა ქრონიკაც არ არის.

23. კრუს ხიმენესი ამბობს:

-ფიქრის უფლება ყოფილა თურმე ყველა-
ზე ძვირი, რადგან ცხოვრების აუანაყა-
ნი ფიქრში ირკვევა-

რატომა ძვირფასი ფიქრი, აზროვნება?

- ა) იმიტომ, რომ ადამიანის ინტელექტს ხვენს;
- ბ) იმიტომ, რომ შემეცნების საშუალებაა;
- გ) იმიტომ, რომ წარსულს ანმყოს თვალსაწიერში აქცევს;
- დ) იმიტომ, რომ მომავალს გეგმავს.

24. რას ვერ შეათავსებს ერთმანეთთან ფიქრი?

- ა) ქმედებასა და უმოქმედობას;
- ბ) შიშსა და გაბედულებას;
- გ) უძრობასა და მოძრობას;
- დ) სიკეთესა და ბოროტებას.

25. კრუს ხიმენესი ამბობს:

„ბევრი კანონი არსებობს ქვეყნად.
მაგრამ მე მწამდა ერთი კანონი: თავისუფ-
ლების და სიყვარულის მანაც ყველასთვის
უცხო ვარ ახლა...“

რატომ არის კრუს ხიმენესი ყველასთვის უცხო? (უპასუხეთ კონტექსტის გათვა-
ლისწინებით)?

- ა) ამერიკელია (პანამაში);
- ბ) საერთო კანონები უკანონოდად მიაჩნია;
- გ) პანამელია (ამერიკაში);
- დ) ჰუმანისტი.

26. რა ხდება, ავტორის თქმით, ამქვეყნად (უსასრულოდ)?

- ა) ადამიანები ადამიანებს ჩაგრავენ;
- ბ) ძლიერი მართალია;
- გ) ადამიანები ადამიანებს გზის გაგებაში ეხმარებიან;
- დ) მართალი ძლიერია.

27. კრუს ხიმენესი ამბობს:

„პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო
შერა და უყვარს: ვისაც სამშობლო უყვარს
და ცდილობს, აღარ დაადგას ქედზე უღელი,
არ დაამცროს ადამიანთა ყველაზე დიდი
მინაიოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყო-
ფი: თავისუფლება“

რომელ კონკრეტულ იდეას განადიდებს კრუს ხიმენესი (ავტორი)?

- ა) თავისუფლებას, რომელსაც ადამიანი ყველგან და ყოველთვის ბრძოლით მოიპოვებს;
- ბ) თავისუფლებას, რომლის მოპოვებასაც ადამიანი ეწიერება;
- გ) თავისუფლებას საკუთარ სამშობლოში, რომელიც ხელშეუხებელია;
- დ) გულთა კავშირს.

28. რა სურდა კრუს ხიმენესს პანამელი დემონსტრანტების მიმართ პატივისცემისა და
ერთგულების ნიშნად?

- ა) ხმაშავალი განცხადება, რომ პანამა პანამელების სამშობლოა;
- ბ) დემონსტრანტებთან შეერთება;
- გ) ხმაშავალი განცხადება, რომ ამერიკა ამერიკელების სამშობლოა;
- დ) საჯარო თვითგანმარტება.

29. კრუს ხიმენესი ამბობს:

„ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია.
მაგრამ აქამდე ვერ უპოვია საბრძოლს
თავი და გადის მისი მოკლე ცხოვრება
შურში, მტრობასა და სიძულვილში.“

რის შედეგია შური, მტრობა და სიძულვილი?

- ა) ურწმუნოების;
- ბ) ადამიანის მიერ ადამიანის დანაგვრის სურვილის;
- გ) უნებისყოფობის;
- დ) ადამიანის მიერ ადამიანის არსის გაუცნობიერებლობის.

30. რის ბოლო ცრემლებს ყლაპავს (ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად) ხიმენესი?

- ა) სიშწრის, სიბრაზის, სინანულის;
- ბ) მონატრების;
- გ) ბუნდოვანების, გაურკვევლობის (თუ რა ბედი ეწეა მას — ღვთის კალიიდან გადმოვარდნილ მარცვალს);



დ) სურვილების დაუკმაყოფილებლობის.

31. კრუს ხიმენესი მკითხველს მიმართავს:

-შენ რატომ უნდა გუხინოს ცუდად. მე
თუ რაღაცით ვარ ბედნიერი... ან რატომ
უნდა გუხინოს მშვიდად, როცა მე ეწვევარ
სისხლის გუბეში".

რის აბოლოგეტაა კრუს ხიმენესი?

- ა) ინდივიდუალიზმის; ბ) სოლიდარობის;
- გ) საერთო მშვიდობის; დ) საერთო ბედნიერების.

**32. რას ადარებს კრუს ხიმენესი ფიქრებისა და სურვილების გაგრძელება-გაზიარებას
(„გულიდან გულზე“ გადატანას)?**

- ა) ყველაზე სურნელების მოფენას; ბ) ჩრდილების მოძრაობას;
- გ) მზის სხივების მოფენას; დ) ხის თესლის ტყეიდან ტყეში გადატანას.

33. კრუს ხიმენესი ამბობს:

—(ა ხიმ ერცელია, მა-
გრამ ამ ცაშიც უჯახებიან დრუბლებს დრუბლები.
ამ შეჯახებას მოსდევს ქუხილი, ქუხილს
კი ვეცხდი, რომ შუქით გზა გაინათონ წვიმებმა ბნელში... ხოლო წვი-
მები კლდეცაც რუცხავენ და კაცის გულ-
საც, და, როგორც ბროლის მავალ ტაძარში,
მთელი ქვეყანა შედის წვიმაში".

რისთვის იქმნება წვიმის ალგორითმი სურათში?

- ა) წარღვნის ილუზიის შესაქმნელად;
- ბ) სულიერი განსანმუნდლის, საერთო კათარზისის, სურათის შესაქმნელად;
- გ) ბუნების სურათის შესაქმნელად;
- დ) რწმენისა და განსაცდელის ურთიერთმიმართების დასახატავად.

**34. რის სახეა პოემის ბოლოს შექმნილი წვიმის ალგორითმ სურათში დრუბლები,
ქუხილი, ცეცხლი?**

- ა) ბუნების სტიქიის;
- ბ) მოძრაობის;
- გ) ადამიანური ვნებებისა, რომელთა წინააღმდეგობაში განსანმუნდლის იდეა იბადება;
- დ) წამებული (დასიცხული) ცნობიერების მირაჟის.

35. რა აისახება პოემაში?

- ა) პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის დაპირისპირება; ბ) განსხვავებული აზრების თანაარსებობა;
- გ) ღირებულებათა აღრევა და ქაოსი; დ) ჰუმანისტური იდეალის დამკვიდრება.

36. რას განახახიერებს კრუს ხიმენესი?

- ა) სასტიკ ანწყოს;
- ბ) განსხვავებული აზრების მშვიდობიან თანაარსებობას;
- გ) თვითშემცნების გასაღვივებლად შეწირულ ზვარაკს;
- დ) სიკეთისა და ბოროტების განუყოფელ მთლიანობას.

**ჭაპუა ამირაჯივი,
მოსე ზამთარაძის ნაამღობი
(„დათა თუთაშია“)**

1. დათა თუთაშია მოსე ზამთარაძეს ეუბნება:

— ქვაზე მაგარია კაცი, თუ არ იცის საიდუმლო გაიგებენ. სეფურისას უხამორია
თუთაშიასისო. დაცხებენ სეფურს, ათქვენებენ, კოი, კოი, და ჩაადებენ საპერობლეში! ფორიად
და ჩააიად თუ ვეცდიანები, დააქინდება თავისას, ფორია იყო, თუთაშიასი არ ვიცი არაფერი".

რა მანინაა დათა თუთაშიასი ინფორმაციის გაუთქმელობის საუკეთესო პირობად?

- ა) მოწმის სიმტკიცე; ბ) მოწმის კეთილსინდისიერება;
- დ) მოწმის ინფორმირებულობა; დ) მოწმის არაინფორმირებულობა.

**2. რას შეეხება ანდაზა, რომელიც, მოსე ზამთარაძის თქმით, სულელელებზეა ნათქვამი,
ოღონდ უმეტესად ჰკვიანებზე ზდება?**

- ა) მას, რომ ვაცს ყველაფერი თავისივე მიზეზით დაემართება;
- ბ) მას, რომ ბედისწერისა ყველას ემინია, ოღონდ იგი ცხრა მთის იქით ეგულება;



- გ) მას, რომ გამზავებელს ორივე მხრიდან ხვდება;
- დ) მას, რომ ყრუს ვერ შეასმენ და ბრმა ვერ დაენახვები.

3. მოსე ზამთარაძე სეთურის მიერ შექმნილი თაბაგარის რეაქციას აღწერს:
 „ოჯახში რომ მიხვალ სტუმრად და ბავშვს რომ ეტყვი, რამისილამაზე ხართ მისი მამა და მამა დედაშენსო, და ბავშვი რომ დაირცხვენს, თაბაგარმა სწორედ ისე ქნა: დაბერებ ცხელი წყლით თავი, დაირცხვინა და დაიწყო თითების ერთმანეთში ხლართვა“.

რა იკითხება თაბაგარის რეაქციაში სეთურის მიერ მის შექმნაზე?

- ა) თაბაგარი თავდაჯერებული კაცია; ბ) თაბაგარი დაბეჭავებული კაცია;
 - გ) თაბაგარი თავდაჭერილი კაცია; დ) თაბაგარი ლანძღვისას უფრო ადევკატური იქნებოდა.
- 4. რით იქცევენ დათასა და მოსეს ყურადღებას ახლად გაცნობილი თაბაგარი და ასინეთა?**

- ა) ჟესტებით; ბ) გაუგებარი ლაპარაკით;
 - გ) იდუმალებით; დ) ხმაურიანი მოძრაობით.
- 5. დათა თუთაშია მოსე ზამთარაძის რეკლამას, სეთურმა რაღა მინცდამინც გადარეული მოგეთინათ (ასინეთაზე), უპასუხებს:**

„გოგებთან დაპარაკი მიყვარს მე ხანდახან ისეთს იტყვიან, იცოდე შენ. ბრძენისგან ძვირად გათონებ მისთანას. არაა მაცე ქალი გოგო. რაღაც სხვა ამბავია აქ!“

რას გრძნობს (გუმანობს) დათა თუთაშია (უპასუხეთ კონტექსტის გათვალისწინებით)?

- ა) ქალის გულწათხრობილობას;
- ბ) ქალის დათრგუნვილობას (მძიმე თავგადასავლის გამო);
- გ) არსებობას რაღაც სისტემისა, რომელშიც ქალს როლი აკისრია;
- დ) არასახარბიელო მომავალს.

6. რატომ უნდა უთვალთვალოს დედაბერმა, დედაბრისევე განმარტებით, „ორ კაძასხ“?

- ა) მათივე უსაფრთხოებისთვის;
- ბ) უნდა იცოდეს, რას ფიქრობენ და აკეთებენ ისინი;
- გ) სოფლის (დასახლების) უსაფრთხოებისთვის;
- დ) იხე, ყოველი შემთხვევისთვის.

7. კაკო თაბაგარი მრველს მიმართავს:

— ხოლო მომძღველმან ჩვენის პურისა და სარჩოსი. მამამან ჩვენმან. უსათნოესმან და უკეთილესმან. რომელ არს არქიფო. — იცოცხლოს მარადეჟამ!“

რა იკითხება კაკო თაბაგარის ტექსტში?

- ა) არქიფო ადამიანებზე ზრუნავს; ბ) არქიფო ადამიანებს უყვართ;
- გ) არქიფო „მრველში“ ღვთის ფუნქციას ითვლებს; დ) არქიფოს ავტორიტეტი მუდმივად განსაცდელშია.

8. რატომ გაადვილეს დათა და მოსე დილის ხუთ საათზე?

- ა) დილის რიტუალს უნდა დასრუბოდნენ;
- ბ) მათივე ჯანმრთელობისთვის ასე სჯობდა;
- გ) არც რატომ. ასინეთას ასე მოესურვა, მისი სურვილი კი აქ ბევრს ნიშნავს;
- დ) ყველანი ხუთ საათზე დგებოდნენ და ნების უზენაესობა უნდა ეგრძნოთ.

9. არქიფო სეთური ამბობს:

„სამდიდრეს და ფუფუნებას მოაქვს ყველაფერი გარყენილება და უხნობა. ვიქცათ და. მივეცი სპირიტონა დიდილაობას, რომ ვაძლევ. იმაზე მეტი. კიდევ მეტი მოუნდება და, რომ აღარ ექნება. მაშინ გაუბედურდება. — პარავს და შურთანობას მოკიდებს ხელს“.

რა პრინციპით ხელმძღვანელობს არქიფო სეთური ქვეშევრდომებთან ურთიერთობაში?

- ა) მინიმალური ანაზღაურების; ბ) ზომიერების;
- გ) მაქსიმალური ანაზღაურების; დ) მუდმივი ნნების.

10. რა სტირდება ადამიანს იმისათვის, რომ არ დაიღუპოს (აღნიშნეთ არქიფო სეთურის ეგვრისა)?

- ა) ბედი; ბ) ღვთის ნყალობა;
- გ) ერთგულების გრძნობა; დ) შიში.

11. არქიფო სეთური ამბობს:

„ხადის ოუ უთხარი — ადამიანი ხარო, რას გეტყვის, ოუ იცი? ადამიანი ოუ ვარ, მაშინ მეც შემიძლია. შენი მაცირობა გაეწო და გამონი მაცქვანო. გამიხვალ, დაადება შენს მაცირ და გაუბედურდება. ცხენი და სახლარი ხარ-საქა. უნდა ულაპარაკო!“

რა მანინა არქიფო სეთურს ადამიანის დაცულობის (გაუბედურებისგან) პირობად?

- ა) ღირსების შეგრძნების აღმოფხვრა; ბ) შიშის აღმოფხვრა;
- გ) ღირსების შეგრძნების შთანერგვა; დ) შიშის შთანერგვა.



12. რას ნიშნავს არქიფო, არქიფო სეაურისვე განმარტებით?

- ა) მხნელს; ბ) მხცოვანს;
- გ) თავლის უფროსს; დ) მეჯოგეს.

13. არქიფო სეაური ამბობს:

„დაძმინა სახამდე მარტოა და არაეის არ ჭნდობა, თქმდე ვარგა სხვისთეისაც და თავისთეისაც.“

პირის შეკერას რომ ისწავლიან, მერე კი აღარაფერი გამოევა მათი ხელიდან.“

რა შეიძლება, იყოს (მოსაზრებიდან გამომდინარე) არქიფო სეაურის, როგორც მმართველის, სამუშაო მეთოდი?

- ა) ადამიანთა შევეჯირება; ბ) ნეგატიურ გამოვლენებთა წინააღმდეგ ბრძოლა;
- გ) ადამიანთა გათითოკაცება; დ) მიზნისა და მიმართულების პერიოდული კორექტირება.

14. რატომ უნდა მოუგონო ადამიანს იმედი (რომელიც მას აუცილებლად სჭირდება)?

- ა) იმედი ყოველთვის არსებობს და, თუ ჭეშმარიტი მმართველი ხარ, ადამიანებს ის არ უნდა დაუშალო;
- ბ) იმიტომ, რომ იმედი სინამდვილეში არ არსებობს;
- გ) იმედი ღვთის მიერ დანერგილი ჭეშმარიტებაა;
- დ) იმედი ადამიანთა საზოგადოებას აფულებებს.

15. მოსე ზამთარაძე ამბობს:

„გამოებრუნდიო, დათასი არ ვიცი და მე ისე მქონდა თავი, ეითომ ათასი ჭრიჭინა მყავდა შოვ და ყველა ერთად სხვადასხვა ხმაზე ჭრიჭინებდა.“

მოსე ზამთარაძის როგორი სულიერი მდგომარეობა იკითხება ტექსტში?

- ა) აღშფოთება; ბ) შეშფოთება;
- გ) გაღიზიანება; დ) გულგრილობა.

16. განმარტეთ ზებოს აბსურდი: რატომ იჯერებენ ადამიანები, რომ სხვა მხარეს მიმაველი ხერელი ოდესმე ზებოს ჭაში გამოევა?

- ა) მას, რაც დაუჯერებელია, უფრო ადვილად იჯერებენ;
- ბ) ანგარიშობენ, მაგრამ ცდებიან;
- გ) იციან, რომ უნდა დაიჯერონ;
- დ) თვითონ თვრ ანგარიშობენ და თბაგარის ანგარიშს ენდობიან.

17. დათა თუთაშხია მოსე ზამთარაძეს არქიფო სეაურზე ეუბნება:

— ეს ბოროტი კაცი და მის ხელში ჩაყარდნილი ხალხი ძნელი საყურებელია მეტად. ნუმი ხასიათის პატრონი გადაეყვრები რამე უბედურებას და სხვასაც უარესს შეეამთხევე. აღბათი ვიცი მე ეს.“

რა იცის დათა თუთაშხიამ საყუთარ თავზე?

- ა) რომ ბოროტებას ღვთის წყრომად მიიჩნევს;
- ბ) რომ ბოროტებას ვერ ეგუება;
- გ) რომ ბოროტებას ყველა ხერხითა და საშუალებით შეებრძოლება;
- დ) რომ მის მიერ დამოხობილი ბოროტების ადგილზე ახალი ბოროტება აღმოცენდება.

18. გაიხსენეთ, რად მიაჩნია ბოროტება მოსე ზამთარაძეს (დათა თუთაშხიასთან დიალოგის მიხედვით)?

- ა) იმად, რასაც ადამიანი თავის თავს თვითონ დაატებს;
- ბ) ბედისწერად;
- გ) იმად, რითაც ღმერთი თვითონ ბოროტს სჯის;
- დ) ადამიანის თვისებად, რომელიც კონკრეტულ გარემოში ფორმირდება.

19. მოსე ზამთარაძე ბავშვების აგრესიით დაშინებულ დათა თუთაშხიაზე ამბობს:

„პირი იბრუნა! წამოიშალა ის — ხად და რანაირად ჩამალულ-ჩასაფრებელი ბოეშვები და წამოვიდნენ. მისრზე სკაეების გუნდი რომ წამოევა, ისე.“

ტროპული აზროვნების რომელი სახეობა გამოიყენება ბავშვების აგრესიის დასახატავად?

- ა) მეტაფორა; ბ) შედარება;
- გ) გაპიროვნება; დ) ჰიპერბოლა.

20. რამ შეაჩერა დათა თუთაშხიას დადევნებული ბავშვების ბრბო?

- ა) ლამე; ბ) დათას შიშმა;
- გ) ერთ-ერთი ბავშვის დაეინება; დ) რველვერის შიშმა.

21. მოსე ზამთარაძე კუყება, როგორ მოატყუა საირმული ბავშვები (მათგანეე თავდასაცავად), თითქოს ხერელი, რომელსაც მათი მამები საპარისპირო მიმართულებით თხრიდნენ, მადე ჭაში გამოვიდოდა:

„კახლედა ყველა და ისეთი თეადებით შემიხმსტერდნენ, ეითომ ქრისტეს გამოცხადების ამბავი მქუქას.“



— ეინ თქვა ებ? — ის მკვიანი გოგო რომ იყო, მასაც სანახევროდ ყრონტში გადაკარგებულა

ბავშვების როგორი სულიერი მდგომარეობა აისახება ტექსტში?

- ა) სიხარული; ბ) შიში;
 - გ) გაოგნება; დ) უიმედობა.
22. გაიხსენეთ, როგორ დაბრუნდნენ ბავშვების მიერ შეშინებული დათა თუთაშხია და მოსე ზამთარამე დაბაში?

- ა) სალეთი გვიან ღამით; ბ) ბავშვებთან ერთად, სიმღერით;
 - გ) სელურის დახმარებით; დ) მოზრდილი საირმელების დახმარებით.
23. სელური ქვეშევრდომების მიერ სახელების დამახსოვრებასთან დაკავშირებით ამბობს: „შენი კაცის გონებას საქმე შენ თეთთან უნდა გაუჩინო, თუკარა კაცი თეთთან გაუჩინეს საქმეს თავის თავს უშეწოდ და, რა უბედურებას გამოიგონებს, ეინ იცის! შენ რომ გჯერია, ის საფიქრალი უნდა მიცე“.

რისა ეშინა სელურს?

- ა) ადამიანთა თავისუფალი აზროვნების;
 - ბ) ადამიანთა შრისხანების;
 - გ) ძირითადი პრობლემების (საარსებო მინიმუმის) მოუგვარებლობის;
 - დ) პრობლემებისა, რომლებიც სისტემის მდგრადობას ხელყოფენ.
24. რატომ მღერიან ადამიანები დაღამებამდე (სიმღერისა და ტაშ-ფანდურის ხმა მათი სოროებიდან და ბუნაგებიდან ისმის)?

- ა) საეკლესიო დღესასწაულს აღნიშნავენ; ბ) მშვიდობით ყოფნას ზეიმობენ;
 - გ) გვირგობის ჭასთან მიახლოებას გრძობენ და უხარიათ; დ) ხვალ დაბატებითი ულუფის დღე აქვთ.
25. დათა თუთაშხია საირმელებს მიმართავს:

— ეინ ხარო, თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხარო! რა გიყთ და რას დაგამსგავსათ მამახდლმა აბელა სელურმა და, აგერ, ამ მოსასაბობმა თაბაგარმა. არ ფიქრობო?!

ეინი (რის) მსხვერპლია საირმელების ადეკვატურობა?

- ა) მთივე დამთმობი ხასიათის; ბ) მათი ურთიერთნამხედურობის;
 - გ) მთსავე ძვალ-რბილში გამეჯდარი ტრადიციის; დ) მათი მმართველების.
26. რას განიცდის საირმეში ნაცემი მოსე ზამთარამე (რომელიც ზამთარს მწყემსების მიტოვებულ სადგომზე ატარებს)?

- ა) დათა თუთაშხიას ემღერის (რომელმაც ადგილიან ართქმას უდაგილო თქმა ამჯობინა);
- ბ) საკუთარ ბედს (მერამდენედ) ემღერის;
- გ) საირმელების მიმართ შურისძიების წყურვილს გრძნობს;
- დ) ზამთრის სუსხი ანუხებს.

27. რა არის ტექსტის მიზანი?

- ა) დიქტატურის არსის ჩვენება;
- ბ) დიქტატურის გარდაუვალობის (კონკრეტულ დროსა და სივრცეში) ჩვენება;
- გ) ადამიანის (საზოგადოების წინაშე) მოვალეობის ჩვენება;
- დ) სამთამადნო ინდუსტრიის პირველი ნაბიჯების ჩვენება.

28. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

- ა) თავისუფლების იდეა კონკრეტულ დროსა და სივრცეში აღმოცენდება;
- ბ) თავისუფლების იდეა ყველა დროსა და სივრცეში არსებობს, თუმცა ყოველთვის არ რეალიზდება;
- გ) თავისუფლების განცდა დაცემულს ამაღლებს;
- დ) თავისუფლება ღირსებაა.

**რაზო ძინივილი,
„ლურჯი ფრინველი“**

1. რეზო ჭეიშვილი წერს:

„კლდის თავზე ზეგანა, ზეგანს ნაღმა — სხვა სოფელი, რამდენჯერ მოეჭრია, ავალ ამ კლდეზე გადავალ სხვა სოფელში, რომელიც არასოდეს არ მინახავს ახლოდან, და დაებრუნდები ბილიკით, საიდანაც მზის ჩასვლისას ბრუნდებიან სამუშაოსე წასული სოფელელები, კლდის სვეთი ავლა რომ ექრასოდეს მოეუქუქებით“.

რა იზიდავს მისწოდებს?

- ა) უცნობი სივრცე; ბ) სახალისო თავგადასავალი;
- გ) შინიდან წასვლის სურვილი; დ) საზიფათო თავგადასავალი.



2. რით განსხვავდებიან თანასოფლებლები მოხრობლისაგან?

- ა) უფრო შრომისმოყვარე არიან;
- ბ) მხრებზე ოჯახის ტვირთი ჰქვიათ;
- გ) კლდის ზემოთ ავლა ვერ მოუფიქრებიათ;
- დ) სისხარტე და მოქნილობა აკლიათ (რომლებიც მოხრობელს ჭარბად აქვს).

3. რეზო ჭეიშვილი წერს:

„თავისუფლად, შეუფერხებლად აუცილთ მე და ფინია კლდის შუა წვლამდე შემდეგ გზა გაკუდდა. სიარული გაჭირდა. დაეცურდა. მაგრამ აღარ შექეჩებულვარ. გავყვევ კარნისს მარცხნიდან მარჯვნივ ძაღლიც გამოიშვა“.

რა იკითხება მოხრობლის მოქმედებაში?

- ა) სიცხადის შეგრძნება, გონიერება; ბ) სიღინჯე;
- გ) წინააღმდეგობის დაძლევის სურვილი და შეუპოვრობა; დ) სილაღე.

4. რით განსხვავდება თეთრი ფინია (რომელსაც „ცალი ყური და კუდის თავი აქვს მხოლოდ შავი“) მოხრობლისაგან?

- ა) სიცხადის შეგრძნებით — იმას, რაც არ შეუძლია, არც გამოიწყებს;
- ბ) მშინარაა;

- გ) იმას მეტი შეუძლია, ვიდრე აკეთებს, და შეუპოვრობაც აკლია;
- დ) ცოტათი უფრო აგრესიულია (მაინც ძაღლია).

5. რეზო ჭეიშვილი საეღვოს გართულების გამო წერს:

„ეატეობდი და ვერძნობდი. სასიკეთოდ არ უნდა დამთავრებულიყო ჩემი მკვლავურობა. მაგრამ რაღაც ძალა მამიტებდა ზეგნისაკენ. უკნობი და ფეხდაუდებელი ადგილისაკენ“.

რა იკითხება უპირისპირდება მოხრობელში ერთმანეთს?

- ა) შიში და გამბედაობა;
- ბ) რეალობის შეგრძნება და ინტერესი;
- გ) ორი ინტუიცია — პირველი, რომ რაღაც კარგად ვერ არის, მეორე, რომ საქმე არც ისე ცუდადაა;
- დ) ორი შიში — უსაფრთხო არც წინ წასვლა და არც უკან დაბრუნება.

6. რა სტირდება ციდა ბაქანზე მოქცეულ ბიჭს (საშეგლის დადგომამდე)?

- ა) საქმელი (შია); ბ) წყალი (სწყურია);
- გ) ჩრდილი (სცხება); დ) მოთმინება.

7. ციდა ბაქანზე მოქცეული მოხრობელი ხედავს ლურჯ ფრინველს, რომელიც ხასხასა მინდორს დასტრიალებს:

„ფრინველს არც კი არხედა. ისე ლიელოვებდა ჰერში. ხან დაბლა დაეშვებოდა რბილად და მსუბუქად, ხან აღმა აიტრებოდა შეუქმნელად. კვლავ იძირებოდა ღრუბლის წაფლეთით და ზეფით მიორწეოდა ისევ“.

რა იკითხება ლურჯი ფრინველის მოძრაობაში?

- ა) სილაღე; ბ) მიზანმიმართულობა;
- გ) სიფრთხილე; დ) სიმშობის განცდა.

8. რა იცის და რა არ იცის მოხრობელმა ლურჯ ფრინველზე?

- ა) იცის, რომ ლურჯია, ოღონდ არ იცის, ქორია თუ ძერა;
- ბ) იცის, რომ ლურჯია, ოღონდ არ იცის, აქ საიდან გაჩნდა: საიდან მოფრინდა და საით გაფრინდება;
- გ) იცის, რომ ლურჯია, ოღონდ ვერ იხსენებს, უნახავს თუ არა ოდესმე სხვა ასეთი ფრინველი;
- დ) იცის, რომ ლურჯია, ოღონდ არ იცის, რატომ ტრიალებს მინცდამინც ძლევის გორის თავზე.

9. რეზო ჭეიშვილი წერს:

„დექმდე ხან ცხადში. ხან სისმარში ეხედავ მზის დაუკვრდში შეფეხიანკებულ ლურჯ ფრინველს. მიწაზე დაეკმულ შეე წრდილს. ყორდინდან განათავისუფლებული სულიეთა რომ დაპოფრეატებს გოთის გლეუ ზედაბორს“.

რის სიმბოლოა ლურჯი ფრინველი?

- ა) სინმინდის; ბ) სისაღვის;
- გ) თავისუფლების; დ) მშობლიური მიჯაჭვულობის.

10. რის შიში შეიძლება, ზაფრავდეს (წლების შემდეგ) მოხრობელს?

- ა) შებოჭილობის (ციდა ბაქანზე მოქცევა ახსენებობდეს);
- ბ) თავისუფლების (თავს ლურჯი ფრინველის ადგილზე გრძნობდეს);
- გ) გზის გაგრძელების (იცოდეს, რომ წინ საშიშია);
- დ) უკან დაბრუნების (იცოდეს, რომ უკანაც საშიშია).

11. რა არის ნიუელის თემა?

- ა) ოცნებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართება; ბ) შიშისა და მოძრაობის ურთიერთმიმართება;
- გ) შესაძლებლობათა ბალანსის პრობლემა; დ) შეუძლებლის აპოლოგია.



12. რას მიაღწია მთხრობელმა?

- ა) ვერაფერს;
- ბ) თავისუფლების არსი და ფასი — ორივე ერთად შეიგრძნო;
- გ) თანასოფელელთა გულისთქმას ჩახვდა;
- დ) ყორღნის (რამდენიმეთასწლოვანი სამარხის) შიშისგან გათავისუფლდა.

13. რა არის ნოველის დედააზრი?

- ა) თავისუფლებას შემეცნება სჭირდება;
- ბ) ადამიანები ერთმანეთს აცოცხლებენ;
- გ) თავისუფლება წინასწარ განსაზღვრული მოცემულობაა;
- დ) ბუნება მბრძანებელია.

14. რას შემატებდა ციდა ბაქიდან დაშვების აღწერა ნოველის თხრობასა და იდეას?

- ა) არაფერს. ყველაფერი უკვე ნათქვამია;
- ბ) თხრობას უფრო საინტერესოს გახდიდა, თუმცა იდეას ხელყოფდა (ხიფათიან გზაზე „ლურჯი ინტინევის“ იდეა „განედღებოდა“);
- გ) იდეას არც არაფერს შემატებდა და არც არაფერს დააკლებდა, თხრობისთვის კი (მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად) აუცილებელი იყო;
- დ) თხრობას უფრო საინტერესოს გახდიდა, იდეას კი უფრო გამოკვეთდა და გააღრმავებდა (გააჩინა, როგორ დაინერგებოდა).

**რეზო ჩივილი,
„ნობელი“**

1. რეზო ჭეიშვილი მკითხველს აღფრედ ნობელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოუთხრობს და დასძენს:

„... რა შესისხნა დინამიტების წარმოებამ აღფრედ ბერნარდის ძე ნობელს და, თუ რა მოუტანა სოფელ ბუყნურის სასოგადოებას დინამიტმა. ამას ქვემოთაც დაეინახავი.“

რას სხვს აღფრედ ნობელის მოტივი დინამიტისა და ბუყნურელების ურთიერთ-მიმართების ტრაგიკულ ამბავს?

- ა) კონტექსტს, რომელშიც საკაცობრიო მიღწევის უკულმართად მოხმარება ირონიზდება;
- ბ) ავტორი აღფრედ ნობელის ინოვაციას, რომელმაც ბუყნურელებს ამდენი უბედურება მოუტანა, იმთავითვე გამობს;
- გ) ავტორი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აპოლოგეტად გვევლინება;
- დ) ავტორი ტენდენციურია: ის მხოლოდ იმ ტექნიკურ ინოვაციას ცნობს, რომელიც ბუყნურელებსაც გამოადგება.

2. რა განაპირობებს, ავტორის თქმით, ბუყნურში დინამიტების სოხეცსა და ჭარბწარმოებას?

- ა) ბუყნურელთა კრიმინალური მიდრეკილება;
- ბ) ბუყნურელთა ექსტრემალური მიდრეკილება;
- გ) გზების მშენებლობის დროიდან შემორჩენილი მარაგი;
- დ) ქვანახშირის საბადოებისა და მალაროების სიახლოვე.

3. რეზო ჭეიშვილი ბუყნურელთა კრიტიკულებზე წერს:

„ცერი თუ შვერმა, სიკეთეში ჩამოგარამიქენ და საესებით საღ-საღამათ კაცს შეიძლება იტყვის თეაღისაღ კი დაგაწყონ ყურება.“

მაკბრძლის, როგორც ტროპული აზროვნების, რომელი ნიშანი იკითხება ტექსტში?

- ა) მუხურელების ჩვევა ბუყნურელებს მიენერება;
- ბ) შედარებულია (ერთმანეთს დაპირისპირებულია) ინვალიდი და საღ-საღამათი ბუყნურელების ჩვევები;
- გ) ბუყნურელების ჩვევა გაზვიადებულიადაა წარმოდგენილი;
- დ) ბუყნურელების ჩვევა გაკრიტიკებულია.

4. გაისხენეთ, რით გასცდებოდა საქართველოს ბუყნურელების სახელი და დიდება, ბუყნურელებს პატრონი რომ ჰყოლოდათ:

- ა) უხელო და უითო მცხოვრებების რაოდენობით;
- ბ) დინამიტის საერთო მოხმარებით;
- გ) ფერდობების სასოფლო-სამეურნეო დამუშავების უნარ-ჩვევებით;
- დ) სიმღერით (თუმცა ზმირად არ მღეროდნენ).

5. რეზო ჭეიშვილი წერს:

„დინამიტს იფიქსენ ამ იქტრსე, ხეთ იქტრსე და უფრო ახლოსაც არიან სამიქტრანები, ორმიქტრანები, ერთმიქტრანებიც და შესაბამისად ერთხელისანები, ორთხელისანები და ერთთხელისანები.“

რამ გააძლიერა დინამიტის გამოყენების ექსტრემალური მიმართულება?



ქართული
საარჩევნო
სისტემა

- ა) სხვა მიმართულება ვერც განვითარდებოდა;
 - ბ) სამეურნეო (სანადირო, სათევზაო) მიმართულებაში, რის მოსპობაც შეიძლებოდა, წლებში მანძილზე კიდევ მოისპო;
 - გ) მალაროების დახურვამ (უმუშევრად დარჩენილი ადამიანები თავს ირთობენ);
 - დ) ადმინისტრაციული ორგანოების უყურადღებობამ.
6. რაში მდგომარეობდა აწ გარდაცვლილი ცნობილი მებადურის, დომენტი მელქაძის, კურობა?
- ა) დაჭრილ თევზს ისევ მდინარეში უშვებდა;
 - ბ) უმეტესად დინამიტით „თევზობდა“;
 - გ) მებადურს, ბაღე ხელთ არასდროს სჭერია;
 - დ) ორდენოსანი კოლმეურნე იყო.
7. რეზო ჭყავიშვილი ვარდენ კუჭუხიძის გაცუდებული ექსტრემის გამო (მას ხელი მოსწყდა) წერს:

— ჩვენ კარგად ვართ, ვარდენ ბიძა, არ შეგეშინდე! — ანუგეშა ვილა(კამ).
 — ერთ დღეს გაგწყვიტათ ჭირმა სუყველა! — ამოკენესა ვარდენმა.
რას შემთქვს ტექსტში კომიზმი?

- ა) ვილაცის რეპლიკას;
- ბ) განზილებას ვილაცის მოლოდინისა, რომ ვარდენს სხვა ადამიანების ბედი დააინტერესებდა;
- გ) ვილაცის თავგამოდებას;
- დ) ვარდენის გულჩვილობას.

8. როგორ აღიქმება ვარდენ კუჭუხიძის დაინვალიდება (კაცისა, რომელმაც ორმოც წელიწადს მალაროში იმუშავა, მაგრამ პენსიაში საღ-სალამათი გაეიდა)?

- ა) როგორც ტრაგედია;
 - ბ) როგორც კომედია;
 - გ) როგორც ტრაგიკომედია;
 - დ) როგორც ფარსი.
9. ბუენურის კლუბის გამგე -გამათლებულ* (თბილისში მცხოვრებ) თანასოფელელს შესწავის:

„თიდიპოსს მეფის“ დადგმა მინდოდა. პირველად რომ ჩამოვედი. ამათ ხელში თიდიპოსს დადგამ? ხალხია ესწინა?“

რას მატებს თხრობას ხელმოცარული რეჟისორის მთვითი?

- ა) სოფლის წარსული და მომავალი იხატება;
- ბ) ბუენურელთა სახელოვნებო ამბიციია იხატება;
- გ) პიროვნული თავისუფლების პრობლემა აღმოცენდება;
- დ) სრული აბსურდის სახე იქმნება.

10. რა არის თხრობის მიზანი?

- ა) აბსურდში ჩაძირული სოფლის ტრაგიკომიკური სახის ჩვენება;
- ბ) თანამედროვე საზოგადოების კრიტიკა;
- გ) სამომადღობო მრენველობის ვეტერანთა საზოგადოებრივი ადაპტაციის ჩვენება;
- დ) უკონტროლობის მიხლევა.

**წუგზარ შატაძე,
„მოგზაურობა აფრიკაში“**

1. მთხრობელი ამბობს:

„წინათ, დღეისაინ რთ ეცხოვრობდი, ძილი არ მიყვარდა. მამინ ჩემი ღოგინიც მქონდა და ყველაფერი, მაგრამ, დღეს რომ იტყვოდა, დაწექი, ბიჭო, დაიძინე, გუანათო, არ ვიჯერებდი. მქონებოდა, ტელევიზორისთვის მყურებინა ან ბავშვებთან ერთად მეთამაშა სასტუმროს დერეფანში.“

რომელი ნიუანსი მიაწინებს, მიუხედავად გარკვეული იდილიური შეფერვისა, რომ მთხრობლის ბავშვობა ადრეულ წლებშიც მამამ იყო?

- ა) ბავშვი მშობელს არ უჯერებდა;
- ბ) ბავშვები მშობლების მეთვალყურეობის გარეშე იზრდებოდნენ;
- გ) ბავშვი სასტუმროში იზრდებოდა;
- დ) სასტუმროში, რომელშიც ბავშვი ცხოვროდა, ლიფტი არ იყო.

2. გაიხსენეთ, როგორ დაიღუპა წუპაკა:

- ა) გაიყინა;
- ბ) ავტოავარიაში მოყვა;
- გ) მოკლეს;
- დ) აცტონით მოინამლა.

3. მთხრობელი მათხრობის ხელოვნებაზე ამბობს:

„უფა იცოდეთ, ეს ხალხი, თავი როგორ შევადლო ყველა კი არ მოეცემს, ყველას არცა აქვს, მაგრამ ურჩევია, ისე მოგასტყოს, უთომ აქვს, მაგრამ არ ეშვება.“

რას უმაღლავს გამუღლეები მათხოვარს (თუნდაც ამის გამო სიძუნწე დასწავრბენ)?



- ა) თავიანთ სიღარიბეს;
- ბ) თავიანთ ქონებას;
- გ) სიბრაღის განცდას, რომელიც მათხოვრების მიმართ აქვთ;
- დ) აგრესიის განცდას, რომელიც მუქთახორების მიმართ აქვთ (ჯანმრთელი მათხოვრების მიმართ მუქთახორებად მიანიხიან).

4. გაიხსენეთ, მათხოვრობის რომელ თავისებურებაზე საუბრობს მათხოვრები მოთხოვნის დასაწყისში?

- ა) მათხოვრობაზე, როგორც პირადი სურვილის საწინააღმდეგო მოქმედებაზე;
- ბ) მათხოვრობაზე, როგორც სისტემაზე (ქალაქის განაწილებაზე მათხოვრების მიერ);
- გ) მათხოვრობაზე, როგორც პირად თავისუფლებაზე;
- დ) მათხოვრობაზე, როგორც საზოგადოების წევრთა ამოცნობის საშუალებაზე.

5. მათხოვრები დედა მანანაზე (საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომელზე) ამბობს: „ის რაღაც თბილად, აღურსიანად მიყურებდა და უცნაო, ეჭვდავ, დედაჩემისნაირი თვალები არა აქვს?! — ერთი მწვანე და მეორე ცისფერი. არ ვიცი, რა დამქანადა. ყელში რაღაც გააქეხიხრა, ხელი გამოვირთიე და ზედ ვაკოცე. მაგრამ მაშინვე მიეხედა, რა სისულელეც ჩაყიდინე და თავბრუსმტკრევით გამოვიქცე.“

რა უპირისპირდება ერთმანეთს მათხოვრების არსებაში?

- ა) ანგარება და სიყვარული;
- ბ) წუხილი, რომელმაც, კარგა ხანია, გული გამოჭამა;
- გ) სიყვარული და მოვალეობა;
- დ) სიყვარული და უხერხულობის განცდა.

6. გაიხსენეთ, რამ გაუნაცრისფრა მათხოვრების დედას ფერადი თვალები:

- ა) მძიმე დაავადებამ; ბ) ლოთობამ (ალბათ);
- გ) დარღმა; დ) ელდამ (ალბათ).

7. მათხოვრები დედაზე ამბობს:

„...თითქოს ამაყოფა კიდევ, სხეებს რომ არ აკავებდა, მაგრამ ბოლო ხანებში ის თვალები ერთი ფერისაც გაუხდა. ორივე გაუნაცრისფრდა.“

შეგვიძლია თუ არა, რომ დედის თვალების ცვლილება (მწვანე და ცისფერი ნაც-რისფრად გადაიქცა) სიმბოლურად გაეაზროთ (უბასწუხთ კონტექსტის გათვალისწინებით)?

- ა) შეგვიძლია. თვალების ფერის ცვლილებაში დედის განწყობილების ცვლილება იკითხება;
- ბ) არ შეგვიძლია;
- გ) შეგვიძლია. თვალების ფერის ცვლილებაში „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ საქართველოს გავერანება იკითხება;
- დ) შეგვიძლია. თვალების ფერის ცვლილებაში ნაცრისფერი ქალაქის ნიშანი იკითხება.

8. რატომ სვამს დედა (თავისივე განმარტებით)?

- ა) სიამოვნებას; ბ) მონყენილობას იქარვებს;
- გ) რატომღაც ასე ურჩევნია; დ) ეშმაკი არ უსვენებს.

9. მათხოვრები მამის მოსაძებნად წასვლას გადაწყვეტს:

„ამ აზრმა ისე ამაგდო, ხელი ამიკვებაცხდა და მეორე კვრცხი ვეღარ გავფიცხე — შპათი ფეთხანი ვარ. ყველაფერზე ვერე ვიცი გავიქება.“

მათხოვრების რომელი თვისება აისახება ტექსტში?

- ა) ცნობისმოყვარეობა; ბ) გულგრილობა;
- გ) ჭინიანობა; დ) ემოციურობა.

10. რა იცის მათხოვრებსა მამაზე აფხაზეთში წასვლამდე?

- ა) მეთათ წელია, აღარაფერი; ბ) მამა აფხაზეთში ცხოვრობს;
- გ) მხოლოდ ის, რომ ცოცხალია; დ) მამა აფხაზეთში დაიღუპა.

11. მათხოვრები აფხაზ ბოვეიკებზე გაგონილ ჭორ-მართალს იხსენებს და დასძქნს:

„...რაც უფრო ეუხლოვდებოდით ქაგურს, მით უფრო მეტად მაპყრობდა შიშა. არ ეიცოდით, რა მკლავდა თქ. რა დამხედებოდა და ამტომ გული გაძალავით მიცქმდა. ერთადერთ ნუგეშად ის მსჩუბოდა, რომ ესეუნი, ეს მყვრელი ქალები და მოხუცები, არხიხნად იყენენ.“

რატომ შეიძლება, რომ ენგურის ხაღისკენ მიმავალი ქალები და მოხუცები მშვიდად იყონ?

- ა) უკვე მშვიდად ვარგად იყოს;
- ბ) ძალადობა სისტემაში ჩამოყალიბებულიყოს და ქალებსა და მოხუცებს აღარაფერი ეუცხოებოდეთ;
- გ) მღელვარებას თანამგზავრი ბიჭის (მათხოვრლის) თანდასწრებით არ ამღელვებდენ;
- დ) ეს მათი ნიღაბი იყოს.



12. როგორ შედის მთხრობელი აფხაზეთის ტერიტორიაზე?

- ა) მალეით;
- ბ) რუსებისა და აფხაზეთისათვის ფულის მიცემით;
- გ) თავისუფლად;
- დ) მოტყუებით — როგორც აფხაზეთში მცხოვრები მოხუცის შეიქმნა.

13. მთხრობელი ამბობს:

„კარგი ადამიანი როგორ არ შემიხედრია, თუნდაც ის ქალი, საბანი რომ მახუცა, ან კიდევ დედა მანანა, მაგრამ ხო ვიცი, რომ ამქვეყნად ცუდი და ბოროტი ხადხი უფრო მეტია, ვიდრე კარგი... ვივის შეკავლე თაღო, ესეც არ ჩანდა ურთო კაცი“...

რას დასტრიალებს ცხოვრების მერ განამებელი მთხრობლის ფიქრი?

- ა) სიკეთის მეტობას (ბოროტებასთან შედარებით);
- ბ) მოხისა და უბედურების გამოცანას;
- გ) ბოროტების მეტობას (სიკეთესთან შედარებით);
- დ) პრაქტიკულ პრობლემას (რა, როგორ აფხაზეთის ტერიტორიაზე).

14. რამ გააწილა (პირველად) აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი მთხრობელი?

- ა) ექსტრემის ნაკლებობამ — თავდადასავალი ისე მძაფრი არ აღმოჩნდა, როგორც ელოდა;
- ბ) ზღვის ესთეტიკამ — ზღვა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც ახსოვდა;
- გ) გზებმა — ისინი ისე კეთილმოწყობილი არ აღმოჩნდა, როგორც ეგონა;
- დ) ოჩაშირემ — ოჩაშირე პატარა ლამაზი სოფელი ეგონა, ის კი მოზრდილი დაბა აღმოჩნდა.

15. მთხრობელი სრულიად მოულოდნელად აფხაზეთის ოჯახში აღმოჩნდა. ის ამბობს:

„აუ, აფხაზეთი! — გაიფიქრე გულში და შიშისაგან თმამ შმაშური დაიწყო“.

რისთვის გამოიყენება მეტაფორა?

- ა) ირონიის გამოსახატავად;
- ბ) მოვლენის გარეგანი ეფექტის დასახატავად;
- გ) თვითირონიის გამოსახატავად;
- დ) განცდის დასახატავად.

16. რისა ეიმედება აფხაზეთის ოჯახში მოხვედრილ შემინებულ მთხრობელს?

- ა) ომი დიდი ხნის შეჩერებულია და აფხაზეთს აგრესია განელებული ექნებათ;
- ბ) აფხაზეთი მის შურისცხყოფას არ იკადრებენ;
- გ) საშიში რომ ყოფილიყო, გივი აქ არ მოიყვანდა;
- დ) აფხაზეთი მის შურისცხყოფას ვერ გაბედავენ.

17. მთხრობელი ცოლ-ქმრის უცხოენოვანი დიალოგი აკვირებს:

„ექვლაფერი კარგად გაეგონე, მაგრამ, აფხაზეთი თუ არიან, რუსულად რატომ დააბარაკობენ? ცოლმა კარგი ქართული იცის, მაგრამ ქარმა? იქნებ, ეს ქალი ქართველია, კაცი კი აფხაზი“.

გაიხსენებ, რით ხსნის დაური (ქმარი) ცოლიან რუსულად დააბარაკ?

- ა) იმით, რომ (თუმცა აფხაზეთი არიან) აფხაზური კარგად არ იცინა;
- ბ) იმით, რომ ორივეს რუსული სკოლა დაუმთავრებია, თანაკლასელები არიან;
- გ) იმით, რომ ქართველი ნათესავეები ჰყავდათ და მათთან რუსულ ენაზე ურთიერთობდნენ;
- დ) ასე მიეჩვივნენ და არც უფიქრიათ, რატომ.

18. რატომ ხდება, რომ მთხრობელს დროდადრო სიმართლის თქმა მოესურვება (თავის განთავსებზე), მაგრამ ვერ ამბობს:

- ა) ადამიანები აღმოჩნდებიან უკეთესნი, ვიდრე მოელოდა, ამიტომაც წინასწარ შემუშავებული სტანდარტი (რომ ინკოგნიტოების შესანარჩუნებლად იცრუოს) ანუხებს;
- ბ) ტყუილი ბუნდებს;
